

# დროშა

№ 4 აპრილი 1963 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსაზღვრო კოსმოსში პირველი კვალი საბჭოთა ადამიანებმა გაიტანეს.

1961 წლის 12 აპრილი — პირველი საბჭოთა კოსმონავტის იური გაგარინის გაფრენის დღე — სამუდამოდ დარჩება კაცობრიობის ისტორიაში, როგორც სახელოვანი თარიღი ახალი ეპოქის — კოსმოსის დაპყრობის ეპოქის დაწყებისა.

სულ მალე მის კვალს გაჰყვნენ და გალაქტიკის იდუმალ სამყაროში გაფრინდნენ გერმანე ტიტოვი, ანდრიან ნიკოლაევი და პავლე პოპოვიჩი.

საბჭოთა კოსმონავტების სასწაულებრივი გაფრენები დაუსაბამო და თვალშეუდგამ ვარსკვლავეთში არის მთელი საკაცობრიო ცივილიზაციის, მთელი კულტურის, ადამიანის დაუცხრომელი გონების მანამდე უნახავი ზეიმი. ეს მარტო კონსტრუქტორთა და მეცნიერთა გამარჯვება კი არ არის, მთელი საბჭოთა ხალხის გამარჯვებაა.

განუზომელია ამ გაფრენების მნიშვნელობა მეცნიერებისათვის, კაცობრიობის კეთილდღეობისათვის. ეს დიდი, მანამდე არ ნახული და არგაგონილი გამარჯვება საბჭოთა ადამიანისა — განამტკიცებს მსოფლიო მშვიდობის საქმეს. ის მეტყველებს იმ ყოველმხრივ უპირატესობაზე, რომელიც გააჩნია სოციალისტურ სისტემას კაპიტალისტურთან შედარებით; ეს გაფრენები მთელმა მოწინავე კაცობრიობამ შეაფასა, როგორც კიდევ ერთი ბუმბერაზული ნაბიჯი იმ ამოცანების განხორციელებაში, რომლებსაც სახავს კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამა — ეს ახალი კომუნისტური მანიფესტი.

საბჭოთა კოსმონავტების გაფრენით მთელმა მოწინავე კაცობრიობამ გადადგა ნაბიჯი წინ, თავისი უკეთესი მომავლისაკენ, კომუნიზმისაკენ.

ეს ადამიანის უძველესი ოცნების ზეიმია, იმ ოცნებისა, რომელსაც მარტო კომუნიზმმა შეასხა ფრთა. საბჭოთა ადამიანის გენიამ შეიძლო და საქმით გააკეთა ის, რასაც ოდესღაც კაცობრიობა სიზმრებივით ხედავდა ლეგენდებში სანთლის ფრთებიან იკაროსზე. მაგრამ ის ძველი ლეგენდა ტრაგიკულად მთავრდებოდა — მზის სიმხურვალე ადნობდა სანთლის ფრთებს. საბჭოთა კოსმონავტების ფოლადის ფრთებს კი არაფრის არ ეშინია, ის გამოჭედილია ისე, რომ თამამად დაფრინავს უსაზღვრო სივრცეებში, და მას აქვს ძალა გაფრინდეს ხვალ უფრო შორს, გაფრინდეს უცხო პლანეტებზე და ახალი სასწაულები ამცნოს ქვეყანას.



# ილიჩის პირველი ჩირაღდანი



ეროვნული ბიბლიოთეკა

1922 წლის 10 სექტემბერს ზემო ავჭალასთან, მტკვრის ორივე ნაპირზე, უამრავ ხალხს მოეყარა თავი. ბევრი რამ ენახა მოხუც მტკვარს: მტრის გააფთრებული ურდოები და ქართველ ვაჟკაცთა რაზმები, თავგანწირული შერკინება და სახნისზე დახრილი გლეხები, მაგრამ ამდენ ერთად შეკრებილ ბარ-წერაქვიან ხალხს ჯერ არ მოსწრებოდა.

ეს იყო თბილისელთა პირველი კომუნისტური შაბათობა. შაბათობას სათავეში ედგნენ სერგო ორჯონიკიძე და ფილიპე მახარაძე. სერგომ ბარით გაავლო კვალი და თქვა:

— ამიერიდან მტკვარი ამ მიმართულებით იდინებს, რომ დენი მოგვცეს ჩვენი ქვეყნის ასაყვავებლად!

ასე დაიწყო მტკვრის ამ კლდოვან ნაპირზე საქართველოში პირველი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის მითითებითა და დახმარებით. ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრე 54 ათასი ცხენისძალა უნდა ყოფილიყო. მისი სამშენებლო სამუშაოების სამმართველოს უფროსად ჯერ დანიშნეს ინჟინერი ა. ფირალიშვილი, ხოლო შემდეგ, 1928 წლიდან, გამოჩენილი საბჭოთა ინჟინერ-ენერგეტიკოსი ბესარიონ ჭიჭინაძე. მთელი მშენებლობა მისი უშუალო ხელმძღვანელობით განხორციელდა. ზაჰესის ცენტრალური სადგურისა და სხვა ნაგებობათა არქიტექტურა შექმნეს ხუროთმოძღვრებმა: ა. კალგინმა, მ. მაჭავარიანმა და კ. ლეონტიევმა.

ადვილი წარმოსადგენია რა სიძნელეების გადალახვა მოუხდებოდათ ორმოცი წლის წინათ ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის ლენინური გეგმის ამ პირმშოს მშენებლებს. მათ არ ქონდათ ტექნიკა, არ ქონდათ მანქანები, ყველა სამუშაოს მამაპაპური წესით — ბარითა და წერაქვით ასრულებდნენ. ბეტონისათვის საჭირო მასალასაც კი კამეჩებშებმული ურმებით ეზიდებოდნენ. არ ჰყავდათ სპეციალისტები. ძველი დროის ინჟინრებისთვის კი პირველი ნაბიჯი იყო იმ დროისათვის ასეთი მძლავრი ჰიდროელექტროსადგურის აგება.

მაგრამ მშენებლები არ უშინდებოდნენ ამ სიძნელეებს. მათ დიდ საქმეში მთელი ჩვენი ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყანა მონაწილეობდა. მშენებლობას დახმარებას უწევდნენ მოძმე რუსი და უკრაინელი ხალხები, ასობით მუშა და ინჟინერ-ტექნიკოსი. ზაჰესის მთელ ჰიდროელექტროტექნიკურ მოწყობილობას, გარდა ტურბინებისა, რომლებიც შეკვეთილი ჰქონდათ გერმანიაში, საბჭოთა ქარხნები ამზადებდნენ. აქ დამონტაჟებულია ჩვენს ქვეყანაში შექმნილი ერთ-ერთი პირველი ტურბინა, რომელიც ლენინგრადის ქარხანა „ელექტროსილამ“ გამოუშვა.

და აი, მშენებლობის თითქმის ხუთი წლის თავზე, 1927 წლის 26 ივნისს საზეიმო ვითარებაში ამუშავდა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მსხვილი ჰიდროელექტროსადგური, საქართველოს სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პირმშო — ზაჰესი. მის მშენებლობაზე დღეში საშუალოდ მუშაობდა 4 ათასი კაცი და დაიხარჯა 15-ნახევარი მილიონი მანეთი.

საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან მოვიდნენ აქ, ზაჰესის გაშვებისადმი მიძღვნილ მიტინგზე მშრომელთა დელეგაციები. მიტინგში მონაწილეობა მიიღეს უკრაინის, აზერბაიჯანისა და სომხეთის დელეგაციებმაც. მოსკოვის მუშების სახელით მიტინგს მიესალმა მოსკოვის საქალაქო საბჭოს კომუნალური განყოფილების გამგე ი. წივწივაძე.

მიტინგს დაესწრნენ აგრეთვე უცხოეთის სახელმწიფოთა კონსულები; სტუმრებს შორის იყო ფოთიდან ჩამოსული უცხოელ მეზღვაურთა დელეგაცია 4 ინგლისელი და 18 გერმანელი მეზღვაურის შემადგენლობით.

დანიშნულ დროზე საქართველოს სამხედრო გზით ჩამოვიდა სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ი. კალინინი, რომელსაც ზაჰესის მშენებლობის უფროსმა ინჟინერმა ბ. ჭიჭინაძემ ჩააბარა პატაკი და საჩუქრად გადასცა წიგნი „ზაჰესი“. შემდეგ მ. ი. კალინინი რესპუბლიკის ხელმძღვანელების: მ. ორახელაშვილის, ფ. მახარაძის, შ. ელიავას, მ. კახიანისა და სხვათა თანხლებით ადის ტრიბუნაზე და იწყება დიდი და დაუვიწყარი ზეიმი, რომელიც ნამდვილ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულად გადაიქცა.

სიმებიანი და სასულე ორკესტრი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ივ. ფალიაშვილის დირიჟორობით ასრულებს „ინტერნაციონალს“ და კანტატას ზაჰესზე. მუსიკის გრიალში იხსნება თეთრი საბურველი და დამსწრეთა წინაშე წარმოსდგება კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის მონუმენტური ქანდაკება.

„თქვენი გამარჯვება, — განაცხადა მ. ი. კალინინმა სსრ კავშირის მთავრობის სახელით მიტინგზე წარმოთქმულ თავის მისასალმებელ სიტყვაში, — ამავე დროს მთელი კავშირის გამარჯვებაც არის“.

იწევა წყალსაშვები ფარი, წყალი დგაფუნით მიედინება სადერივაციო არხში, მოძრაობას იწყებს პირველი ელექტროტურბინი და ზაჰესის პირველი დენი თვალისმომჭრელად აჩახჩახებს უთვალავ ელექტრონათურასა და პროჟექტორს. თბილისი იღებს პირველ მძლავრ სამრეწველო დენს. იმავე დღეს საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურს დიდი ლენინის სახელს ანიჭებს.

ზაჰესის საპატიო სტუმართა წიგნში მრავალი მნიშვნელოვანი შთაბეჭდილებაა ჩაწერილი. ჰიდროელექტროსადგურის გახსნის დღეს მ. ი. კალინინმა ჩაწერა:

„ვხსნით პირველ დიდ ელექტროსადგურს. მისი მნიშვნელობა ის არის, რომ იგი მომავალი დიდი ჰიდროელექტროსადგურების პიონერია“.

1928 წლის 24 ივლისს ზაჰესი ინახულა დიდმა რუსმა მწერალმა მ. გორკიმ და საპატიო სტუმართა წიგნში ჩაწერა:

„ზაჰესი კიდევ ერთი ფაქტია, რომელიც მეტყველებს ადამიანის ყოვლისმძლე ნების უსაზღვრო შემართებაზე, ადამიანის გონების „რაციონალისტურ გაქანებაზე“.

„ზაჰესი, — ჩაწერა შთაბეჭდილებების წიგნში 1926 წლის 2 ივნისს ა. ი. მიქოიანმა, — სოციალიზმის პირველი მონაპოვარია საქართველოში, კომუნიზმის საძირკველია. გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას!“ (ბოლო ოთხი სიტყვა და ხელმოწერა ჩაწერილია ქართულ ენაზე).

ეს იყო დასაწყისი იმ გრანდიოზული საქმისა, რომლის ფორმულა გენიალური სიზუსტით მოგვცა დიდმა ლენინმა: „კომუნიზმი არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია“. ზაჰესი გახდა არა მარტო თბილისის სამრეწველო საწარმოების ენერგეტიკული ბაზა, არამედ რესპუბლიკის ენერგეტიკოსებისა და ენერგომშენებლების უებრო სკოლაც. ამ სკოლაში გამოიწრთო მშენებლების ის პლეადა, რომელიც შემდეგ წარმატებით მონაწილეობდა რიონჰესის, შაორჰესის, ხრამჰესის, ორთაჭალჰესის, ჩითახევჰესისა და მრავალი სხვა ჰიდრო და თბოელექტროსადგურების მშენებლობაში. საქართველოში ახლა უკვე 960 დიდი და პატარა ელსადგურია, რომელთა წლიური გამომუშავება 3 მილიონ ნახევრამდე კილოვატ ელექტროენერგიას შეადგენს. ეს კი 190-ჯერ მეტია, ვიდრე მთელს რევოლუციამდელ რუსეთში წარმოებული ელექტროენერგია. საქართველოში ერთ კვადრატულ კილომეტრ ტერიტორიაზე მოდის 162 კილოვატი. ამით მას ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში. მიუხედავად ამისა, შვიდწლედში ელექტროენერგიის გამომუშავება რესპუბლიკაში ორჯერ მეტად გაიზრდება, რადგან, როგორც პარტიის ახალ პროგრამაშია აღნიშნული, ელექტროფიკაცია „წამყვან როლს ასრულებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაში, მთელი თანამედროვე ტექნიკური პროგრესის განხორციელებაში“.

შ. გოგიძე,
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 4 (141) აპრილი, 1963 წ.

გამოცემის XIII წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ამბავი ამ რამდენიმე წლის წინ მოხდა. ხომალდი, რომელზეც საბჭოთა ტურისტები იმყოფებოდნენ, აფრიკის ერთ-ერთ ნავსადგურს მიადგა. ნაპირზე შეკრებილი შავკანიანი მტვირთავები და მებადურები მხიარული შეძახილებით შემოეხვივნენ დიდი საბჭოთა კავშირიდან ჩამოსულ ძვირფას სტუმრებს. ერთი მათგანი, ახალგაზრდა, ტანმაღალი ზანგი ტურისტების ჯგუფთან მივიდა, უბიდან რაღაც ქაღალდი ამოიღო, სათუთად გაშალა და ჩამოსულებს დაანახვა. ეს იყო ჟურნალ „ოგონიოკის“ ყდა, რომელზეც გამოსახული იყო მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ლენინის სახე.

ზანგმა გულღიად გაიღიმა და თქვა:

— ლენინ!


ეროვნული ბიბლიოთეკა

# რომ სულ ენთოს „ოგონიოკი“

მერე ნაბეჭდს თითი გააყოლა და ასო-ასო დამარცვლა.

— ო-გო-ნიოკ!

იგი აღელვებული იყო და კიდევ რამდენჯერმე გაიმეორა: „ლენინ! ოგონიოკ!“ „ლენინ! ოგონიოკ!“

ჟურნალი „ოგონიოკის“ თავფურცელი მისთვის იმ ჩაუქრობელ ლამპარად გადაქცეულიყო, რომელსაც სამუდამოდ აღებეჭდა მის გულში დიდი ილიჩის ძვირფასი სახე.

ორმოცი წელია ანთია „ოგონიოკი“, ორმოცი წელია გზას უნათებს ადამიანთა ცოდნისმოყვარე გონებას, მიაქვს მათთან ლენინიზმის უკვდავი იდეების ცხოველმყოფელობა, ჩვენი ცხოვრების ავ-კარგი და მომავლის უდრეკი, დაუცხრომელი რწმენა.

„ოგონიოკი“ დაიბადა 1923 წლის აპრილში, მაშინ როცა მსოფლიო და სამოქალაქო ომების წყლულები ჯერ კიდევ აჩნდნენ ბორკილაყრილ და თავისუფლებას ნაზიარებ ქვეყანას, როცა ახალი ცხოვრება თავის პირველ ნაბიჯებს დგამდა.

„ოგონიოკი“ ერთ-ერთი პირველი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალი იყო, განკუთვნილი მასობრივი მკითხველისათვის. იგი აშუქებს საბჭოთა კავშირის ხალხთა ცხოვრებას, აცნობს მკითხველებს საბჭოთა კულტურის, ხელოვნების, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს, დიდ ყურადღებას უთმობს სპორტს, იუმორს და, რაც მთავარია, ფართო პროპაგანდას უწევს ჩვენი საბჭოთა ადამიანების, კომუნიზმის მშენებელთა შრომით გმირობას, გამოცდილებასა და შემოქმედებით შემართებას.

„ოგონიოკის“ ფურცლებზე გამოდიან საბჭოთა მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები, სოციალისტური შრომის მოწინავე ადამიანები. მისი ხშირი სტუმრები იყვნენ მ. გორკი, ვ. მაიაკოვსკი, ა. ტოლსტოი, დ. ბედნი, ა. სერაფიმოვიჩი და სხვა სახელოვანი საბჭოთა მწერლები და პოეტები.

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ, 1945 წელს მოხდა ჟურნალ „ოგონიოკის“ რეორგანიზაცია, გადიდდა მისი მოცულობა, მრავალფეროვანი გახდა მისი ყდები და ჩანართები, გაიზარდა ტირაჟიც, რამაც დღეისათვის 1.850.000 ეგზემპლარს მიაღწია.

ჟურნალი დამატების სახით („ოგონიოკის ბიბლიოთეკა“) გამოსცემს საბჭოთა და უცხოელ მწერალთა ნაწარმოებებს, აგრეთვე მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის კორიფეთა თხზულებებს.

ათეულ და ასეულ ათასობით მკითხველი ყოველ კვირის თავზე მოუთმენლად ელის ჟურნალ „ოგონიოკის“ ახალი ნომრის გამოსვლას. იგი შემოდის ჩვენს ცხოვრებაში, როგორც ერთგული მეგობარი, მრავალი ახალი ამბის მაძიებელი და მრავალ გამარჯვებათა მაცნე, აღსავსე დიდი მისწრაფებით, რომ სულ ენთოს ადამიანთა სხივნათელ ლამპრად.

ა. მარჯანიძე

## მოსკოვის სიმფონია

### დემიან ბედნი

ულამაზესი ცა ჩანდა მაღლით...
დაუღალავი და ღონით სავსე,
მთელი დღე სჭექდა სიმღერა ლაღი, —
წკრიალებდა და ბრწყინავდა ასე.

ბჭეშემაღლებულ სახლებში, გარეთ,
დიდი ოქტომბრის ზეიმზე მაშინ,
მოსკოვი ჰქუხდა და მოელვარე
ცურავდა ღამე სინათლის ზღვაში.

ლღვებოდა გულში ჰანგი მარადი,
როგორც რიჟრაჟის შემობრწყინება,
და პროსპექტებზე ხალხის ნაკადი
ჰგავდა მდინარის მღელვარ დინებას.

ოხოტნი რიადს სხივდაისრული
გულზე გადუკრავს ასფალტის ტბორი,
და როგორც ჯადო-შუქი მისნური,
ელავს დიადი შენობა ორი.

პროსპექტი თითქოს შემოდის გულში
და მორთულია ფერად ფარჩებით,
იქ, სადაც თვლემდა ჯერ კიდევ გუშინ,
ძველი, უძლური ქვეყნის ნარჩენი.

ასე რომ შევტრფით მის ზრდას და
იერს,
მოსკოვს, დიდებულ ჭაღარა ქალაქს,
უჩვეულო და ლამაზი ძლიერ,
გარს მოედნები მოერტყა რკალად.

ლაღობს, ხარობს და მოჰგავს ვარდობას,
ყოველი კუთხე, ქუჩა თუ სახლი,
მოვიდა მძლავრი ახალგაზრდობა,
მშენებელი და შემქმნელი ახლის.

ზეიმობს დღე და გუგუნით მიდის,
აჰა, სალუტის გრგვინვაც მოისმა.
ჰქუხს სიმფონია მძლავრი და დიდი,
მკლავმოუღლელი მშენებლობისა.

ფრიალებს დროშა ცად შეფენილი,
თვალს ხიბლავს გამძლე კედლების
სისქე,
და დგას შუქურად ბრძენი ლენინი,
გრანიტში ჩასმულ მოსკოვის ცისქვეშ.

თარგმნა ვასილ გვეტაძემ



## სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირი

„პირობას ვაძლევთ კომუნისტური პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას, პირადად თქვენ, ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძევ, რომ მთელ ჩვენს ძალ-ღონეს, ენერგიასა და შთაგონებას მოვახმართ საყოველთაო სახალხო ბრძოლას სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის, ღირსეულ წვლილს შევიტანთ იმ საქმეში, რომ უხვად შეიქმნას სოფლის მეურნეობის პროდუქტები ჩვენს ქვეყანაში, რომელიც ძლევამოსილად მიდის კომუნიზმის მწვერვალებისაკენ“ — ნათქვამია წერილში, რომელიც საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის მონაწილეებმა გაუგზავნეს საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე, რომელიც ამას წინათ გაიმართა, მოხსენებით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ვ. პ. მჟავანაძე.

ამხანაგმა ვ. პ. მჟავანაძემ ამომწურავად ილაპარაკა გასული წლის შედეგების, სოფლის მეურნეობის პროდუქტთა წარმოების გადიდებისა და მათი დამზადების 1963 წლის გეგმის შესრულების ღონისძიებათა შესახებ.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს უხვი მოსავლის ოსტატებმა, მოწინავე მეცხოველეებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა, პარტიულმა და საბჭოთა მუშაკებმა.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირმა ერთხელ კიდევ ნათელყო, რომ საქართველოს მშრომელები აღსავსენი არიან მტკიცე გადაწყვეტილებით უფრო თავდადებით იბრძოლონ პარტიისა და მთავრობის დავალებათა პირნათლად შესრულებისათვის, ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის.

# ბრიგადა მიდის მომავალში



ფოტო ზ. ხორავასი.

მიდით ლენინის სახელობის თბილისის ელმავალმშენებელ ქარხანაში, მიდით და გულდასმით დაათვალიერეთ ამწყობი საამქრო, მერე კი კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირზე გივი ქრისტინაშვილზე ჩამოაგდეთ სიტყვა.

უველა, ვისთანაც საუბარი მოგიხდებათ, ერთნაირი სიყვარულითა და პატივისცემით დაგიწყებთ მის შესახებ ლაპარაკს.

— გივი ქრისტინაშვილი ჩვენი ქარხნის საუკეთესო სპორტსმენი გახლავთ.

— იგი საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, კარგი ორგანიზატორი და გულისხმიერი ამხანაგია.

— გივის ბრიგადის მიღწევებით მთელი კოლექტივი ამაყობს...

ახალგაზრდა ელექტრიკოსი გივი ქრისტინაშვილი ხუთი წლის წინათ მივიდა ქარხანაში. საქმის სიყვარულითა და თავდადებული შრომით მან მალე მოიპოვა საყოველთაო პატივისცემა. ამიტომაც იყო, რომ არავის გაჰკვირვებია, როცა მოწინავე მუშა ელექტროზეინკალთა ბრიგადის ბრიგადირად დაანიშნეს.

კარგად, ძალიან კარგად ახსოვს გივის გაზაფხულის ის ნათელი დღე.

— ამწყობი საამქროს მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი საერთო წარმატება, — უთხრა მას ქარხნის დირექტორმა, — აი, როგორც ეს მუშტი, ისე უნდა შეჰკრა და შეაკავშირო მთელი ბრიგადა.

— არჩევანი შემთხვევით როდი შევაჩერეთ შენზე, — დინჯად ჩაურთო სიტყვა მთავარმა ინჟინერმა, — ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ არც ახლა შეირცხვენ თავს...

სამი წელი გავიდა ამ საუბრის შემდეგ, ახლის ძიებითა და დღენიადაგ შემოქმედებითი შრომით აღსავსე სამი წელი. ამ ხნის მანძილზე თანდათან განმტკიცდა, ერთ ოჯახად შეხმატკბილდა ბრიგადა. ბრიგადის წევრებმა, როგორც იტყვიან, საათივით ააწყეს მუშაობა და მთელ საწარმოში ერთ-ერთმა პირველებმა მოიპოვეს კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო სახელი.

— ყველა ერთისათვის და ერთი ყველასათვის! აი ჩვენი წარმატების „საიდუმლო", — ჩვენს შეკითხვაზე მოკლედ გვაძლევს პასუხს გივი ქრისტინაშვილი და თან ღიმილით გასცქერის მის გარშემო შემოკრებილ მეგობრებს.

შეხვალთ ელმავალმშენებელი ქარხნის ამწყობ საამქროში, გულდასმით გაეცნობით ელექტროზეინკალთა მუშაობას, ნახავთ საქმეში გართულ ბრიგადის წევრებს და ნათლად გაიგებთ, რასაც ნიშნავს სახელოვანი ბრიგადირის ეს სიტყვები.

გივი ქრისტინაშვილის ბრიგადა, რომელიც ცხრა კაცისაგან შედგება, უაღრესად პასუხსაგებ უბანზე მუშაობს. აქ აკეთებენ ელმავლის რადიოდანადგარებისა და სექციებს შორის დაბალი ძაბვის შემაერთებელი კვანძის მონტაჟს, გამუავთ ელმავლის ელექტროგანათება.

ეს უაღრესად ფაქიზი და სპეციფიკური ოპერაციები დიდ დაოსტატებას მოითხოვს. წინათ, როცა რომელიმე კვანძის ოსტატი ავად გახდებოდა, მდგომარეობის გამოსწორება თითქმის შეუძლებელი იყო: ერთი ოსტატი ვერ ახერხებდა მეორე ოსტატის სამუშაოს შესრულებას.

გივი ქრისტინაშვილის ბრიგადაში თავიდანვე განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს თვითეული მუშის მრავალმხრივ დაოსტატებას. ბრიგადის ყოველი წევრი ახლა თავისუფლად ასრულებს რამდენიმე კვანძის ოპერაციებს და საჭიროების შემთხვევაში საიმედოდ ენაცვლება მეგობარს.

საქმის სიყვარული, მონდომება, საფუძვლიანი ცოდნა, ახლის ძიება და მეგობრისადმი დახმარება — აი რა აძლევს საშუალებას ბრიგადას ყოველდღიური დავალებები 140-150 პროცენტით შეასრულოს.

ბრიგადის წევრებმა მარტო სხვადასხვა სამუშაოთა ვადაზე ადრე და მაღალხარისხოვანი შესრულებით როდი ისახელეს თავი, ბევრს, ძალიან ბევრს ფიქრობენ ისინი, რათა რაციონალიზატორული წინადადებებით ხელი შეუწყონ ძვირფასი ნედლეულის დაზოგვას, ოპერაციების გამარტივებასა და თვითღირებულების შემცირებას.

წარმოებაში ამას წინათ წარმატებით დაინერგა გივი ქრისტინაშვილის წინადადება, რომელმაც მნიშვნელოვნად გაამარტივა ელმავლის სექციებს შორის დაბალი ძაბვის დენის შემაერთებელი კვანძების მონტაჟის სქემა. ამ რაციონალიზატორული წინადადების შედეგად წარმოება ყოველწლიურად 1.600 მანეთს დაზოგავს.

გ. ქრისტინაშვილის კომუნისტური შრომის ბრიგადა.



კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი გ. ქრისტინაშვილი.

სამუშაოს დამთავრების შემდეგ მეგობრები ხშირად იკრიბებიან ერთად. დასხდებიან ხოლმე და გაუთავებლად დაობენ ათასგვარ საჭირბოროტო საკითხებზე, ახალ გეგმებს სახავენ მუშაობის უკეთ წარმართვისათვის. ბრიგადის წევრები, როგორც მახლობელი ადამიანები, გულახდილად უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ მიზნებსა და მისწრაფებებს, წუხილსა და სიხარულს.

სწორედ ერთ-ერთი ასეთი შეკრების დროს გადაწყვიტეს მათ, რომ საწარმოში საუკეთესო მუშაობასთან ერთად სწავლისთვისაც მოეკიდათ ხელი.

გივი ქრისტინაშვილის მისვლამდე ბრიგადაში მხოლოდ ორი კაცი დადიოდა საღამოს სკოლაში, ახლა კი შვიდი ადამიანი წარმოებისაგან მოუწყვეტლად იღებს განათლებას.

ხელმადლიანი ოსტატები — ჯემალ ჯიქია, გალინა გორბატენკო და ვასილ კუჩეროვი თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტები არიან, რობერტ ლალოიანი რკინიგზის ტექნიკუმში სწავლობს, რაია გუნკომ კი დიდი ხნის ოცნება შეისრულა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაირიცხა.

მეგობრებმა შეფობა აიღეს ბრიგადის წევრ ვლადიმერ ორლოვზე, რომელსაც მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი უმაღლესში გააგრძელოს სწავლა. ჯემალ ჯიქია, გალინა გორბატენკო და ვასილ კუჩეროვი ხშირად ამეცადინებენ მას, გულდასმითა და მოთმინებით განუმარტავენ სხვადასხვა გაუგებარ საკითხებს.

...ყოველ დილით ქარხნისაკენ მხნედ და ხალისიანად მიაბიჯებენ ბრიგადის წევრები, ენერგიით სავსე, მკლავმოუღლელი ადამიანები, რომლებმაც თავდადებული შრომით გაუსწრეს დროს. მიდიან მტკიცე კოლექტივად შეკრული ადამიანები, კიდევ უფრო ნათელი მომავლის აქტიური მშენებელი მებრძოლები.

სიყვარულითა და კეთილი ღიმილით ესალმებიან მათ ქარხნის მუშები, ესალმებიან და მტკიცედ სჯერათ, რომ გივი ქრისტინაშვილის კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრები კვლავ ახალ-ახალი წარმატებებით ისახელებენ თავს.

ტ. ჯანიაშვილი

# შე ყარ და ჩემო ნაწილო...



ეროვნული ბიბლიოთეკა

**გერმანე მირიანაშვილი**

სამასი არაგველი

მთელი ღამის უძილო მიხეილ გელაშვილს ეზოდან მანქანის ხმა შემოესმა. ფურცელი, ამინდის პროგნოზით, მაგიდაზე დადო და წამოდგა.

— როგორი ამინდია? — დილა მშვიდობა არც კი გახსენებია ოთახში შემოსულ შალვა მწითურს, ცისფერ ბლანკს დასწვდა და ხელში შეატრიალა.

— ქარი ძლიერდება, ყინვაც მატულობს... — ყიზლარის საძოვრების სამმართველოს უფროსმა მიხეილ გელაშვილმა სარკმლიდან მიდამოს შეავლო თვალი. კასპიის ზღვიდან აწყვეტილი ქარი ფაფარაყრილი დაჰქროდა სოფელ კოჩუბეის ორღობეებში.

— დღეს უნდა გავიდეთ! — თქვა შალვამ და შოფერს მიუბრუნდა, — ნაბდები და თოფი თუ წამოიღე?..

— ბენზინს ავიღებ, დანარჩენი კი ყველაფერი რიგზეა.

...მანქანამ კოჩუბეიდან ჩრდილოეთისაკენ იბრუნა პირი. ერთი შეხედვით, ამ უკაცრიელ ველზე არსაით არის სავალი, მაგრამ გამოცდილი თვალი მაინც კარგად გრძნობს გზას. მარჯვედ მართავს საჭეს რობინზონ კაიშაური.

— კაცი ნოღაიზე დავბერდი, ასეთ უბალახობას მეორედ შევესწარი... — გუდამაყრის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ადამ ქავთარაძე ველს გაჰყურებს და განაგრძობს, — მეორე თვეა, ცხვარი ბაგურ კვებაზე გვყავს... ცოდოა, გაილახა საქონელი...

მანქანა აღმოსავლეთისაკენ შებრუნდა. ლერწმიანი ტაფობი გადაიარა. ჯერ ამწეები გამოჩნდა, შემდეგ კი ხარაჩოებში ჩამჯდარი ქალაქი გადაიშალა მათ თვალწინ.

— დიდი მომავალი აქვს სუხაკუმსკს, სწრაფად იზრდება და ველზე მოიწევს, — თქვა შოფერმა.

— მაგას კი აქვს, მაგრამ ჩვენ საძოვრები გვაკლდება, — ბუზღუნებს ადამი.

— არაგვის ერისთავივით გაუმაძღარი ხარ, მთელი ნოღაეთი რომ შენ მოგცენ, მაინც არ დაკმაყოფილდები, —ეღიმება შალვას.

— დაცინვას კაცი არ მოუკლავს...

— დაცინვას? ჰმ, არაგვის ერისთავებს ნოღაეთში რა ხელი ჰქონდათ. თქვენი კოლმეურნეობის ოცდახუთ ათას სულ ცხვარს, ცხრა ათას ბატკანს, ორი ათას შვიდას სულ მსხვილფეხა საქონელს სამასი მწყემსი უვლის. არაგვის ერისთავებს კი ზოგჯერ სამასი ქუდოსნის გამოყვანაც უჭირდათ მტერთან შესაბმელად. ისინი ქერსა თესდენ, თქვენ კი ბაჯიგანზე ბრინჯიც მოგიყვანიათ. არაგვის კალმახზე მიჩვეულთ ტბაში კობრი მოგიშენებიათ. ესეც თუ დაცინვაა..

— თუ არაგველები წინათ მოძმეთ ბახტრიონს ჩაეშველნენ, — ადამს გადახედა მიხეილმა, — შენმა ბიჭებმა ამ ყინვაში ნაკლები დახმარება როდი გაუწიეს ლენინგორელებსა და დაღესტნელებს, როცა იმათ საკვები შემოაკლდათ.

სიტყვაძუნწი ადამი ულვაშებს დაკოჟრილი თითებით ჩასჭიდებოდა.

არტეზიულ ჭასთან მანქანამ წრე მოხაზა და ბექობს გადაღმა მხარგაშლილ ყოჩის ფარას წაადგა. ქარს ზურგი აეშალა ფარისათვის და ნაზი მატყლი ჯეჯილივით აებიბინებინა.

ნიკიფორე წიკლაურმა ფარას მხარი შეუკეცა, მოწინავე ცხვარს წაუქშინა და შემდეგ მანქანისკენ გამობრუნდა.

— შორს გამოსულხარ, ნიკიფორე, — შეაგებება სიტყვა ადამმა, — ცუდი ამინდია, ცხვარი ვერაფერს მოსძოვს.

— ძოვით კი ვერას მოსძოვს, მაგრამ მთელ დღეს ფარეხში ნამწყვდევი მუხლს გაშლის-მეთქი, გაინავარდებს. ესეც არ იყოს, საფენს გამოცვლა უნდა.

ფოტო გ. თიკანაძისა.

— რაია, წიწავ, დედები ვერ მოუნახე? — გამოელაპარაკა მცნობარს მიხეილ გელაშვილი.

— რაი მონახვა უნდა, ერთი დედისანი არიან, — გაეღიმა მცნობარს.

— რა ვიცი, ყაზბეგელმა ვაჟია ქუშაშვილმა შემოგითვალა, წიწას არ ვიცნობ, მაგრამ თვალებს ავიკრავ და სამას მწყემსში იმასაც ვიპოვიო, — ახარხარდნენ დამხვდურნი.

წიწა წიკლაურს „დედების" ამოცნობაში ბადალი არა ყავს არაგვის ხეობაში. ახალგაზრდაა, მაგრამ უკვე გაითქვა სახელი, როგორც კარგმა მცნობარმა. წლეულს 1200 სული ცხვარი უდოლებია.

მასპინძელი ადამ ქავთარაძე სტუმრებს სამყოფში შეუძღვა. კრება დაწყებულიყო. მწყემსები წამოიშალნენ და თავთავიანთ გვერდით ადგილები შესთავაზეს.

საძოვრების სამმართველოს უფროსის მოადგილე ავთანდილ რაზმაძე თავმჯდომარეობდა კრებას, რომელზეც კრასნოდარის მხარის უსტ-ლაბინსკაიას საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობის მუშაკთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა წერილს იხილავდნენ.

რაიკომის წარმომადგენელმა ნოდარ ობგაიძემ თქვა:

— დუშეთის საწარმოო სამმართველომ თეთრწყაროელები გამოიწვია შეჯიბრებაში. დიდი ამოცანების წინაშე ვდგევართ. ჯერი თქვენზეა.



ყაზბეგის რაიონის რაიაღმასკომის თავმჯდომარე კონსტანტინე გელაძე, ყიზლარის საზამთრო საძოვრების სამმართველოს უფროსი მიხეილ გელაშვილი და სოფელ სნოს კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსი არჩილ ფირანიშვილი ამოწმებენ საკვებს.

— გიჭირთ რამე? — ჰკითხა შალვა მწითურმა.

— არცრაი, — გამოცრა მწყემსმა და ფაფახი შუბლზე აიწია, — კარგ დროს მოსულხართ, საღამოს მთელი არაგვის მწყემსობა ჩვენს ბინაში მოიყრის თავს. კრასნოდარელთა მოწოდებას ბევრი ქომაგი ჰყავს, ჩვენც ვიზიარებთ...

ფერმკრთალმა მზემ ღრუბლებიდან გამოიხედა, სხივები ძუნწად მოაბნია ველს, თითქოს ცხვარსა და მეცხვარეს მშვიდობის ღამე უსურვაო, და ჩაქრა.

ფართოსარკმლიან რძისფერ შენობასთან ნაგაზები გაცხარდნენ. წიწა წიკლაურმა ოთხფეხი დატუქსა და მანქანას შეეგება. სამი ბატკანი ამოედო იღლიაში.

— ას დედა ცხვარზე ოთხმოცდაჩვიდმეტ ბატკანს გპირდებით, თვითეულ სულზე კი სამკილოგრამ ნახევარ მატყლს გავპარსავ, — დინჯად დაიწყო თავსარქალმა ილია წიკლაურმა და თანამეკომბლე ილია ყველაიძეს გადახედა, — თუ დამთანხმდება, ილიას გამოვიწვევ შეჯიბრებაში.

ყველაიძემ ხარბად მოწია პაპიროსი, მუხლებზე დადებული ფაფახი ჩაბღუჯა, ზანტად წამოიმართა. ბრიგადის ბიჭები მზერით გადათვალა, — თანახმა ვართ! — ეს თქვა და დაჯდა.



გუდამაყრის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ადამ ქავთარაძე

ალექსი ბურდულის ბრიგადა ქიჭნა ჩოხელმა გამოიწვია, ვანო წიკლაურმა კი წიწა ბექაური...

ბჭობა გაუგრძელდათ არაგველებს. ქვეყნის დოვლათზე მსჯელობდნენ. პირობა დასდეს, საქმეს კი მაშინ დაინახავთ, როცა ჩვენი ფარები არაგვის წყალს დალევენო...

ნოღაის უკუნეთში ბინების სარკმელიდან გამომკვირვალე სინათლე ბჟუტავდა, ქარი სისინებდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად მიაქროლებდა ველებზე ფანდურის ხმას, რომელსაც ხამუშად ერთვოდა გოგილო არაგველის სიმღერა...

## მწყემსი აკეთებს ტრეპანაციას

კასპიის ზღვიდან მონაბერი ქარი მთელი ღამე ებრძოდა ბურუსს. თოვლის ფიფქები მოფარფატებდნენ და თეთრ სამოსად ეფინებოდნენ მიდამოს.

განთიადისას უფრო იმატა ყინვამ, ქარიც უფრო ძლიერად ეხეთქებოდა ფარეხის კედლებს. მორიგე მწყემსმა შემოვლის შემდეგ ბინაში კარგი ამბავი ვერ მოიტანა, გაგვიარხილდაო, — ამცნო მწყემსებს.

ბიჭები წამოიშალნენ.

— მაკე ცხვარს მთელ დღეს ფარეხში ვერ გავაჩერებთ, საკვები უნდა მივცეთ. — შეახსენა უფროსმა მწყემსმა კოლა ქავთარაშვილმა ამხანაგებს და სწრაფად გამოვიდა გარეთ. ფარეხის კარი შეაღო. კუთხეში ცხვრები ირეოდნენ. მბჟუტავი ფარნის შუქზე კოლამ წაქცეული თოხლი შენიშნა. იგი გულაღმა იწვა და ფეხებს საცოდავად ასავსავებდა.

— ეს სატიალო ავადმყოფობა რაღა ფარაში ნარჩევს უნდა შეხვდეს, — თქვა და თოხლი წამოაყენა. ყურები მოუსრისა, თვალებში ჩახედა, — ჰოო, რეტი გასჩენია, — ჩაილაპარაკა და საბატკნისაკენ გააქანა.

— რაია, კოლავ, რაი დაემართა? — იკითხა ვლადიმერ ლუდუშაურმა.

— რაია და გარეტიანებულია!

— წლეულს ჩვენს ფარაში რეტი ძალიან გახშირდა, — უთხრა კოლამ მწყემსებს. — დავკვირვებივარ, როცა ბატკანი ძუძუს მოწყვეტის დროს ლორთქო ბალახს დაჰკრავს პირს, ავად ხდება.

— რაი ვიცი, ისეთი სწრაფია ეგ ოხერი ავადმყოფობა, რომ ჩვენი ექიმები შველას ვერც კი ასწრებენ, — ჩაილაპარაკა ფერმის გამგემ გიორგი ფიცხელაურმა.

— წეღან შენა თქვი, ექიმები ვერას შველიანო, აი სწორედ ეგ მტკენს გულს, ჩემო გიორგი. არა და ამ თოხლის გაჩენა კარგად მახსოვს, ყინვა იყო და უბით მოვიყვანე ბინაში, ისე გავზარდე ბიჭა ბატკანი.

კოლა საბატკნე წნულს დაეყრდნო. ფიქრები ერთმანეთში აერია. ერთი აზრი უტრიალებდა თავში: გადადგას თუ არა ნაბიჯი სხვების დაუკითხავად? არა და დრო აღარ იცდის. სხვებს გაუმხილოს თავისი აზრი? ვაი თუ არ დათანხმდნენ, უარი უთხრან.

საბატკნის კარი შეაღო. ცხვარი წამოაყენა. გაატარა, შემდეგ მოშორებით დადგა და ცხოველის თავის მოძრაობას დაუკვირდა. ცხვარმა ოდნავ მარცხნივ გადააგდო თავი და ციბრუტივით იწყო ტრიალი. ის იყო უნდა წაქცეულიყო, მწყემსმა ხელი შეაშველა. მარცხნივ ბრუნავს, მაშასადამე, თავის ტვინის მარცხენა ნაწილში აქვს რეტი. ხელით უსინჯავს თავის ქალას. იცის, ამას ადრეც დაჰკვირვებია, ძვალი სწორედ იქ უნდა იყოს შერბილებული, სადაც რეტის პარკია.

ერთ ზაფხულს, ხრეკის მთაში შენიშნა კოლამ, როგორ და სად უჩნდებოდა ცხვარს რეტი, რა დამახასიათებელი ნიშნები ჰქონდა მას.

შუაღამე გადასულიყო, მყინვარწვერიდან მონაბერ ქარს სეტყვა მოჰყვა, შემდეგ კოკისპირული წამოუშინა.

უცებ ნაგაზი ყეფით გავარდა. მწყემსმა ხმა მისცა, თოფიც დაცალა, მაგრამ გვიანღა იყო. დარეტიანებული შიშაქი სეტყვის დროს გაპარულიყო და მგელს დაეგლიჯა. ქავთარაშვილმა გულდასმით გასინჯა მისი გატყავებული თავი და ხერხემალი. თავს ფრთხილად ახადა ქალა და ტვინს რომ დააკვირდა, შენიშნა, მარჯვენა ნაწილის ქვედა მხარეს პატარა პარკი ჰქონდა მიკრული. ასეთი რამ არასოდეს შეხვედრია და გაუკვირდა. პარკი ფრთხილად მოაცილა ტვინს, ბრტყელ ქვაზე დადო და გაჭრა. პარკიდან მომწვანო ფერის წყალი გადმოიღვარა, რომელსაც რაღაც თეთრი მარცვლები გადმოყვა.

იმ დღიდან, როცა გარეტიანებულ ცხვარს დაკლავდნენ ან ნადირისაგან დაგლეჯილს ნახავდნენ, ქავთარაშვილი გულდასმით ეძებდა უცნაურ პარკს და მას ყოველთვის პოულობდა თავის ტვინში, — ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ. ზოგჯერ პარკი ტვინს ქვევით ჰქონდა გამოკრული, ზოგ შემთხვევაში კი ხერხემალზეც. კოლა საკუთარი დაკვირვებით იმასაც ხვდებოდა, რომელ მხარეს ექნებოდა ცხვარს პარკი, სწორედ იმ მხარეს იყო ხოლმე დარბილებული თავის ქალაც...

— ამათი მორჩენა მაინც არ იქნება, — ისევ დახედა ქავთარაშვილმა გარეტიანებულ თოხლს, — წლების მანძილზე გულში ნადები ახლა უნდა განვახორციელო. იქნებ შევძლო ოპერაციის გაკეთება უნდა ვეცადო. გიორგი, მომეხმარე!



მცნობარი წიწა წიკლაური.

კოლამ იოდის ბოთლი და სპირტი იქვე საწოლზე შემოდგა, დანა გალესა და მდუღარე წყალში ჩააგდო.

— გიორგი, ცხვარს ფეხები გაუკარ და მაკრატლით თავზე მატყლი შემოკრიჭე. — მე ძაფს გავამზადებ...

მან კუთხეში მიგდებული მსხვილი ბაგირი შენიშნა, გაჭრა, შუაგულიდან სუფთა ძაფები გამოიღო, მუხლზე მოჭიმა და მდუღარეში ამოავლო. მერე ცხელი წყლით ხელები გადაიბანა, სამართებელი მოიმარჯვა, ჩარბილებული ადგილი შემოპარსა. გარშემო სპირტი მოუსვა და დანა დაადო. ძვალი გაჭრა, ახადა. ცხვარი წვალობდა, ქოშინებდა, ირგვლივ მყოფნი სიტყვის თქმასაც ვერ ბედავდნენ...

ფრთხილად დასდო ამოჭრილი ძვალი მაგიდაზე, სწორედ ამას ვეძებდიო, სიხარული ველარ დამალა მწყემსმა, ძარღვები დაეჭიმა შუბლზე, ოფლმა დაასხა. ტვინზე მიბმულ პატარა პარკს ფრთხილად ჩაუყარა დანის პირი, ზევით ასწია, ძირში შეაჭრა და პარკი პატარა ჭიქაში ჩაუშვა. მერე თავის ქალას ფრთხილად დაადო მოჭრილი ძვალი და შემოკერა. ჭრილობა იოდით მობანა და სპირტიანი ბამბა დაადო, დოლბანდით შეუხვია, ცხვარს ფეხები შეუხსნა. თოხლი ოდნავ წაბარბაცდა და საბატკნეს წნულს მიეყრდნო. მკურნალს შეხედა.

— ოპერაცია ათ წუთს გაგრძელდა, — ჩაილაპარაკა ვილაცამ.

— მთავარი შედეგია, — თქვა კოლამ და ისევ ცხელ წყალში ჩაჰყო ხელები.

ყველა ავადმყოფ ცხვარს მისჩერებოდა, აზრის გამოთქმა უჭირდათ. ქავთარაშვილი ისევ გიორგის მიუბრუნდა, მეორესაც შეკრიჭეო... კოლამ ახლა უფრო გაბედულად აამოქმედა დანა. ოპერაციამ კვლავ წარმატებით ჩაიარა. ორივე ცხვარი თბილ ფარეხში მოათავსეს.


ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითნასწავლი მკურნალი კოლა ქავთარაშვილი.







მოწინავე მწყემსი ზურაბ ჩიბაშვილი (ყაზბეგის მახარაძის სახელობის კოლმე-ურნეობა).

ქავთარაშვილის „ოპერაციის" ამბავი ნოლაის ველზე მწყემსებმა მალე შეიტყეს. ისინი მოდიოდნენ და გამოჯანმრთელებულ ცხვრებს ნახულობდნენ მსგავს ოპერაციას მკურნალი მწყემსი ახლაც დაუზარებლად აკეთებს. მათი უმრავლესობა წარმატებით მთავრდება.

კოლას თუ სიტყვას ჩამოუგდებთ რეტზე, ხალისით გესაუბრებათ. ლაპარაკში ის არ ხმარობს სამედიცინო ტერმინებს, მაგრამ საუბარი გასაგებია.

თუ კოლა ქავთარაშვილს სხვა მწყემსებიც მიბაძავენ, მრავალ ცხვარს ვიხსნით დალუპვისაგან.

## თავდადება

მზე ერთი შუბის ტარზე ასცდა მთას. ჩამოცხა. მწყემსმა ჩრდილისკენ უბრუნა პირი ფარას, შემდეგ ფარაჯის კალთა აიწია და ჩამუხლა, მთის ანკარა წყაროთი შუბლი გაიგრილა.

ნაგაზმა ყეფა ატეხა. მწყემსი ერთხანს სმენად გადაიქცა.

— ჰაუ! ობოლავ, — გაეხმიანა ნაგაზს და თავქვე დაეშვა. დათვია ტიალიო, —ნაგაზის ყეფაზე მიხვდა ზურაბი. ჩანჩქერის თავთან ნადირის კვალი იკარგებოდა. ქუჩ ბალახზე სისხლი შენიშნა. ხანჯალი იშიშვლა და ძაღლის ხმას მიჰყვა...

ჩიბაშვილმა შეუტია მხეცს, — ფარაში ნარჩევი მოგიტაცნია! — თითქოს შეასმენსო, დასძახა და ხანჯალი უმარჯვა, უკანა ტორებზე შემდგარი მხეცი კლდეს შეენარცხა, შემდეგ მინდვრიანზე წაიბუღრავა და ზელტი ისროლა. მაგრამ ხანჯლის წვერმა მაინც უწია საფეთქლამდე. დათვმა წინა თათები თავზე შემოიდო, უკანა მუცელზე დაიწყო და ბურთივით შეკრული ქარაფიდან დაგორდა.

იმ შემოდგომაზე ნამწყემსარიც შეუქეს ზურაბს და მარჯვენაც. წლები გავიდა. ზურაბმა ცხრაჯერ დალია ცხრა წყაროსთან წყალი, ცხრაჯერ შეხვდა ნოლაის ველზე გაზაფხულს.

შარშან ნოემბერში ქვეყნის თავკაცებმა კრემლში რომ ცხოვრების წინსვლაზე ახალი აზრი გამოთქვეს, ზურაბ ჩიბაშვილი ნოლაეთში ფარას უთევდა ღამეს. არ გამოჰპარვია მათი ნაფიქრალი. აკი უთხრა კიდეც თავმჯდომარე ივანე ჩოფიკაშვილს: — სოფელს უთხარით, რომ რაიონში ჩემს თოხლის ფარას ბადალი არ ეყოლება... თავდადებული მწყემსი ფხიზლობს. თავს დასტრიალებს საწყემსოს. ქარში რომ გახედავს ცხვრის ზურგებს, გგონიათ ბეწვს უზომავსო. წლეულს თვითეულს ოთხ კილოგრამ მატყლს გააპარსვინებს.

ეს ზურაბის წვლილიცაა ქვეყნის დოვლათის, თვითეული მშრომელის პირადი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ზრუნვაში.

## თერგის კვალდაკვალ

ქართველ მეცხვარეებს რესპუბლიკის ნახევარმილიონზე მეტი ცხვრის გამოსაზამთრებლად დიდი სიძნელეების გადალახვა უხდებათ. სექტემბრის ბოლოს ისინი აიკრავენ ხოლმე გუდა-ნაბადს, კვალდაკვალ მიჰყვებიან თერგს, გაივლიან დარიალის კლდეკარს, გადასერენ ჩრდილო-ოსეთის ტერიტორიას, გროზნოს ოლქს, დაღესტნის ავტონომიურ რესპუბლიკას და რვაასი კილომეტრით დაშორებულები რვა თვით დაიდებენ ბინას ნოლაის ველზე, სწორედ იქ, სადაც თერგი უერთდება კასპიის ზღვას.

ოდესღაც მთელ ამ ტერიტორიაზე, რომელიც 18 ათას კვადრატულ კილომეტრს აღემატება, მხოლოდ ერთადერთი დასახლება ყოფილა, სადაც კავკასიელი ტყვეები იყიდებოდა, პეტრე პირველს, მისი მემატიანეს გადმოცემით, ამ დასახლებისათვის „შავი ბაზარი" („ჩორნი რინოკი") შეურქმევია. ადვილი წარმოსადგენია, რა სიძნელეებს აწყდებოდენ უწინ მწყემსები ამ უკაცრიელ ველზე, რა მტრობა და ქიშპობა სდევდა მათ თან.

ახლა ქართველი, ოსი, ჩეჩენი, ქისტი, ლეკი თუ აზერბაიჯანელი მეგობრულად ცხოვრობენ და სამმოდ ხელს უწვდიან ერთმანეთს. ეპოქის სუნთქვამ შორს გაისროლა ავი ადათის სისხლიანი ხანჯალი.

შეიცვალა მწყემსის ცხოვრება, გაქრა მიწურები, ყველა ფერმას თავისი მრავალსაწოლიანი ახალი ტიპის ბინა აქვს: აბაზანებით, საცხობებითა და ყველა დამხმარე სათავსოებით. ყველგან ამოჩუხჩუხებს არტეზიული ჭა და მწყემს ერთი-ორი დღის სავალიდან აღარ უხდება წყლის მოტანა.

კოჩუბეიში არის მწყემსების კულტურის სახლი, რომელსაც აქვს მოძრავი კინოდანადგარები და მანქანა-კლუბები; კოოპერატიულ ვაჭრობასაც კარგად მოუმარაგებია ისინი.



ზურაბ ჩიბაშვილი საძოვრებზე თავის ერთგულ მეგობრებთან ერთად.

კოჩუბეის მწყემსთა საავადმყოფოს მთავარი ექიმის ალექსანდრე მარსაგიშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ 40 საწოლიან საავადმყოფოში მწყემსები ხშირი სტუმრები აღარ არიან. ბრუცელიოზით დაავადება ახლა აქ იშვიათი შემთხვევაა. ამ რამდენიმე წლის წინათ კი ეს ავადმყოფობა სასტიკად მძვინვარებდა. გახსნილია აგრეთვე ამ საავადმყოფოს თხუთმეტ საწოლიანი ფილიალი, რომელიც აღჭურვილია ყველა სამედიცინო ხელსაწყოთი, ლაბორატორიით.

განვლილ საზამთრო სეზონში კოლმეურნეობებმა 570 ათასი ცენტნერი თივა და 2000 ტონა კომბინირებული საკვები შეიტანეს ფერმებში, რამაც საგრძნობლად გაუადვილა მწყემსებს მძიმე ფიზიკური შრომა.

ზამთარს კიდევ ერთხელ შეერკინენ მამაცი მწყემსები და ნახევარმილიონზე მეტი ცხვარი უდანაკარგოდ გამოაზამთრეს. ას დედა ცხვარზე 99 ბატკანი შეინარჩუნეს. მალე ჩვენი რესპუბლიკის დოვლათი —„თეთრი მდინარე" ნოლაეთიდან თერგს გაუსწორებს თავს, მის კვალდაკვალ ივლის და დარიალში შემოვა.

მშვიდობითაც ევლოს!







ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქოჩრით ფქვილი



გიორგი შაბურაშვილი

მოთხრობა

მხატვარი ქ. მახარაძე

რას არ იტყვიან ეს თვალადელები!

განა შეიძლება წისქვილიდან ქოჩრით გაზიდული ფქვილით კაცმა ბეღელი გაავსოს, პური აცხოს, შეძლებულად იცხოვროს, თანაც ორსართულიანი სახლი წამოჭიმოს?

ქოჩრით ფქვილი...

ან რა თავი უნდა ჰქონდეს ასეთ კაცსა, ან რა ქოჩორი.

ასეთი ხმები კი მართლაც დადიოდა თვალადში... მოგონება ყველაფრისა შეიძლება. თუ კი გულით გინდა, ამ მოგონილსაც დაიჯერებ და გაინამდვილებ.

ჰოდა, რაკი ერთმა კვიმატმა ენამ თქვა, თვალადშიც მალე ყველამ დაიჯერა ეს უცნაური ამბავი.

— არ მიკვირს, განა გოდრით გაზიდული ღვინო კი არ მახსოვს!

— გოდრით ღვინო?

— ჰო, გოდრითა... გოდრით მოტანილი ღვინო მინახავს და მისვამს კიდეცა!

არ დაიჯერებ და ნუ დაიჯერებ. თქმა მისია და ნება შენი... ჰაერზე ნათქვამი ნოტარიუსთან ბეჭედდასმული დოკუმენტი ხომ არ არის, რომ მერე ბრალდებად წაუყენო ვინმეს, ამიტომ ქილიკი ენა არ ისვენებს: მავანი და მავანი — მავანსა და მავანს გოდრით ღვინოს უზიდავდა, აი იქ, სოფლის თავში რომ იფნებია, მოფარებულში, ჩუმად ღვინოს ასმევდაო.

გოდრით ღვინო...

ესეც ხუმრობად მოგეჩვენება, მაგრამ მალე დარწმუნდები, რომ მავანსა და მავან კაცს ნამდვილად უზიდნია გოდრით ღვინო თავისი მფარველისათვის. ქეიფისა და პატივისცემის ამბავი ცხვირწინ ატუზულ კარის მეზობლებში რომ არ დარხეულიყო, ის მოხერხებული კაცი მოზრდილ გოდორში ღვინით სავსე კასრულას ჩადგამდა, აქეთ-იქით ახლად გამომცხვარ გამტკიცულ პურებს ჩაულაგებდა, ზევიდან რგვლად მოხარშულ ქათმებსა და ქორფა მწვანილს დააწყობდა. მერე პატარა ლურჯ სუფრას გადააფარებდა, მერე ორ-სამ ბლუჯა ახლად გათიბულ ბალახს დააყრიდა, გოდორს ზურგზე მოიკიდებდა და ასე აზურგული ნება-ნება გასწევდა იმ იფნებისკენ, მოფარებულში... მერე იცლებოდა და ივსებოდა კასრი, იცლებოდა და ივსებოდა ღვინით ყვითელი ბწკლის გოდორიც.

არც ახლა დაიჯერებთ, რომ გოდრით ღვინის წალება შესაძლებელი ყოფილა?

ჰო... ხუმრობაა თუ არა, ახლა ქოჩრით გაზიდული ფქვილის ამბავიც მოვისმინოთ.

* * *

მეწისქვილეს სახლი არც ისე ახლო ჰქონდა, მაგრამ დღე თუ ერთი იყო, მისი წისქვილის კარის გამოხურვა და შინ წასვლა ათასი... როცა ლოდინით დაღლილი მესაფქვავენი წისქვილთან ატყორცნილი კაკლის დალოცვილ ჩრდილებში დასასვენებლად და თვალის მოსატყუებლად მიეყრებოდნენ, მეწისქვილე ხვიმირას მოაპირთავებდა, კრიჭას გაუსწორებდა, ალას თვალქვეშად ჩახედავდა, ჩემ ჩამობრუნებამდე ხომ არ აივსებაო... კარს გამოიკეტავდა და შინისკენ მიმავალ ბილიკს ქანაობით აჰყვებოდა.

ბილიკიდან შარაზე გასულ მეწისქვილეს უცხო მგზავრი რომ შეხვედროდა, უთუოდ იფიქრებდა, თვალადელებს მოხუცი მეწისქვილე ჰყოლიათო, ისე იყო ამოგანგლული. ჯაგარა ქოჩორი თეთრად ჰქონდა დახრილული და ფქვილით დაზვინული. გაფრენილი ნაბიჯით კი მიდიოდა შინისკენ, ჩქარობდა, მაგრამ მეზობლების სახლებწინ ჩამომსხდარ ქალებისკენ არ იხედებოდა, არც თავს აკანტურებდა სალამის ნიშნად, თითქოს მართლა ფრთხილობს ქოჩრიდან ფქვილი არ ჩამომებერტყოსო.

ან რად უნდა მიეხედა მეზობლის დედაკაცებისკენ? სალამი დღეში ერთი დაუწესებია ღმერთსა... დილით ერთს რომ ჩამოივლიდა მეზობლების კარმიდამოზე, მშვიდობის დილას ეტყოდა და ჩაივლიდა. იმას არც უყურებდა, რომელს მიესალმა და რომელს არა, სად ეცალა მათ გამოსარჩევად და გამოსაცნობად, სულ ერთი-მეორეს ჰგვანდნენ ეს ქალები, სულ ერთნაირად ისხდნენ და გზაზე გამვლელ-გამომვლელს მზირებივით უთვალთვალებდნენ. წისქვილიდან მომავალ მეწისქვილეს დაინახავდნენ თუ არა, მუდამ ამას იტყოდნენ:

— აჰა, მიაქვს, მიაქვს!..

— დამიხედეთ მაგ თავგასიებულსა, დააქცია სოფელი, ქოჩრით გაზიდა წლის მოსავალი.

— მეხი კი დავაყარე მაგის კოკობზიკა პატარძალსა... თურმე დახვდება, წინ თაბახს დაუდგამს და ქოჩორს ჩამობერტყავს. ბიჭია და ნუ მიიტანს, შინ არ შეუშვებს, ლოგინში არ ჩაიწვენს.

— ქვებუდანები არიან და ტურლუნები... თითო ჟავლაზე ასი გრამი რომ აიტანოს, წლისთავზე ბეღელს ამოავსებს.

— იმიტომაც ისმის მაგათი სახლიდან მაგ ახვირაგის შინ მისვლაზე იმ კოკობზიკას კისკისი და კაკანი. განა გასახარელი არა აქვთ!

— ნეტავ რა გული მისდით იმ ფქვილზე მაგ...

— ფუჰ, ფუჰ, რა გემრიელი პური გამოუცხვებათ!

— გეძახიან, დიახ!.. თითონ რად იკადრებენ ზინზლიანი ქოჩრით მიტანილ ფქვილსა! ჰყიდიან...

— ჰყიდიან, განა?

— აბა ხის მასალა რით იყიდეს? ხანდაკური ტუფი... ქვნის კრამიტი.

— ბენტერა თედოს კი არა ჰგავს, პირდაპირ ბარდანა ტომრით რომ ეზიდებოდა, დღისით, მზისით, ყველას თვალწინ.

— აკი იმიტომაც შეჰკრა თავი.

— ეგეც შეჰკრავს...

ბრუნავდა დოლაბი, სარეკელა რეკდა და ფქვილი ალაში იცრებოდა. იცრებოდა თეთრი უმტვერო ფქვილი, თოვლივით იბარდნებოდა. დოლაბივით ბრუნავდა ავყია დედაკაცების ყბაც. ვაი მათ ყბაში მოქცეულ მეწისქვილის თავსა! არ ილლებოდა კრიჭა, სარეკელასავით მომაბეზრებლად რაკუნობდა და სოფლის უზარმაზარ, ცნობისმოყვარე ყურში ცვიოდა ამბავი, ფუვდებოდა ავად ნათქვამი ქართული.

ახლა შინიდან მომავალზე ატყდებოდა კრიახი:

— მოუტანია და მოდის!..

— აკი ვთქვი, ჩამოუბერტყავს და შეხე... ქოჩრით შავად მოაბნელებს ორღობესა!

— ჰი... თვალებიც როგორ უცინის.

— უკან რო ბრუნდება, სულ ასე სახეგაბადრული მოიზლაზნება და მოღიღინებს.

— განა არა აქვს საღიღინო... ერთი სამინდე მაინც მიაშავა და მიამიწა თავის მზეთუნახავსა!

— ჰაი, ძვალი და ჭვალი შენ ენასა!

ხუმრობდნენ და თავათვე ეცინებოდათ, ჩაბჟირებით ხითხითებდნენ ქილიკად ნათქვამზე.

მეწისქვილე მართლაც მთვარესავით გაბადრული მოალაჯებდა. ხშირი ბუჩქა ქოჩორიც კუპრივით უბზინავდა... თვალები კი უცინოდა, მაგრამ დაქანცულივით მოაბიჯებდა ორღობეში, რაღაც დონდლოდ და უგერგილოდ მოჰქონდა მოწყვეტილი ფეხები, თითქოს ფქვილი ქოჩრით კი არა, ათფუთიანი ტომრით მიეტანოს შინა.

ან კი როგორ არ დაიქანცებოდა, დღე ერთი იყო და მისი ავლა-ჩამოვლა ათასი. თუმცა რას ვამბობ, რათა ვდევ თვალადელი ჭორიკანების ნაბუქალს.

ასე იმათ ეჩვენებოდათ და ესახებოდათ... ალბათ, გუშინდელი ავლა-ჩამოვლა დღევანდელად ახსოვდათ. ან ასე უნდოდათ. ვინ იცის?

მეწისქვილე კი მოაბიჯებდა ორღობეში და ღიღინებდა:

**ან ავლილი ან ჩავლილი**
**ხომ არ გინახავს?**

დაღლილი, მაგრამ კმაყოფილი სახე ჰქონდა... იქნებ ქოჩრით გაზიდული ფქვილით გავსებული ბეღელი უდგა თვალწინ, იქნებ ახლად აშენებულ სახლს უთვალთვალებდა ოცნებით. ესეც ვინ იცის!

* * *

ქურდისა და ხელმრუდის მოხელთება რომ ადვილი იყოს, კაცის ჯავრის სათვალავს ერთი მაინც მოაკლდებოდა. ადვილი არ არის და თვალადელების გნიასიც არ წყდებოდა.

ორსართულიანი სახლი დიდი ხნის აშენებული იყო. შუშაბანდი ცისფრად შეღებილი, ავი მეწისქვილე კი, ავყია ქალების თქმით, მაინც არ ისვენებდა, ქოჩრით ფქვილს მაინც ეზიდებოდა წისქვილიდან.

სოფლის თავკაცები ამის გაგონებაზე იცინოდნენ და ხანდახან სიტყვას მეწისქვილესაც გადაუკრავდნენ ხოლმე:

— ბიჭო, დღეს რამდენჯერ მიიტანე შინ ფქვილი ქოჩრითა, ჰა?

ამას უფროსები თუ გაუბედავდნენ, ტოლები კი სხვანაირად სუსხავდნენ. დღეში რამდენჯერ უნდა აირბინო შენ მზეთუნახავთან, არ მოგწყინდაო... თან ფქვილით დაზვინულ ქოჩორზე დაუშტერებდნენ თვალს, თითქოს ანიშნებდნენ, ემანდა, ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო!

ეჭვიანი თვალი კარგა ხანს ბურღავდა მეწისქვილის შუბლს. მეწისქვილე შეკრთებოდა, გაწითლდებოდა... ისე გაწითლდებოდა, მის შავგვრემან, ძალზე შავგვრემან სახეს მოლურჯო-მოწითალო მრეში ფერი დაერეოდა, თავს ჩაქინდრავდა.

— ჰოი, ეგ ქალები, მაგათ ყბაში ჩემი მტერი ჩავარდეს... ჯერ მუხლში ძალა ისე არ გამომლევია, დღეში ორჯერ-სამჯერ არ ავირბინო!

— ხედავთ, არც კი უარობს!

— აგაშენა ღმერთმა, ქურდიც ასეთი უნდა!

— დღეში ორჯერ-სამჯერო... აბა იანგარიშე, რამდენი დღეა წელიწადში! სამას სამოცდახუთი... გაამრავლე რამდენს იზამს. ორჯერ-სამჯერო, რომ ამბობს, ერთი-ორს ხომ ნამდვილად იპარავს. ჰა, თუ გინდ სამზე გაამრავლე!

— მერე ეს თუ გეცოტავოს, ახლა ისიც წაამატე, რასაც ჯიბით მიიტანს!

— მიდი და სდიე... ვერც ჯიბეს წააჭრი და ვერც ქოჩორს გადაკრიჭავ!

— შაბაშ, მეწისქვილევ!

* * *

სიყვარულის ისტორიას არა ვწერ... მეწისქვილეს თავისი მზეთუნახავი უკვე შერთული ჰყავდა, როცა მე ისინი გავიცანი. მათი ცხოვრების წინაისტორია სხვა მოთხრობის თემაა, ამიტომ ისევ ქოჩრით მოპარული ფქვილის ამბავს გავყვეთ.



ვერ იქნა და ვერ გადააკრეჭინეს ქოჩორი მეწისქვილეს. ალბათ ეს უნდოდათ. მერე მითქმა-მოთქმა მიწყდებოდა, სოფლის ყბაც დაისვენებდა... მეწისქვილე კი, როგორც ჩანდა, საციმბიროდაც რომ წასვლოდა საქმე, თავის ქოჩორს სადალაქოდ ვერ გაიმეტებდა.

ერთხელ ტყიდან მომავალმა წისქვილში შევუხვიე და მცირე ხნით შევისვენე. ჩემი ქოჩრიანი გმირი ძველ მოთხრობებში დახატულ ბებერ მეწისქვილეებს არა ჰგავდა, მაგრამ კარგი მოსაუბრე იყო. მე თუ რამ ვიცი წისქვილისა, მისგან ვიცი. დღეს კი ლაპარაკის გუნებაზე არ იყო. მაშინვე მითხრა, წუხელ კარგად არ მეძინა, ძალღივით მოთეთქვილი ვარ, შენც დაღლილი ჩანხარ, მოდი ჩემსას ავიდეთ, დღეს ჩემი სტუმარი იყავიო.

სიამოვნებით დავთანხმდი. წისქვილიდან გამოვედით. ათიოდე ნაბიჯიც არ გვქონდა გავლილი, შეჩერდა, ხელი ჩაიქნია და გაბრუნდა. გაოცებით გავაყოლე თვალი ჩემი მასპინძლის თეთრად დაბარდნილ უზარმაზარ თავს და გზის პირას ლოდზე ჩამოვჯექი.

წისქვილის კარის ჩაკეტვა თუ დაავიწყდა-მეთქი, გავიფიქრე.

მეწისქვილემ წისქვილს გვერდით აუარა, რუს თავთან ავიდა. სავსე ღარისთავიდან წყალი ჩანჩქერივით ჩამოჩქეფდა. მეწისქვილე გაილაჯა, ხელები წყალს მიუშვირა და ხელ-პირის ბანვას შეუდგა.

ქოჩორი?

ყელ-ყური რომ დაიბანა, ახლა ქოჩორი მიუშვირა ჩახრიალას და საფუძვლიანად ჩაიბანა. წყლის ჩხრიალი და ნასიამოვნები მეწისქვილის ქშენა სარეკელას მხიარულ ხმაურს უერთდებოდა. გუნება გამიფუჭდა. აქამდე კიდევ ვფიქრობდი, დღეს მისი ქოჩრის საიდუმლოს ნაწილს მაინც გავიგებ-მეთქი, ახლა კი... ახლა რაღა? მეწისქვილემ ქოჩორი დაიბანა და ჩემი იმედიც გათავდა, იქნებ მოთხრობაც დამთავრდა?

იქნებ...

სადილად ნიორწყალში ჩაწყობილი დედალი ჰქონდათ. საკმაოდ უგემურად მეჩვენა, ალბათ მადა გუნებაზე ჰკიდია.

სამაგიეროდ მეწისქვილე ილუკმებოდა მადიანად. ჩემი თეფშისკენ მგონი არც გამოუხედავს. სუფრას რომ შემოვუსხედით, ერთი კი მითხრა, მიირთვი, ქათამი ნიორწყლით გემრიელიაო და თავის ღრმა ლამბაქში ჩაჰყო ცხვირი. ლამაზი პატარძალი უფრო თავაზიანი და პატიჟის მოყვარული აღმოჩნდა, სულ იმას გაიძახოდა, რატომ არაფერს მიირთმევთ, ნუ მერიდებით, თან ქმრის ახლად დაბანილ ქოჩორს გალიმებულ თვალებს არ აშორებდა... მეტი ან რა უნდა ეთქვა, ან რა უნდა გაეკეთებინა, კერძს ძალით ხომ არ გადმომიხვავებდა ცარიელ თეფშზე, როგორც ზოგიერთმა იცის?!

გუნება ვერც საკმაოდ შემჟავებულმა ქიწნურამ გამომიკეთა. ეჭვმოკიდებული და გაბრუებული დავბრუნდი შინ.

ეჭვი...

ჩემი ეჭვი ერთმა ჩემმა მეზობელმა დედაკაცმაც დაადასტურა. მან ბევრი იცინა და მითხრა, თქვენთვის მართლაც თვალი აუხვევიათო. ის ქოჩრის ბანვაც, ის ნივრიანი დედალიც სულ ეშმაკური ოინბაზობაა და მეტი არაფერიო. მერე ყურში ჩამჩურჩულა: თორემ აი, ნახავ, ხვალ ჩიკლია და ჩიქილა კამოარკვევენ ყველაფერსო.

ჩიკლიას და ჩიქილას მეც კარგად ვიცნობდი. სოფლის დალლარები და შარახვეტიები იყვნენ. ბლობიდან მოკიდებული ყურძნის მცვრევამდე სხვის ვენახებში დაძრწოდნენ, ხილის ქურდობა გართობად მიაჩნდათ... სხვისი, თორემ თავისას ჩხიკვსაც არ აკარებდნენ, თვალი შეუვიდოდა თუ არა, ბაზარში ეზიდებოდნენ.

აი ამ ჭაბუკებს ჰქონდათ მინდობილი მეწისქვილის საიდუმლოს ამოხსნა.

* * *

ჩიკლია და ჩიქილა მარჯვე ბიჭები იყვნენ და მეწისქვილის ეზოს მესერზე ისე ოსტატურად გადახტნენ, რომ არავის შეუმჩნევია. პატარძალი ამ დროს მეზობელთან იყო გადასული. ეს ყველაფერი წინასწარ იყო ნაანგარიშევი და აწონილ-დაწონილი. შეთქმულებაში მეწისქვილის კარის მეზობელიც იყო ჩათრეული.

გეგმა ვერაგულად იყო შედგენილი, მაგრამ ეზოში გადამხტარი ბიჭები გაუთვალისწინებელ დაბრკოლებას წააწყდნენ: იასამნის დაბურულ ბუჩქებში, სადაც ჩიკლია და ჩიქილა უნდა დამალულიყვნენ, უფრო ადრე მეწისქვილის ქათმებსა და წიწილ-კრუხს შეეფარებინათ თავი. კიდევ კარგი, დიასახლისი მეზობელთან იყო გადატყუებული და ეზოში „ჰაე, ჰაეს" ძახილით მაშინღა შემოიჭრა, როცა გააფთრებულ კრუხთან ბრძოლა ბიჭებს უკვე დაემთავრებინათ... დიდი წითელბიბილოებიანი მამალი, რა თქმა უნდა, პირველი გაქცეულიყო ბრძოლის ველიდან, წიწილებიც გაფანტულიყვნენ. კრუხიც სიამოვნებით გაჰყვებოდა მათ, მაგრამ ცალ ფეხზე შებმული კანაფი ბუჩქის ძირზე დახვეული აღმოჩნდა. სანამ ბიჭები კრუხს დაიმორჩილებდნენ, კანაფს გაწყვეტდნენ და აქოთქოთებულ დედას ბუჩქებიდან გადმოისროდნენ, იმდენი დრო გავიდა, რაც მეწისქვილის ცოლის შინ დაბრუნებას დასჭირდა.

პატარძალმა ჭიშკარი შემოაღო და გაოცებული შეჩერდა. დაწიოკებული კრუხი ბუჩქნარიდან ძლიერად დარტყმული ბურთივით გადმოეშვა და მის ფეხებთან დაეცა.

ბუჩქნარი საეჭვოდ ირხეოდა, მაგრამ პატარძალმა თავის გუმანს არ დაუჯერა, რითაც არც მას დაუკარგავს არაფერი და არც ამ მოთხრობის მკითხველს.

ქალმა ორი-სამი ნაბიჯი გადადგა ბუჩქნარისკენ. მერე შეჩერდა.

— დასწყევლა ღმერთმა, — წამოიძახა მან, — ჩასაფრებული ხომ არ იყო, ეზოდან ფეხი გადავდგი თუ არა, დაერია... ჰაე, ჰაე!

მერე მატიტელა ბალახში შემძვრალ წიწილებს დაუწყო თვლა:

— ერთანამ, ორი... ორანამ, სამი.. სამანამ, ოთხი... ოთხანამ... — მერე გული დაიმშვიდა, ყველაფერი დაავიწყდა, ისიც, რამდენი დათვალა, რად დაიწყო თვლა და ღიღინით ავიდა აივნის სამსაფეხურიან ქვის კიბეზე.

იასამნის ბუჩქებში ცხელოდა, ძალიან ცხელოდა. წვრილი, თვალით დაუნახავი მუმლი თუ ბურნა ირეოდა. ალბათ მწერებიც თავს აფარებდნენ იასამნის ჩრდილს. სიცხით გახვითქული ბიჭები განაბულიყვნენ და ჭირის ოფლს იწმენდდნენ.

აქედან ახლად შეღებილი დაკრიალებული აივანი ხელისგულივით მოჩანდა. აივნის ქვეშ, კიბის გვერდით, პატარა კარი იყო. ეს კარი სარდაფში ჩადიოდა. მარანი და ბეღელი ერთად ჰქონდა მეწისქვილეს. აქ, ბიჭების თვალწინ უნდა დატრიალებულიყო ის ამბავი, რომელიც რამდენიმე წუთის შემდეგ მთელ სოფელს ეცოდინებოდა.

ჩიკლია და ჩიქილა თანდათან მშვიდდებოდნენ. დიასახლისი ხან ოთახში საქმიანობდა, ხან აივანზე ისმოდა მისი ნაზი კრინი. ქათმებსა და წიწილ-კრუხს სხვა საჩრდილობელი მოეძებნათ. მხოლოდ შეურაცხყოფილი მამალი არ ცხრებოდა, ხანდახან ბრაზიანად წამოიყივლებდა და ეჭვიანად, ცალი ბრიალა თვალით იმზირებოდა იასამნის ბუჩქებისკენ.

მალე ღობის გადაღმა მეწისქვილის ქშენა და ფეხისხმა გაისმა. ჭიშკარი გაიღო და ბიჭებმა ყველაზე წინ მეწისქვილის ქოჩორი დაინახეს... თეთრად დაფიფქული და ფქვილით დაზვინული.

„ჰა, რატომ დღეს არ ჩაუბანია წყალში ქოჩორი, თუ ეგ კაი კაცია", — გაიფიქრეს ბიჭებმა და მოლოდინით გული შეუტოკდათ.

მეწისქვილე კიბეზე ავიდა. ის-ის იყო აივნიდან ოთახში უნდა შედგა ფეხი, რომ პატარძალი გამოვიდა და გაოცებულმა ბიჭებმა სასურველი სიტყვები გაიგონეს:

— მოიტანე? კიდევ მოიტანე?! ბარაქალა, ბარაქალა შენ ქოჩორსა!

ამ სიტყვებს პატარძალი ღიმილით ამბობდა, თან ქმარს სალოკ თითს მუქარით უქნევდა.

— აი, ასე უნდა თხოვნის შესრულება... აი, მესმის!

მეწისქვილე თავჩაღუნული იდგა ცოლის წინ.

— ერთი, შენცა... მომწყინდა.

იასამნის ბუჩქები ირხეოდა, მხიარულად ირხეოდა, მაგრამ ამას ვერც მეწისქვილე ხედავდა, ვერც მისი მზეთუნახავი.

მეწისქვილემ ხელი ქოჩრისკენ წაიღო.

— მოიცა, მოიცა, ქოჩორს ხელი არ ახლო, არც ფეხი გადმოდგა! აი ამ სპილენძის ტაშტში კარგად ჩაიბერტყე!

იასამნის ბუჩქი ზეიმობდა, ცმუკავდა და ხმადაბლა ხითხითებდა. ბიჭებმა იატაკზე სწრაფად დადგმული ტაშტის ზრიალიც კი გაიგონეს, ისინი ახლა მეწისქვილის ქოჩორს ველარ ხედავდნენ, აივნის მოაჯირს ზემოთ უზარმაზარი მხარ-ბეჭი და მოხრილი ზურგი ირხეოდა.

— სულ, სულ ჩაიბერტყე... აი, ეგრე, ეგრე! ახლა მაცალე! ახლავე თბილ წყალს გამოვიტან.

მეწისქვილე აივანზე გალაჯული იდგა, თავი დაბლა ჩაეკიდა და რაღაცას ბერტყავდა. მისი სიტყვები ბიჭებს არ ესმოდათ. არც იყო საჭირო. განა ყველაფერი ცხადი არ იყო. ისინი ახლა იმაზეღა ფიქრობდნენ, როდის დასრულდებოდა ეს ამბავი, რომ აქედან შეუმჩნევლად გაძურწულიყვნენ.

— აჰა, ესეც თბილი წყალი, — გაისმა აივანზე პატარძლის ხმა, — ჩაიბანე, კარგად ჩაიბანე... აი, ეგრე! ერთი წვეთი არ დაეცეს იატაკზე, იმიტომ კი არ ვაკრიალებ ყოველ დღე და ვაწკრიალებ აქაობასა, რომ დათვივით ამოგანგლული შემობრძანდე ხოლმე შინა!

იასამნის ბუჩქები ახლა გაოცებით ირწეოდნენ. ჩიკლია და ჩიქილა ერთმანეთს უგემურად შესცქეროდნენ.

— აგაშენა ღმერთმა, — ამოიქშინა მეწისქვილემ და წელში გასწორდა.

— პირსახოცი კარის ჩარჩოზე ჰკიდია, ჩატაკს გაუფრთხილდი, დათო...

პატარძალმა კიბეზე სწრაფად ჩამოირბინა, ისე სწრაფად, ვერავინ წარმოიდგენდა თუ ხელში მეწისქვილის ქოჩრის ნაბანით გალიცლიცებული სპილენძის დიდი ტაშტი ეჭირა. არც იატაკზე, არც კიბის საფეხურებზე, არც იმ სუფთად მოგვილ ბილიკზე, რომელიც იასამნის ბუჩქებისკენ მიიკლაკნებოდა, არც ერთი წვეთი არ დავარდნილა. ხელმარჯვე ქალი ჩანდა მეწისქვილის ცოლი. ის მხოლოდ ერთი წამით რატომღაც შეყოვნდა ბუჩქების წინ, მხოლოდ ერთი წამით გაიხედა ღობისძირებისკენ და... ამპარტავანი, ტრაბახა მამალი ისევ გაჯავრებული იდგა და ისევ ეჭვიანად იმზირებოდა ბუჩქებისკენ. კრუხს თამამად წამოზრდილ მატიტელა ბალახში დაებუდნა. წიწილები მშვიდად ქივქივებდნენ დედის ფრთებქვეშ... იასამნის ბუჩქებს სული გაენაბათ, ერთი ფოთოლიც კი არ იძვროდა რტოზე. პატარძალს არცკი მიუხედავს ბუჩქნარისკენ, ლონივრად, თვალისდაუხამხამებლად მოიქნია საპნიანი წყლით გალიცლიცებული ტაშტი, მერე ნარჩენიც ბუჩქის ძირებს მიასხურა და კიბისკენ ღიღინით გაბრუნდა.

მერე?

— მერე რაღა... ვახამხამებდით საპნიანი წყლით დაბრმავებულ თვალებს და გულში ვაგინებდით ჩვენ გამბრიყვებელ ქალებსა.

— მერე?

— კარგა ხანს ვისხედით გალუმპულები... კარგა ხანს გვესმოდა მეწისქვილის ხითხითი და იმ კოკობზიკა პატარძლის მხიარული კისკისი ჩაბნელებული ფანჯრებიდან... დიაღ, ამასობაში ჩამოღამდა კიდეც.

დიაღ, თვითონ ჩიკლიამ და ჩიქილამ მიამბეს ეს ამბავი.





# სიმონ ჩიქოვანი

(დაბადებიდან 60 წლისთავის გამო)

სიმონ ჩიქოვანი ეკუთვნის იმ მოწინავე შემოქმედთა რიცხვს, რომელთაც დააფუძნეს და ათეული წლების მანძილზე განამტკიცეს ახალი ქართული საბჭოთა პოეზია. ეს არის მდიდარი, დახვეწილი ფანტაზიის პოეტი, სიტყვის ჭეშმარიტი ოსტატი და უჩვეულოდ ფართო ერუდიციის ადამიანი. მახსენდება ოცდაათიანი წლების დასაწყისი. სიმონის მაშინდელი პატარა ოთახი მუდამ სავსე იყო ხალხით, გატენილი თამბაქოს კვამლით და იქ მუდამ იყო გაუთავებელი კამათი და დავა ახალი ლიტერატურის გზებზე. ჩვენს შორის მაშინ სიმონს ჰქონდა ყველაზე მდიდარი ბიბლიოთეკა — სავსე თაროებზე წყებაწყება ელაგა წიგნები, მთელ საუკუნეთა და ეპოქათა სიბრძნე რომ ჩაეტიათ თავისში. აქ ანტიკური ავტორები და იტალიური რენესანსის ოსტატები კეთილმეზობლურად მოთავსებულიყვნენ ბლოკისა და მაიაკოვსკის გვერდით. სიმონს მაშინ ჯერ დაწერილი არა ჰქონდა თავისი „მიძღვნა ვარძიის ოსტატისადმი“, მაგრამ პოეტის სულში ყველაფერი მზად იყო ამ ნაწარმოების შესაქმნელად. მის ესოდენ მძაფრ ინტერესს რენესანსის ოსტატებისადმი განსაზღვრავდა მისწრაფება პოეტისა — უფრო ღრმად შეეცნო ვარძიის ოსტატის საიდუმლოება, გაეზომნა ის მსოფლიო ხელოვნების ისტორიის მასშტაბებით, ეჩვენებინა სული დაუცხრომელი ოსტატისა — ქვაზე რომ ალბეჭდავდა თავის მშფოთვარე ტემპერამენტს.

სიმონ ჩიქოვანის პოეტური ფანტაზიის აღმძვრელი და სტიმულის მიმცემი მუდამ იყო ცოცხალი სინამდვილე, აწმყო და წარსული ხალხის ცხოვრებისა და საქართველოს ულამაზესი ლანდშაფტები. ამიტომ იყო, რომ პოეტმა იმავე ოცდაათიან წლებში სვანეთსა და ფშავ-ხევსურეთს მიაშურა და იქაური ყოფა, იქაური კოლორიტი მთელი სიმძაფრით შეიგრძნო. პოეტმა ხევსურეთს მიმართა არა ეგზოტიკური სურათების ხილვის მიზნით, არამედ იმ მიზნით, რომ ენახა და დაეხატა როგორ იჭრებოდა პატრიარქალურ ხევსურეთში ახალი, ჯერ უნახავი, თავისუფალი ყოფა, ახლებური ურთიერთობანი ადამიანთა შორის. რა თქმა უნდა, ახალი ყოფა ბარში უფრო მეტად საგრძნობი იყო, მაგრამ — არ ვიცი როგორ ვთქვა ეს — მთის თემას ჰქონდა რაღაც თავისებურება; აქ ბარში, მეოცე საუკუნე ცვლიდა მეცხრამეტეს, იდეურად უკვე მომზადებულს ახლის შესახვედრად, იმ მეცხრამეტეს, რომლისთვისაც თუნდაც პოეზიაში უცხო არ იყო არც „შრომის ახსნისა“ და არც პიროვნების თავისუფლების იდეები. ილია ჭავჭავაძემ ხომ ჯერ ისევ 60-იან წლებში თავის „მგზავრის წერილებში“ ახსენა სიტყვა „რევოლუცია“ და მისი მოახლოება იწინასწარმეტყველა. ხოლო მთაში მეოცე საუკუნე პირისპირ ხვდებოდა... მეხუთეს, მეექვსესა თუ მეშვიდეს, ხახმატსა და როშკაში ხევისბერი ჯერ ისევ წარმოთქვამდა ათასი წლის წინანდელ წარმართულ სახვეწურს ლაშარელასა თუ კოპალესადმი, და ამ ფონზე უფრო მკაფიო, უცნაური, მოულოდნელი იყო ბუბუნი პირველი ავტომანქანისა, რომელიც ხევსურებმა გაიგონეს. ყოველივე ეს აღვიძებდა რაღაც ძლიერ ინტერესს მთის თემისადმი და ახლა იგი წარმოსდგებოდა ახალ ასპექტში; სიმონ ჩიქოვანს, როგორც მხატვარს ისე აინტერესებდა ხევსურეთი — აქ ახლის შემოჭრის საჩვენებლად უფრო ინტენსიური ფერი შეიძლება დაადოს მხატვარმა ტილოზე, უფრო თვალისმომჭრელი სალებავი იხმაროს, და ეს მისი ტემპერამენტის ბრალი კი არ არის, ამას თვით თემა და და იდეა მოითხოვენ — ამ ფერებმა და სახეებმა უნდა გადმოსცენ დიადი გარდატეხა ხალხთა ცხოვრებაში.

აქ საილუსტრაციოდ მინდა დავასახელო სიმონ ჩიქოვანის „შემოღამება ხახმატში“. ხახმატი — უკანასკნელი სოფელია პირაქეთ ხევსურეთში; და აი, პირიქით ხევსურეთისაკენ გამგზავრებული პოეტი ღამის გასათევად ყუდია ალუდაურის სახლს შეაფარებს თავს. მთებზე მიმწუხრის ჩრდილები მიმოდიან და უკანასკნელი სხივი ისრის მომტყდარი წვერივით ჰკიდია, სადღაც ოდნავ-ლა ჩანს ბილიკი, ციხე-კოშკისაკენ რომ მიდის. გულდინჯად ზის თავის კერასთან ყუდია და საუბრობს, და იქვე, თითქოს ფრესკაზე ვხედავთ

ზის ერთი ღვთისო,
მეორე ღვთისო,
მესამეც ღვთისო — თვალებჭკვიანი.

შესცქერის მათ ყუდია და ნაჭრილობევ სახეზე ოცნების შუქი დასთამაშებს; ის შოფრის ხელობას ნატრულობს. — „შოფერს რას ამბობ? — იკითხავს ღვთისო, — შოფერს ხახმატში რა ესაქმებისო?“ მაგრამ ყუდია უხსნის მათ, რომ შოფერს სკოლა მოჰყვება თან, გაზეთი მოჰყვება, ახალი, უჩვეულო ცხოვრება მოჰყვება, რომლის ხალისიანი ჟრიამული ბარიდან ასე ცხადად მოისმის. ისევ მოილუშებიან მსმენელები, ღელავს ერთი ღვთისოც, მეორეც, მესამეც... მაგრამ გაუტეხელია ფარ-ხმლით შეჭურვილი მომავალი შოფერი და მის ამაყ გამოხედვაში პოეტი უკვე ხედავს ახლის შუქს, რომელსაც კაცის სული გაუნათებია და იმედებით აუვსია. ახლა „როშკელი ძილა“ გაიხსენეთ, ხევსურის ქალი, მოსკოვს რომ ეწვევა, ან სვანეთის ციკლი — უშგულელი ქალ-ვაჟებისადმი მიძღვნილი ლექსი. აქ ყველგან ისმის მძაფრი სუნთქვა ახალი ეპოქისა, გადმოცემული შესანიშნავი პლასტიკურობით, სადაც ნახატი თუ ნაძერწი ცოცხალია და ხალასი, მძაფრი და რეალისტური. აი აქედან, მთელი შემოქმედების მანძილზე გამოჰყვა სიმონ ჩიქოვანის პოეზიას ეს თავისებურებანი.

სიმონ ჩიქოვანის მრავალი ლექსი მოგზაურის შთაბეჭდილებათა გადმოცემით იწყება. ჯერ მარტო ლექსთა ციკლების სათაურები გაიხსენეთ — „შინიდან გაველ სამშობლოს გზაზე“, „მთაო გადმიშვი“, „პოლონეთის გზაზე“, „გოეთეს ცაცხვებთან“ და ა. შ. ამ დაულეველ გზებზე პოეტმა იპოვნა თავისებური რომანტიკა ახლის ნახვისა, ახლით გაოცებისა. მაგრამ ეს გზები ყოველთვის როდი იყო წყნარი და მშვიდობიანი; ცხრაას ორმოცდასამი წლის აპრილში პოეტს აზოვის ზღვის სანაპიროზე ვხედავთ, სადაც იმ ხანებში ყველაფერს ცეცხლი ჰქონდა წაკიდებული. ფრონტზე, სოფელ კალაბატკაში პოეტმა ნახა სამასი ქართველი ჯარისკაცის საფლავი; მათ თავი დასდეს სამშობლოს თავისუფლებისათვის; ამ თემას უძღვნა პოეტმა ლექსი „ყუბანის ველზე“, რომელიც სავსეა გულისშემძვრელი ვაჟკაცური დარდით. უსმენს პოეტი ბალახის იდუმალ სუნთქვას და ჩურჩულს, ეჩვენება თითქოს ის საფლავზე ამოსული ყაყაჩოები, მწუხრში რომ ელავენ მდელოზე, საქართველოს ამბავს შეეკითხებიან.

ქართული პოეზიის დასახასიათებლად ძლიერ ბევრს ამბობს ის ფაქტი, რომ ომის წლებში ჩვენი საუკეთესო პოეტები ფრონტზე იყვნენ. ქართულ პოეზიაში ორგანიულად და სამუდამოდ შევიდა ყაბარდოს ველი თუ არაბატის ისარი, ყამიშ-ბურუნი თუ ბაქსანის ხეობა, ვინაიდან იქ ყველგან, მოძმე ხალხთა შვილებთან ერთად, მათთან მხარდამხარ უბრძოლია ქართველ ჯარისკაცს დიდი სამშობლოს დასაცავად. ამ მხრივ ჩვენი მწერლების შემოქმედება არის შესანიშნავი პოეტური მატიანე კავკასიის დაცვისათვის წარმოებული ბრძოლებისა და ამ მატიანის ბევრი საუკეთესო ფურცელი სიმონ ჩიქოვანის კალამს ეკუთვნის. აქ მინდა დავასახელო მისი ლექსები „დილა უღელტეხილზე“, „დაჭრილი“, „მზესუმზირები“, „საბჭოთა კავშირის გმირს ვლადიმერ კანკავას“, „ლეშქაშელის სიკვდილი“, „იერიშის წინ თქმული“ და სხვ. ამ ნაწარმოებებმა სამუდამოდ დაიმკვიდრეს ადგილი მკითხველის გულში, როგორც იმ მრისხანე და ქარიშხლიანი დღეების წარუშლელმა მოგონებებმა.

ომისშემდგომ წლებში პოეტმა გამოაქვეყნა შესანიშნავი ციკლები ლექსებისა მშვიდობასა და ხალხთა მეგობრობაზე; ამ წიგნებს აქ აღარ შევეხები, ვინაიდან ისინი თავის დროზე ვრცლად მქონდა განხილული წერილში „მგზავრის პოეტური დღიური“.

სიმონ ჩიქოვანის მთელი შემოქმედება — ეს არის მგზნებარე ჰიმნი განახლებული და აყვავებული საბჭოთა სამშობლოსადმი. აქ გამოჩნდა ჩვენი დიდი დრო, ჩვენი დიდი ეპოქა — სავსე მაღალი ადამიანური გრძნობებით, კეთილშობილური ჰუმანიზმით, პატრიოტიზმის უწმინდესი გრძნობით.

სიმონ ჩიქოვანს დაბადების სამოცი წლისთავი შეუსრულდა. ვუსურვოთ ჩვენს საყვარელ პოეტს ხანგრძლივი სიცოცხლე და დღეგრძელობა ჩვენი სოციალისტური კულტურის, ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ.

გიორგი ნატროშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა




წიგნები და მთარგმნელები

უცხოეთისა და მოძმე ხალხების ლიტერატურული საგანძურის საუკეთესო ნიმუშების თარგმნა ჩვენში საშვილიშვილო საქმედაა მიჩნეული. თარგმნილმა წიგნებმა თავის დროზე ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში გარკვეული როლი ითამაშეს.

ძველმა, ნაცადმა ტრადიციამ დღეს კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობით გაშალა ფრთები. ლიტერატურაში შემოვიდა ახალგაზრდა მთარგმნელთა მთელი თაობა, გამოჩნდნენ ახალი სახელები.

ამ ჟანრში კარგა ხანია ნაყოფიერად მუშაობს მთარგმნელი ქალი ლეილა ერაძე.

ამას წინათ „საბჭოთა საქართველომ“ ცალკე წიგნად გამოსცა მის მიერ აზერბაიჯანული ენიდან თარგმნილი სამედ ვურღუნის ლექსები და პოემა „ზანგის სურვილები“.

კარგად ჟღერს წიგნის პირველ გვერდზე მოთავსებული ლექსი „არ მეჩქარება“. ნაწარმოები თბილია, უშუალო და ბუნებრივი. ლეილა ერაძე არც ორიგინალს დაშორებია და არც ნაწარმოების მაცოცხლებელი სურნელება დაუკარგავს.

„ხიდის ნალველი“ ერთ-ერთი კარგი ლექსია წიგნში. გარდასულ დღეთა ჭირ-ვარამის მომსწრე ხიდისგან ქვა და ღორღილა დარჩენილა. მორღვეული ყორე ბალახს დაუფარავს. მთის კალთებზე შეფენილ ნასოფლარში სიჩუმეა, ბუხრებიდან კვამლი აღარ ამოდის. შორეულ წარსულში მტრის ველურ ურდოებს გადაუჯეგავთ აზერბაიჯანული მიწის ეს პატარა ნაჭერიც. ნაღვლიანია ძველი ხიდი, კიდევ უფრო ნაღვლიანია იქვე მდებარე სასაფლაო.

ლექსის ბოლოს, როგორც კონტრასტი, ჩანგრეული ხიდის ფონზე დროჟამისგან გაუხუნარი ნახატივით გამოჩნდება ახალი აზერბაიჯანი. თვალწინ გაიელვებს კრიალა არეზი ბაღ-ვენახებში ჩაფლული სანაპიროებით.

მაღალი პოეტური კულტურითა და შინაგანი სითბოთია დაწერილი „გერმანელი ხურო და საბჭოთა ოფიცერი“. მოხუცი გერმანელი ხურო საბჭოთა მეთაურში მშვიდობის დამცველს ხედავს. მან იცის, რომ ამ ბრგე, მაღალ-მაღალმა ოფიცერმა „ბერლინშიც ბევრგან დასტოვა კვალი სიკეთისა და ბედნიერების“.

პოეტის სულიერ მღელვარებას გადმოსცემენ საქვეყნოდ გახმაურებული ლექსები: „მე და გაზაფხული“, „გული“, „სალამი, მოსკოვო!“, „ნაღველი“, „აზერბაიჯანი“, „მუღანელი გოგონა“.

„ნაკადულმა“ გამოსცა ახალგაზრდა აზერბაიჯანელი პოეტის ნაბი ხაზრის ლექსების წიგნი. ეს წიგნიც სიყვარულითა და მონდომებით უთარგმნია ლეილა ერაძეს.

მთარგმნელს აქაც ნათლად გადმოაქვს ავტორის სული. თავისებურად ჟღერენ სტრიქონები წიგნის ბოლო გვერდზე:

მე ჩემი გულის ძახილის მჯერა
და ხშირად მესმის ჩურჩული მისი.
ასე მგონია, რაც კი ვთქვი, ჯერაც
არ არის კიდევ შექების ღირსი.

„საბჭოთა მწერალმა“ გასულ წელს გამოაქვეყნა ჯალილ მამედგულუზადეს მოთხრობათა ვრცელი კრებული — „დაკარგული სახედარი“. კრებულის თარგმანზე გულმოდგინედ უმუშავნია ლეილა ერაძეს, ამიტომაც წიგნი გულთბილად მიიღო ჩვენმა მკითხველმა.

როდესაც თარგმნის ავკარგიანობაზე ვლაპარაკობთ, უნებურად გვაგონდება პუშკინის სიტყვები: „მთარგმნელი უნდა ცდილობდეს გადმოსცეს ნაწარმოების სული და არა სიტყვა. ეს აზრი საუკუნეების მანძილზე განმტკიცდა და ყველამ აღიარა“.

მთარგმნელი ქალი ლეილა ერაძე, ვფიქრობთ, სწორ გზას მიჰყვება და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევს. მან მდიდარი აზერბაიჯანული ლიტერატურის არა ერთი ღირსშესანიშნავი ნაწარმოების ქართული თარგმანი შემატა ჩვენი მკითხველის წიგნის თაროს.

ვ. რიონელი.





# ობელისკი

## ალეკო შენგელია

ქვეყნად ყველა ივანანას, ყველა აკვანს,
რაც ოცნება უმღერია, ურწევია,
ამ აპრილის აფეთქებას ცაში აჰყვა
და ცასავით უკვდავება უწერია!

მიწის მადლი, — დედის რძე და პურის თესლი,
იმ ნაპერწკალს, სადღაც სისხლში, ჩვენც გვიტოვებს,
რითაც ცოცხლობს ჩვენი ფიქრი, ჩვენი ლექსი,
რითაც ვგავართ გაგარინებს და ტიტოვებს.

და, ამიტომ, ყველა ჭერქვეშ, მთაშიც, ბარშიც,
ადამიანს შეუქმნია ქვეყნად რაიც, —
ოცნებაში, სიყვარულში, ყველა ბავშვში, —
გაგარინის სული ცოცხლობს, ბორგავს მაინც!

და, ამიტომ, მაპატიეთ, ეს სიმღერაც,
მივაკუთვნო საქართველოს ჭაბუკს პირველს,
ვინც აანთებს ცაზე ქართულ ცისარტყელას,
ზეცის ახალ კარებს შეხსნის გასაკვირველს;

რომ განცვიფრდეს ეს საწუთრო სოფელიც კი,
სადაც პირველ ცეცხლს ანთებდა ამირანი,
და მის სახელს შერჩეს, როგორც ობელისკი,
სამუდამოდ შეტყორცნილი ცას მყინვარიც!

# მწყემსური სალაღობო



ხალხურ მოტივზე

ჩაველ, ჩავჭერი, ჩავლიე
ეგ სატიალო მდინარე,
ვაჟას წყაროი დავლიე
და... თავი მოვიმძინარე!

ფიქრის კალოო, ქალაო,
გამოჩნდი, ნუ დამკალიო,
ჭაბუკის შუქი ხარაო, —
შენებრი უნდა ქალიო!

მძინარს მაკოცე ქურდულად,
არც არვის ვეტყვი, რა მოხდა,
ვითამ ქურციკი გამოხტა
და შურთხმა გაიშურდულა!

ქალაო, ფიქრის კალოო,
გეველრი, ნუ დამკალიო,
ჩუხჩუხებს ვაჟას წყაროო,
იქნების, შენაც დალიო!

# ტრაქტორისტები გავიდნენ მინდორში


ეროვნული ბიბლიოთეკა



გაზაფხულმა ძალა მოიკრიბა, ააფორიაქა და ააჯანყა ბუნება, ააფორიაქა გლეხკაცის გულიც. სოფლად გაასკეცდა საქმე. საკოლმეურნეო მინდვრებში გუგუნით გაიჭრნენ ტრაქტორები. მიწამ მადლიანი მკერდი გაიხსნა და სათუთად ჩაიხუტა წლევანდელი დოვლათის თესლი.

ქვემოჭალელი კოლმეურნეები გულდამშვიდებით როდი ელოდნენ ხეში წყლის ჩადგომას. ზამთარშივე ემზადებოდნენ საგაზაფხულოდ მინდვრებსა და ზვრებში გასვლისთვის: არემონტებდნენ იარაღ-მანქანებს, ახარისხებდნენ თესლსა და იმარაგებდნენ სასუქს. თვრამეტი ტრაქტორიდან თვრამეტივე გავამზადეთ და გავარემონტეთ, ახლა ჩვენი ტექნიკა ისე მუშაობს, გული გაუნათდება კაცს. იშვიათად ცდება იარაღ-მანქანები. ეს კი საქმეს წინა სწევს და სამუშაოების დროზე დამთავრებას გვპირდება.

კრასნოდარის მხარის უსტ-ლაბინსკაიას საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა წერილმა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელისადმი ქვემოჭალელ კოლმეურნეთა ერთსულოვანი მხარდაჭერაც ჰპოვა. ამ წერილს რომ ეცნობოდნენ, ჩვენი არტელის წევრებმა ერთხელ კიდევ ანალიზი გაუკეთეს გასული წლის შედეგებს, ერთხელ კიდევ აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და ვალდებულება იკისრეს შვიდწლედის მეხუთე წელს აწარმოონ 24.419 ცენტნერზე მეტი მარცვლეული, 1.588 ცენტნერი ხორცი, 4.275 ცენტნერი რძე, 13.500 ცენტნერი ჭარხალი, 2.475 ცენტნერი ყურძენი, 1.180 ცენტნერი ბოსტნეული და მრავალი სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი.

ამას წინათ კოლმეურნეთა საერთო კრებაზე ვიმსჯელეთ და აღებული ვალდებულებების უკეთ შესრულების მიზნით სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოვიწვიეთ სამთავისისა და კასპის კოლმეურნეობები. შეჯიბრებაში კი, როგორც წარსული წლების გამოცდილებამ გვიჩვენა, იმარჯვებს ის, ვინც დროულად მოემზადება საგაზაფხულო სამუშაოებისათვის, ხარისხიანად, შემჭიდროებულ ვადებში, თანამედროვე აგროტექნიკის მიღწევების ფართო გამოყენებით ჩაატარებს ამ სამუშაოებს, რაციონალურად გამოიყენებს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას და სწორად მოაწყობს შრომის ორგანიზაციას.

აღებულ ვალდებულებათა შესრულებას საფუძველი ზამთრის თვეებშივე ეყრება. ამ ამოცანას ჩვენმა კოლმეურნეობამ წარმატებით გაართვა თავი. ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ და რა ვადებში ჩავატარებთ საგაზაფხულო სამუშაოებს.

სამუშაო კი ბევრი გვაქვს.

წელს ჩვენი ვენახები, რომლებიც 94 ჰექტარზეა გადაჭიმული, კიდევ 35 ჰექტარით გაფართოვდება. მიმდინარეობს შპალერის რემონტი, ახალ ვენახიდანაც 10 ჰექტარი გადაყვანილი იქნება შპალერზე. მევენახეთა ბრიგადა გოდერძი ობგაძის ხელმძღვანელობით ბეჯითად იბრძვის აღებული ვალდებულებების შესასრულებლად. ვენახებში მიმდინარეობს ბარვა, სხვლა, ნაკელის შეტანა, ვაზის დაწიდვნა მეჩხერიანობის აღსაკვეთად.

დიდი მუშაობაა ჩვენს ბაღებშიც. ახალ ბაღებს გავაშენებთ ოთხმოც ჰექტარზე, ისე რომ წლის ბოლოსათვის ჩვენი ბაღების საერთო ფართობი 240 ჰექტარს გადააჭარბებს. ამჟამად მებაღეობა-მებოსტნეობის ბრიგადა ზაქარია თავშავაძის ხელმძღვანელობით წარმატებით აწარმოებს ბაღების საგაზაფხულო დამუშავებას. უკვე მოხნულია ბაღების მესამედი, შემობარულია ხეხილის ძირები ას ჰექტარზე, გასხლულია და ორგანიული სასუქი შეტანილია ოთხმოც ჰექტარზე.

შარშან მარტო ხილით ჩვენმა კოლმეურნეობამ ნახევარი მილიონი მანეთი (ძველი კურსით) შემოსავალი მიიღო. სულ კი კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა 8 მილიონ მანეთს (ძველი კურსით) გადააჭარბა. წელს ეს შემოსავალი კიდევ უფრო გაიზრდება. ამის საწინდარია ჩვენი მოწინავე ადამიანების ნიკა ყუთულაშვილის, მაგლო სომხიშვილის, მიტო და დავით კარბელაშვილების, ლიზა ხუციშვილის, გიორგი გორჯოლაძის, გიორგი საჩალელის, გიორგი ტენტერაშვილისა და სხვების თავდადებული შრომა, მთელი ჩვენი კოლექტივის დაუღალავი საქმიანობა.

სულ უფრო ფართოდ შლის მხრებს გაზაფხული, ტრაქტორების სულ უფრო მძლავრი გუგუნი იჭრება ჩვენი სოფლის ცხოვრებაში. ტირიფონის ველზე, სადაც ჩვენი ხოდაბუნებია გაშლილი, დღედალამ მუშაობს ჩვენი კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადა. გამალებით მიმდინარეობს საგაზაფხულო კულტურების თესვა. სიმინდს წელს ვთესავთ 800 ჰექტარზე, შაქრის ჭარხალს 48 ჰექტარზე, ქერს 200 ჰექტარზე და ა. შ.

ტრაქტორისტი ვალოდია სალამაშვილი და მთესველი რამაზ პავლიაშვილი დღეში 10-12 ჰექტარ ქერს თესენ, ტრაქტორისტები ომარ ხუციშვილი და ილია ხოზიშვილი, მთესველები გივი ობგაძე და ხვთისო ფოლადაშვილი სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივად თესვის ოსტატები არიან, ყოველდღიურ სამუშაო ნორმას თითქმის ერთიორად ასრულებენ.

„ვისაც პირუტყვი ჰყავს, — ამბობს ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, — სასუქებიც იმასა აქვს; ვისაც სასუქები აქვს, უხვი მოსავალიც მას მოჰყავს“. დიახ, ეს ნამდვილად ასეა, ეს ფორმულა მიწათმოქმედების სიბრძნე, ჩვენი მოქმედების პროგრამაა! — აცხადებენ კრასნოდარელები. ეს სამოქმედო დევიზია აგრეთვე ქვემოჭალელ კოლმეურნეებისთვისაც.

მეცხოველეობის საქმე ჩვენს კოლმეურნეობაში ცუდად როდი მიდის. წელს გეგმით მარტო მსხვილფეხა პირუტყვი 1.115 სული უნდა გვყოლოდა. დღეისთვის კი უკვე გვყავს 1.125 სული, მათ შორის 807 ძროხა, რომელთაგან თვითეულზე საშუალოდ 1.800 ლიტრი რძე უნდა ჩამოვწველოთ. ცხვარი გეგმით უნდა გვყოლოდა 2.840 სული, უკვე გვყავს 8.547 სული, ღორი 880 სული, ფრინველი 1.700 ფრთა და ა. შ.

წარმატებით დავამთავრეთ დოლი. საბატკნეები წინასწარ გავამზადეთ. კარგი მოვლითა და მზრუნველობით ვპმედოვნებთ ნამატის მთლიანად შენარჩუნებას.

ამბობენ, წიწილებს შემოდგომაზე ითვლიანო. ჩვენც შრომას და მეცადინეობას არ დავიშურებთ იმისათვის, რომ წლევანდელი შემოდგომა სასახელო იყოს ჩვენთვის.

ა. მაჭარაშვილი,
გორის რაიონის სოფ. ქვემოჭალის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

იმ დღეს დილიდან საქმეს მომწყვიტეს, — ნავსადგურში ჩამოდი, უცხოელებს უნდა შევხვდეთო.

ნაწვიმარი დილა იყო და ქუჩებში საამური სიგრილე იდგა.

ნავსადგურში არც ერთი დიდი გემი არ ჩანდა. გემი კი არა, კაციც არ დამინახავს.

გავიარ-გამოვიარე, მერე გაზეთის კიოსკს მივეყუდე, იქვე ხიდან დაფნის ფოთოლი ჩამოვწყვიტე და ნელა წიწკნა დავუწყე.

როგორც იქნა, რადიომ დაიძახა — გემი „საქართველო“ ერთ საათში მოადგებაო ნაპირს. ნავსადგურმა უცებ გამოიღვიძა. ხალხმაც მოსვლა დაიწყო ნელ-ნელა. არ ვიცოდი ჩემს გარდა უცხოელებს ვინ უნდა შეხვედროდა. მაგრამ ვიფიქრე, იქნებ თვითონ მიცნონ-მეთქი და შესასვლელთან გავჩერდი.

გადამეცა ყვავილები იმ ქალიშვილისათვის. დიდი უშნო და მოუხერხებელი ვინმე ვარ. რამდენჯერ დამმართია ასე; რამდენჯერ გავწბილებულვარ ჩემი გაუბედაობის გამო.

ახლაც აგერ, აჰა, ჩემთვის გაღიმებული, ასეთი გადასარევი გოგო სხვამ მიაბრუნა თავისკენ, ხელიც კი გამოსდო და წაიყვანა.

მიმოვიხედე, ყველა ერთმანეთზე გადაბმულიყო და სიცილ-ხარხარით და მხიარული საუბრით მიაბიჯებდნენ. მე კი ცალკე დავრჩი და აღარ ვიცოდი როგორ მოვქცეულიყავ.

უცებ შევნიშნე — იმ ქერათმიანმა გოგომ უკან გამოიხედა, ისევ ისე იღიმებოდა. მე რომ განზე გამდგარი შემნიშნა, შეჩერდა. ფეტრისქუდიანს რაღაც ჰკითხა და შევატყე, დამელოდა.

# უცნაური სიმღერა

**ფრიდონ ხალვაში**

მოთხრობა

მხატვარი დ. ნოდია

მართლაც, მალე ეზოში ასე ცხრა-ათი კაცისაგან შემდგარი ჯგუფი მოვიდა. ქალებისა და მამაკაცების წინ ერთი დაბალი ახალგაზრდა მოდიოდა, ყავისფერი ფეტრის ქუდით. მივხვდი, ჯგუფის უფროსი ეს უნდა ყოფილიყო. მართლაც ის დაბალი, ფეტრისქუდიანი ჩემთან შეჩერდა, არაფერი არ უთქვამს, ხელი ისე გამომიწოდა. ხეირიანად ჩამორთმევა ვერც მოვასწარი, უკანვე წაიღო ხელი და ხმამაღლა მკითხა:

— შენ ხარ მერგოლური ლაბაძე, ბიჭო?

მე ვარ-მეთქი, ვუთხარი.

— მერე, იქ რატომ არ გამოცხადდი, ამხანაგო, გიცადეთ.

სად „იქ“ უნდა გამოვცხადებულიყავ, დავიბენი. ვერაფერი ვუპასუხე. მაგრამ ისე კი ძალიან გავჯავრდი: მეძახის ნავსადგურში ჩამოდიო, მერე „იქ“ რატომ არ გამოცხადდიო, მიყვირის. მოდი და გაუგე რა უძევს გულში.

ვიღაცამ ერთი კონა ყვავილი მომაჩეჩა, ერთ-ერთ სტუმარს გადასცემო.

მაღალი, თეთრი გემი ნელა უახლოვდებოდა ნაპირს. ზედ უკვე ადამიანებიც კარგად ჩანდნენ. ისინი სურათებს უღებდნენ ქალაქს და იქნებ ჩვენც. ის დაბალი წინ იდგა ცალკე. უყვავილოდ. მე კი მთლად უკან დავდექი. ვიცი, სადაც არის ჩემი ადგილი. მაგრამ ის კაცი მალე მობრუნდა, თვალით მომნახა, ჯიბიდან ახალამოღებული ხელი დამიქნია.

— ლაბაძე, წინ გამოდი, სად გაჩერებულხარ ყვავილით.

ამაზეც გავჯავრდი: ყვავილი უნდათ წინ თუ ჩემი თავი.

როგორც იქნა, ზემოდან ხრიგინით ჩამოუშვეს კიბე და მგზავრებმა ჩამოსვლა დაიწყეს. იმ ჩვენმა დაბალმა უფროსმა, ხან იქით მიგვწია, ხან აქეთ მოგვწია და ბოლოს, სულ ნაპირთან რომ ხოშორი ბაწრებია გაბმული, იმაზე მიგვაყენა.

— დაუკარით ტაში — გვითხრა და პირველმა მან შემოჰკრა მაღლა აშვერილი ხელები ერთმანეთს. მერე ისევ შემოგვხედა უკმაყოფილოდ: ალბათ ტაში ეცოტავა, მაგრამ რა უნდა გვექნა, ზოგს ხელები ყვავილებით გვქონდა დაკავებული.

კიბეზე წითელ-ყვითლად აჭრელებული ქალები ჩამომწკრივდნენ, უკან მაღალ-მაღალი, თავლია, ბრეშად ჩაცმული კაცები მოყვებოდნენ, ხელებს იქნევდნენ და გვიღიმოდნენ ძველი ნაცნობებივით.

ჩეხები იყვნენ პრაღიდან.

ისე შინაურულად მოგვესალმნენ, ხელი მოგვხვიეს და ისე ავირიეთ, რომ ყვავილის გადაცემა ვერც მოვახერხე. კიბიდან ყველაზე ბოლოს ქერა, სულ თოვლივით თეთრი გოგო გადმოხტა. მას ისე ვიწრო შარვალი ეცვა, რომ შეხედვაც მეუხერხულა.

მაგრამ თვალი მაინც მისკენ მიმირბოდა.

მანაც შემომხედა წუთით და გამიცინა. მე ცოტა უფრო სხვანაირად გამიცინა თითქოს, ვიდრე სხვას და ვიგრძენი ლოყები შემიფაკლდა. ჩოჩქოლი არ ცხრებოდა. ერთმა-ორმა ქართულადაც წამოიძახა რაღაცეები, რასაც უფრო დიდი ტაშით შეხვდნენ. მაგრამ მე ისევ ისე მაღლა აშვერილი ყვავილებით ვიდექი, იმ შარვლიან თეთრ ქალიშვილს შევცქეროდი და ყურები მიწიოდა. ამ დროს ვიღაცამ ყვავილები გამომგლიჯა, გააქანა და ქერათმიან გოგოს ხელებში მიაჩეჩა. შევხედე, ვიცანი: ის ფეტრისქუდიანი უფროსი იყო. ვთქვი, გაჯავრდა ალბათ, რომ ვერავის გადავეცი თაიგული-მეთქი. ვინ იცის, იქნებ ასეც იყო, მაგრამ მე სხვა რამისა მეწყინა: რა იქნებოდა თვითონ

—ოო, ეს ჩვენი სახელოვანი მერგოლურია, მეციტრუსე. — ნაჩქარევად გააცნო ჩემი ვინაობა სტუმარს ჩვენმა ხელმძღვანელმა.

— ციტრუს?.. — მხიარულად ჩაიკისკისა ქალმა — და ხელი გამიკეთა მეც. თითქოს დაცინვა ვიგრძენი, მაგრამ სრულებით არ მწყენია, პირიქით, უფრო გაბედული გავხდი.

ქალი შარვლით ძალიან არ მომწონს, მაგრამ ჩვენ უცხოელს ისეთი ტანი ჰქონდა, შეიძლება კაბას კიდეც დაემახინჯებია. მაგრამ მაინც გავიფიქრე, მაჩვენა ერთი კაბაში როგორია-მეთქი.

სასტუმროსთან დავემშვიდობეთ.

— ალბათ გნახავთ, ხომ? — მითხრა შესვლის წინ და ისე მოჭუტა თვალები, მეგონა ორი ცისფერი ტბიდან საცაა მაცოცხლებელი წვეთები დამეცემა-მეთქი.

აქ დაიცადეო, მითხრა ფეტრისქუდიანმა. იმათ შიგ შეჰყვა.

როცა გამოვიდა, მითხრა, ამ საღამოს შეიძლება თქვენს კოლმეურნეობაში ამოვიდნენ, აბა თქვენ იცითო.

რა ხანია ვიცი, „აბა თქვენ იცით“, რას ნიშნავს და თავი დავუქნიე.

ბამბუკის კიოსკში ახალი გაზეთები ვიყიდე, იქვე სკვერის კუთხეში პატარა შადრევნიდან წყალი მოვსვი და გამახსენდა, რომ არ მისაუზმია. მაგრამ ავტოსადგურთან სასაუზმეში იმდენი ხალხი ირეოდა და ისეთი გულისამრევი სუნი იდგა, რომ უკანვე გამოვვარდი, ჩემი სოფლის ავტობუსზე ავედი და ფანჯარასთან მოვეწყე.

შოფერიც ჩემი სოფლელია, ბერიძე. რაც დავიბადე და პირველი მანქანა დავინახე, ისიც საჭესთან იჯდა მაშინ. მას შემდეგ ასეა. შემომხედა, უცნაურად ჩაიღიმა და, ისე, რომ ბილეთებისა და ფულის თვლა არ შეეჩერებია, მკითხა: რა თათბირი იყო, ასლანავ?

ეს იმიტომ მკითხა, რომ რამდენსაც ქალაქში ჩამომიყვანს ან ამიყვანს, ყოველთვის თათბირზე მივდივარ, ან თათბირიდან ვბრუნდები.

— არა, სტუმრებს შევხვდით უცხოეთიდან და...

— ნაცნობი იყო ვინმე? — დასერიოზულდა, თავიც წამოსწია.

— იყო... — ვუთხარი და შუბლი გრილ მინაზე მივადე. გავიხსენე ჩემი რგოლი, რომელიც ალბათ ნახევარ საქმესაც არ გააკეთებს დღეს უჩემოდ, სახლიც გამახსენდა, — ჩემი ახალი სახლის მშენებლობა.

ძმებმა მითხრეს, მართალია, ქალი არ გყავს, მაგრამ გამონაწილდი, სახლი ააშენე, ჩვენც მოგეხმარებითო. დავიწყე. რის მოხმარება — მთელი გაწამაწია, ხლაფორთი ამ მშენებლობისა მე დამატყდა თავს. იმ ხანებში საშუალოც დავამთავრე, მაგრამ უმაღლესში ცხვირიც ვერ შევყავი და აბა რაღას იზამ. უსწავლელი სოფელს გამოადგება უფრო. არა, მართლა, მიკვირს და მეცინება, როცა სულ აქებენ ჩემისთანებს, უმაღლესში რომ ვერ შევედით. სოფელში დარჩენა და მიწაზე მუშაობა ამჯობინესო.

როგორც იქნა ეშველა და მანქანა გრუხუნით და ფრუტუნით დაიძრა. ჯერ მეგონა ასე გენგიშად ვიჯდები-მეთქი, მაგრამ მალე ისე გაივსო მანქანა, რომ დასაჯდომებს შორის გასავალშიც შოფერმა ჯორკოები ჩააწყო და თითო კალათიანი დასვა.

ჰოდა, ეს განათლების ამბავი.

ამჯობინაო... ვითომ რაა და, კარგი განათლება რომ ქონდეს კაცს, სოფელში აღარ დაედგომება, ანდა, თითქოს მიწას აწყენს განათლებული კაცის ხელი. მე რომ მკითხავდნენ, ასე შინ დარჩენილი გაუნათლებლების ქებას კი არ დავიწყებდი, ცაში ავიყვანდი ქებით იმას, ვინც ბევრი ისწავლა, სოფელში მოვიდა და მიწაზე მუშაობს.

მე კარგად განათლებული რომ ვყოფილიყავ, დღეს იმ ჩეხ გოგონასთან დავიბნეოდი? არა. ცოდნა მომეხმარებოდა, რაღაცას მეც ვიტყოდი, გავაცინებდი, ყვავილს თვითონ მივცემდი და, შეიძლება, ხელსაც თავისუფლად გამოვდებდი მკლავში. მაგრამ ასე გაუხედავი და უცოდინარი რომ ვარ, მაჯობა იმ ფეტრისქუდიანმა.

უჰ, მართლა, რა გოგო იყო ის ოჯახქორი!

სინდისს ვფიცავ, იმ ჩემს სახლს ერთ თვეში დავხურავ, ეზოში ფართო გზასაც მივიყვან, სოფლის თავიდან წყალსაც ჩამოვიყვან ჩემთვის, დღეღამეს გავასწორებ იმდენს ვიმუშავებ და ეზო-კარს ჯენეთსავით ვაქცევ, ის ცისფერთვალება, ქერა, თეთრი გოგო რომ ცოლად წამომყვებოდეს. რა იცი, იქნებ არაფერსაც არ გამცინებდა, იქნებ კიდეც დაფიქრებულიყო, იქნებ უარი არც ეთქვა, მე რომ განათლებული ვყოფილიყავ და ჩემი სურვილების ლამაზად თქმა შემძლებოდა მისთვის.

რა ვუყოთ, რომ ჩეხია და შორეველი. დღეს შორებელი ვინმეზე ითქმის? აგერ რომ დაიგრიალებს თვითმფრინავი, სამ საათში ნახევარ დედამიწას მოივლის. არც ენის უცოდინარობის მეშინია. სიყვარულზე უფრო მაგარი ენა ქვეყანაზე არ არსებობს. მე ასე მგონია და სხვისი არ ვიცი. მე ხომ სულ არც ერთი სიტყვა არ ვიცი ჩეხურად. ის გოგო რომ ჩემთან იყოს (ოღონდ ის ფეტრისქუდიანი ბიჭი ნუ ჩამერევა), მთელი დღე შემიძლია ვესაუბრო. ჰო, შემიძლია.

მანქანა კანტორის ეზოში გაჩერდა.

თავმჯდომარისთვის სტუმრების მოსვლა უნდა შემეტყობინებია, მაგრამ კაბინეტში არ დამხვდა. იმდენი აკრიტიკეს, პლანტაციებში არ დადის, ჩაიკეტა, ბიუროკრატობას მიეჩვიაო, რომ ახლა სულ ჩაკეტა კანტორა და შვიდ დღეს რომ ეძებო და ელოდო, ვეღარ ნახავ. გინდათ ვიარო? კარგიო, და დილიდან საღამომდე დადის სუფთა ჰაერზე.

ბუღალტერს ვუთხარი ყველაფერი, სულ ერთია, სტუმრების მისაღებად მაინც მას დაატრიალებდა თავმჯდომარე. საანგარიშო უცებ უკან ჩაყარა, ფიცხად მიაჩოჩა მაგიდის კუთხეში და წამოდგა.

— გამიჭირეს საქმე, — თქვა უკმაყოფილოდ და მელოტ, ნესვივით თეთრ თავზე ნერვიულად დაიგდო კოზირდაგორგვალებული, გახუნებული მაუდის ქუდი.

არა, გასამტყუნარი არაა. მართლაც გაუჭირეს საქმე. დღე არ იქნება, ვინმე არ მოვიდეს.

ჰოდა, კაცს მოსვენება აღარა აქვს, მაგრამ ახლა





არ უნდა ეთქვა ასე. მეწყინა ეს რომ თქვა. იმ ჩემი შარვლიანი ჩეხი გოგონასი დამეხათრა. მე მეგონა გაიგონა-მეთქი ბუღალტერის ნათქვამი.

არა, ჩვენი ბუღალტერი მაინც არაა ცუდი კაცი. ასე იტყვის, მაგრამ ნახავ მერე რა მარიფათს გამოიჩენს.

კიბიდან მომიბრუნდა და მშვიდად მკითხა:

— ვინ არიან თუ იცი?

— ჩეხოსლოვაკიიდან.

— ოო, მაგენს ძალიან აქებენ. თბილი ხალხია. ჩვენ ძალიან ვუყვარვართ თურმე.

გამეხარდა. „მაგენის“ და „ჩვენის“ მაგიერ ჩემი და მისი (იმ ქერათმიანი გოგოს) თავი ვიგულისხმე და გამოვიდა, რომ მე მას ძალიან ვუყვარვარ.

საღამომდე აღარსად გამოვჩენილვარ. ერთხელ პლანტაციაში გავირბინე, მერე შინ მივედი, ვისადილე, წვერი გავიპარსე, თეთრი ხალათი ჩავიცვი, ქოჩორი დავივარცხნე და ასე მზის ჩასვლისხანს, კანტორისაკენ გამოვუყევი.

სტუმრებს სოფელი მოევლოთ და თავმჯდომარის წინამძღოლობით, კანტორის იქით, წყაროსთან, ფორთოხლებში რომ დიდი მწვანე კორდია, იქითკენ მიემართებოდნენ.

კანტორის ორი დიდი მაგიდა კლუბიდან გამოთრეულ უშველებელი გრძელი მაგიდისათვის მიედგათ და იმხელა სუფრა გაეშალათ, თავიდან ბოლომდე რომ გაგევლო, დაიღლებოდი.

მაგიდიდან ახალგატეხილი ჭადის ბუღი ისე თეთრად იკეცებოდა და კლაკვნით ეხვეოდა ფორთოხლის მოქანავე ფოთლებს, გეგონებოდა ვიღაცა დამჯდარა და მატყლსართავსო. მოხარშული და შემწვარი ქათმები მთელ-მთელად ფეხაშვერილები ეწყო გრძელ საინებზე, პური და მწვანილი ისე, ბულულ-ბულულ დაეყარათ რამდენიმე ადგილას. სხვა ბევრი წვრილმანი ეწყო, მაგრამ ჩემი თვალი უფრო იქით, კორდზე დამდგარ დიდმუცელა დოქებს ეტაკა.

სადღაც ჩემ ნაცნობ ფეტრისქუდიანს მოვკარი თვალი და თავში დამარტყა რაღაცამ. მაგრამ ნამდვილი დარტყმა მაშინ ვიგრძენი, როცა მის გვერდით ისევ დავინახე ის მაღალი, ქერათმიანი გოგონა.

მეგონა ჩემი სახლიდან მომტაცა-მეთქი, ისე დამეწვა გული. ამასობაში მეც მივუახლოვდი მათ და გაუბედავად გავუღიმე ქალიშვილს, როგორც უკვე ნაცნობს, და ამით ვითომ ის ვუთხარი, კმაყოფილი თუ ხართ დღევანდელი დღით-მეთქი.

— სად დაიკარგეთო — მკითხა ხმამაღალი სიცილით. მერე ნაჩქარევად სახელი მკითხა — ასლანი-მეთქი. მე — ზიტაო.

ზიტა, ზიტა — გავიმეორე ჩემთვის.

საქმე ისე მოეწყო, რომ ერთხანს განცალკევებით დავრჩით. მე მართლა მთლად უმეცარი კი არა ვარ. ორი ღერი რუსული მეც შემიძლია მოვიშველიო.

ჰოდა, რადგან განვცალკევდით, დავგრიხე მეც ჩემი გაშეშებული ენა, მაგრამ მალე ფეხი წამოვიკარი და გავჩუმდი.

ყველა დაჯდა. მე მაგიდის ბოლოში მომიწია ადგილი. ორი ჭიქის შემდეგ, როცა დავრწმუნდი ყველა საქმითაა დაკავებული-მეთქი, თვალები ზიტასკენ გავაპარე. ის მაგრად ილუკმებოდა, თან აშკარად ჩემსკენ იყურებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ის დაბალი ბიჭი გვერდით მიჯდომოდა. მერე ჭიქა აიღო და მასრასავით სწორი და გრძელი თითებით თვალების პირდაპირ გააჩერა, შენთვის ვსვამო, ალბათ მითხრა. მეც ავილე და დაბნეულად ჭიქას ვაკოცე, თან მისთვის თვალი არ მომიცილებია.

მან გაიღიმა, ჭიქა გამოცალა და კმაყოფილებით თავი დამიქნია, თან მგონი თვალიც ჩამიკრა. ჩემხელა ბედნიერი კაცი იმ წუთში ქვეყანაზე არავინ იქნებოდა.

ოდნავ სიმთვრალე მომეკიდა და საშინლად მომინდა მემღერა. სიმღერა ჩუმად ქუხდა სადღაც, გულის სიღრმეში... დღეს დილიდან ამეკვიატა და უსიტყვოდ ვღიღინებდი ნავსადგურის ეზოშიც, ავტობუსშიც და სახლშიც, ბავშვობიდან ვიცოდი. მას მარტო ტყეში, ან შორეულ მთებზე ვმღეროდი, როცა ვიცოდი მარტო ვიყავი. ხმა გუგუნით მოედებოდა ხეებს და გაძლიერებული, დიდი, ისევ მე მიბრუნდებოდა.

მალე ვიღაცამ მაგიდაზე უამრავი ყანწები დაყარა. თამადამ (რა თქმა უნდა, თავმჯდომარემ) თქვა, რომ გამოცლით და ცარიელ ყანწებს საჩუქრად წაიღებთო.

უცებ ზიტას მგონი რაღაც გაახსენდა, კორდზე დადებულ ხელჩანთისაკენ გაიქცა. იქიდან პატარა მაგნიტოფონი ამოიღო, გაუჩხაკუნა, ჩართო და ლიმონისოდენა თეთრი მიკროფონი თამადას მიუტანა ტუჩებთან. თამადა ისეთი სერიოზულობით, თავშეკავებითა და თანმიმდევრობით წარმოთქვამდა სადღეგრძელოებს და იმდენს ლაპარაკობდა, რომ ქალიშვილს ალბათ ეს რაღაც კრება ეგონა და მისი სიტყვების ჩაწერა მოინდომა.

მალე დატრიალდა საჩუქრები. მე ვიჯექი გულხელდაკრეფილი, რადგან ჯიბეში არაფერი არ აღმომაჩნდა. აქაც შევრცხვი, მაგრამ მეხუთე ჭიქამ ისიც შემიმსუბუქა და ის ბავშვობის სიმღერა ისევ მომაწვა ყელში.

ველარ გავუძელი, ხმას ჯერ ცოტა ავუწიე და მალე ვიქუხე.

ჩვენები შეწუხდნენ. გაწითლებულები და გაოცებულნი შემაშტერდნენ სურვილით როდის გაჩერდებაო. მაგრამ ჩემი ცისფერთვალება იმხელა ღიმილით მობრუნებულიყო ჩემსკენ და ისეთი გამამხნევებელი თანაგრძნობით და გატაცებით მისმენდა. რომ ჩემი გაჩერება ტყუილი იყო.

უცხოელები რომ ასე დაძაბულად მისმენდნენ, ჩვენებიც ჩაჩუმდნენ და ჩემი ხმა მშვიდ, სუფთა ჰაერში თავისუფლად აცურდა.

სიმღერაში ვაჟი დედას ეხვეწება — ცხრა მთას იქით ჩემი სატრფო მზეთუნახავია, გამიშვი და რძლად მოგიყვანო. ჩვენი ოდა განათდება, ჩვენი ბაღი აყვავდება, ჩვენი ცეცხლი არ ჩაქრება. მერე მთავრდებოდა ასე: სატრფოვ, მელოდე, მიყვარხარ, მოვალ.

მე სულ იმ გოგოს ვუყურებდი. მას, რა თქმა უნდა, სიტყვები არ ესმოდა, მაგრამ თვალები რაღაც, დიდი ცეცხლით ენთებოდა და ეგზნებოდა.

როცა დავამთავრე, ქალიშვილმა მაგნიტოფონის ლენტი საჩქაროდ უკანვე გადაახვია, თან ალბათ ის წელანდელი ჩანაწერები წაშალა და ჩემთან მოვიდა. ჯერ მკერდზე რაღაც ნიშანი გამიკეთა. დავიხედე. ლამაზი იყო. ერთი დიდი ყვავილი დედამიწიდან ცაში გაწვდილიყო. ალბათ ცაში კაცის გაფრენას ნიშნავდა. მე კი ჩემებურად ვთარგმნე: ჩეხოსლოვაკიის მიწიდან ერთი ყვავილი — ზიტა გამოწვდილა ჩემსკენ.

შევწუხდი, მე რაღა ვაჩუქო-მეთქი.

სიმღერა, სიმღერა მაჩუქეო, როგორც ვატყობდი, მეუბნებოდა იგი. მიკროფონი ხელით დაიკავა და მე ოდნავ აღელვებულმა ისევ დავიწყე. მეორეჯერ უფრო თამამად ვიმღერე და, როცა დავამთავრე, ზიტამ ხმის ჩამწერი დაკეცა და ჩემთან დაჯდა. აი, საჩუქარი, მაჩვენებდა თან. ისე საგულდაგულოდ დაახვია და შეინახა ჩემი ხმა, რომ მესიამოვნა.

შემდეგ ჭიქით ხელში ადგა და თქვა, ყველაზე დიდი სამახსოვრო საჩუქარი თქვენგან ჩემთვის ეს სიმღერა იქნებაო. იმ ჩვენს დილანდელ ხელმძღვანელ ბიჭს ერთი-ორჯერ გავხედე და შევატყე უკმაყოფილებას ვერ ფარავდა. რატომ არ ვიცი.

ზიტა მეუბნებოდა, ამ სიმღერას ხშირად მოვისმენ და, ესე იგი, შენც ჩემთან იქნებიო.

გადავირიე სიხარულით.

ღამით გავაცილეთ და ზიტა მთელი საღამო აღარ მომცილებია. ძალიან მეხათრებოდა იმ ფეტრისქუდიანისა, მაგრამ რა მექნა, — ჩემი სიმღერის ბრალი იყო.

— ჩამოვალ, აუცილებლად ჩამოვალ — მპირდებოდა ზიტა.

რა კარგი ქნეს, რომ გვესტუმრნენ, — ვამბობდი გულში, — სხვანაირად ზიტას როგორ ვნახავდი.

მას შემდეგ სულ მგონია: ახლა ზიტა მისმენს, მე კი ვმღერი: მიყვარხარ, მოვალ...



სამყარო, ნათქვამია ერთ აფრიკულ ხალხურ ანდაზაში, დაფუძნებულია სამ სვეტზე, რომელთა სახელია გუშინ, დღეს და ხვალ.

მძიმე და კოშმარული იყო შავი კონტინენტის გუშინდელი დღე. ხუთი საუკუნის მანძილზე ძარცვავდნენ და აჩანაგებდნენ მის ხალხებს სხვადასხვა ჯურის კოლონიზატორები. ხუთი საუკუნის მანძილზე სისხლისაგან იცლებოდა კაცობრიობის კულტურის ეს უძველესი აკვანი, რომლის სამეფოები მეროე და ეგვიპტე პირველი ცივილიზაციის კერები იყვნენ დედამიწაზე.

ხუთი საუკუნის განმავლობაში ზუზუნებდა აფრიკელთა ზურგზე პლანტატორის მათრახი. ათეულ მილიონობით მსხვერპლი, გაოხრებული და გაპარტახებული მიწები — აი რა დაუჯდა აფრიკას კოლონიალიზმის „ცივილიზირებული მისია“.

შეხედეთ ამ მტაცებლებს. ყაჩაღთა და მძარცველთა ეს უკანასკნელი ნაშიერები ცდილობენ ისევე დაუსჯელად იპარპაშონ შავი კონტინენტის ამ უძველეს და უმდიდრეს მიწაზე, როგორც ოდესღაც დათარეშობდნენ მათი მამანი და პაპანი. მაგრამ ის საშინელი დრო უკვე სამუდამოდ ჩაბარდა ისტორიას.

# შავი



დახედეთ ამ სურათს. აი დღევანდელი კოლონიზატორის ბედი—ტურებმა და აფთრებმა მოთხარეს მისი უბადრუკი საფლავი, უდაბნოს ცხელმა ქარმა გამოაშრო და გამოფიტა მისი ძვლები, და სულ მალე მათი ხსენებაც აღარ იქნება ამ მიწაზე. აფრიკა დღეს აბობოქრებული, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი კონტინენტია. აფრიკის ხალხები იარაღით ხელში აღსდგნენ დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად. დიდ და ძვირფას მსხვერპლს იღებენ ისინი ამ ისტორიულ ბრძოლაში. თავიანთი საუკეთესო შვილების ათეული, ასეული ათასობით სიცოცხლე მიიტანეს მათ თავისუფლების საკურთხეველზე. ვინ მოსთვლის რამდენი პატრიოტი იტანჯება კოლონიზატორთა ჯურღმულებსა და სიკვდილის ბანაკებში. ანგოლაში და მოზამბიკში, როდეზიასა და რუანდა-ურუნდში, თითქმის სამ ათეულ აფრიკულ ქვეყანაში ჯერ კიდევ ბატონობენ იმპერიალისტები, ჯერ კიდევ შემორჩენილია აქ უსასტიკესი კოლონიალური რეჟიმი. მაგრამ ამ კოლონიების ხალხებმაც უკვე შეარხიეს მხრები, უკვე ჩაებნენ ბრძოლაში ადამიანური უფლებებისა და დამოუკიდებლობისათვის.

და სახალხო აჯანყებათა ქარცეცხლში, დამსჯელთა მიერ გადაბუგული მიწის კვამლში უკვე ისახება აფრიკის ხვალინდელი დღე — ნათელი, ბედნიერი დღე.

# კონტინენტის



აფრიკის ხვალინდელი დღე — თავისუფლებაა. მისი განთიადის პირველი სხივები უკვე შეიჭრა ამ უძველესი კონტინენტის მრავალ სახელმწიფოში, რომლებმაც შეძლეს კოლონიალური მონობის უღლის დამსხვრევა. აფრიკის ხალხები ახლა მარტონი აღარ არიან. მათ მხარეზეა მთელი პროგრესული კაცობრიობა. მათ დახმარებისა და მეგობრობის ხელს უწვდის დიდი საბჭოთა სახელმწიფო და სოციალისტური სამყაროს ყველა ქვეყანა.

ოდესღაც ატლანტიკაზე გადიოდა შავი კონტინენტის საძარცვავად წასული კოლონიზატორების გზა, ამავე გზით დასავლეთისკენ მიჰყავდათ მონობაში ათეულ მილიონობით აფრიკელი მკვიდრი.

ატლანტიკის ნაპირებზე ჯერ კიდევ არის სახელმწიფოები, რომელთა მმართველებს სურთ კვლავ განაგრძონ ეს ბინძური საქმე. მაგრამ აფრიკის მიწაზე უკვე აგიზგიზდა თავისუფლების მხურვალე კოცონი. ხალხის რისხვა სამუდამოდ აღგვის პირისაგან მიწისა უცხოელ დამპყრობლებს, აფრიკელთა სიცოცხლით და სისხლით მოვაჭრეებს.

ეს გოგონა, ასე სათუთად რომ ჩაუკრავს დედას გულში, ამ მრავალტანჯული კონტინენტის ხვალინდელი დღეა, იგი იცხოვრებს თავისუფალი აფრიკის მიწაზე და სხვებთან ერთად ააშენებს ნათელ და თვალწარმტაც მომავალს. ეს სწამს მის დედასაც, ამ ახალგაზრდა აფრიკელ ქალს, რომლის გაცისკროვნებულ თვალებში ნათლად იგრძნობა დიადი განთიადის მოახლოება.

# განთიადი



## გიორგი კაჭახიძე

### გზა დავულოცოთ

უნდა სიცოცხლის ნერგად ენარა,
გზაც აირჩია ალმა-სავლელი.
ტენდა ლამპებს, რომ ეს ქვეყანა
არ დარჩენოდა შეუსწავლელი.

თვლემა-ძილისგან ფიქრის
დამხსნელი,
ტოლს არ ჩამორჩა,
სწავლას არ მოსცდა...
აი, დასრულდა უკანასკნელი
ნაოცნებარი დღე და გამოცდა;

აი, დასრულდა ერთი აღმართი,
ერთი სიმღერა ახალგაზრდობის.
ესმის დიდების შორი ღაღადი,
ერთ მარგალიტად წლების
დამდნობი,

დგას ჭაბუკი და ტოლებს უღიმის,
ჩუმად თვალს ავლებს აღმზრდელ
დარბაზებს.
ლონედ მიჰყვება მათი დუღილის
სითბო, სინათლე და სილამაზე.

დედაც ხელს უქნევს, ყანაც,
ვენახიც, —
ჩქარობს, ეძახის დიდი ცხოვრება.
დიდება მის გზას,
წინსვლას, შეძახილს,
მწვერვალებისკენ თვალის
სწორებას;

ზრდიდეს საქმეში რწმენად
ჩართული
დღესასწაული მზის და გონების.
მიდის ჭაბუკი წელგამართული
და მიჰყვებიან გუნდად ტოლები.

მიდის ღიმილად,
მიდის სინათლედ,
ვისთვის უცნობი, ვისთვის
ნაცნობი...
გულო, წამოდექ, წამოიმართე,
გზა დავულოცოთ
ყმაწვილკაცობის.

## მედეა კახიძე

### არხოტის თეთრი ულელტეხილი

გაზაფხულს პირი უჩანს კეთილი,
ბარში აკვამლდა უკვე ხეხილი.
მანდ, უმგზავრებოდ და უბილიკოდ
ჩადარდებულა ულელტეხილი.

აბორგებულან არაგვის წყლები,
ავად გამხდარან თითქოს ხურვებით,
თუმც, ძველი დაღლა არ მავიწყდება
და შენს ბილიკებს არ ვეხუმრები;

მაინც მოვალ და დახარბებული
შენს სიზვიადეს დავმორჩილდები.
მე შემხვდებიან გახარებულნი
მთები დიდნი და ტანმორჩილები.

მანდ, ალბათ, როგორც წყევლა
დიაცის,
მთებში იშლება, თოვლის ქარბუქი,
მე კი მზითა და უხვი სინათლით
ამ მზის ყუდროზე უფრო ჩავმუქდი.

ბურში მზე წითელ სისხლად იცლება,
მიწა ილვიძებს უბეშეხსნილი,
ჩადარდებულა მანდ კი ნისლებში
არხოტის თეთრი ულელტეხილი.



ფოტო ე. ვეხლვისა

ხ ნ უ ლ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა


ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაურ კალოევი

ნახატი დ. ნოდიასი

...1950 წლის 30 ივლისი. საკავშირო ჩემპიონატის კალენდარული მატჩი. თბილისის სპარტაკელები თავიანთ ქალაქში ხვდებიან კუიბიშევის „კრილია სოვეტოვს“. პირველ ტაიმში მოედანზე მწვავე და თანაბარი ბრძოლაა, რომელიც არავინ იცის როგორ დამთავრდება. შესვენების შემდეგ მინდორზე გამოდის ახალბედა ფეხბურთელი. იგი თბილისელთა თავდასხმის ხუთეულის ცენტრში დგება და სამი წუთის შემდეგ გააქვს ლამაზი ბურთი, რომელიც გარდამტეხი აღმოჩნდება. „სპარტაკი“ იმარჯვებს — 4:1. თბილისელთა ცენტრალურ თავდამსხმელზე ალაპარაკდნენ... ეს იყო ცხრამეტი წლის ზაურ კალოევი.

... 1963 წლის იანვარი. თბილისის „დინამოს“ ცენტრალურ თავდამსხმელს ზაურ კალოევს მიენიჭა სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება.

ეს ორი თარიღი მოიცავს თანამედროვე საბჭოთა ფეხბურთის ერთ-ერთი უძლიერესი ცენტრალური ფორვარდის სპორტულ ბიოგრაფიას. ამ წლების განმავლობაში ზაურ კალოევი წარმატებით იცავდა თბილისის „დინამოსა“ და სსრ კავშირის ნაკრების ღირსებას არა მარტო ჩვენში, არამედ პოლონეთისა და ბირმის, საფრანგეთისა და ჩეხოსლოვაკიის, სამხრეთ ამერიკისა და ირანის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, რუმინეთისა და სხვა ქვეყნების მოედნებზე. ათეულობით საერთაშორისო შეხვედრა, ოფიციალურ თამაშებში გატანილი ასზე მეტი ბურთი, საუკეთესო სნაიპერის პრიზის ორჯერ მოპოვება, — აი, ზოგიერთი დეტალები ზაურ კალოევის ცხოვრებიდან. დღეს იგი მხოლოდ მრისხანე ბომბარდირი კი არ არის, არამედ ასპარეზობათა ქარ-ცეცხლში გამობრძმედილი, მიზანმსწრაფი, ჟინიანი მებრძოლი, გამჭრიახი, გამოცდილი ტაქტიკოსი, ფეხბურთელთა ახალი თაობის მეგობარი და მრჩეველი...

ამ სპორტსმენზე, მისი სპორტული კარიერის საინტერესო მოვლენებზე, ცხადია, ბევრი რამ შეიძლება ითქვას, ბევრი რამ თვით ზაურ კალოევსაც აქვს სათქმელი და აი, ჩვენ გადავწყვიტეთ სიტყვა მას დავუთმოთ.

აღმზრდელებსა და პარტნიორებში, შეიძლება ითქვას, მუდამ მწყალობდა ბედი. ჯერ კიდევ თბილისის 35-ე სკოლაში სწავლისას, სადაც უფროს მასწავლებლად გაიოზ ჯეჯელავა გვყავდა, მე ვთამაშობდი ნიჭიერი ფეხბურთელების — ავთანდილ ჭკუასელის, ალიოშა კოტრიკაძის და სხვების მხარდამხარ. მაშინ მთელი მონდომებითა და გულისყურით ვცდილობდით ჩავწვდომოდით ფეხბურთის საიდუმლოებას, მაგრამ მოედანზე ჩვენს თამაშში გააზრებულ მოქმედებას დაუოკებელი აზარტი ჭარბობდა. ეს სავსებით ბუნებრივიც იყო: ამაში გამოსავალს პოულობდა ჭაბუკური ენერგია, რომელიც დაუცხრომლად ჩქეფდა ჩვენში და რომელსაც, ცხადია, არავის დავესესხებოდით. მომავალმა გვიჩვენა, რომ ჩვენს პირველ „აზარტულ“ ნაბიჯებს უქმად არ ჩაუვლია, — სულ რაღაც ორიოდე წლის შემდეგ, 1949 წლის ზაფხულში, ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრებაში პირველი ადგილი დავიკავეთ.

მაშინ თავი უკვე საფეხბურთო მწვერვალის დამპყრობებად მიგვაჩნდა და როდესაც ამას მოჰყვა ოსტატთა გუნდში მიწვევა, ეს სავსებით ბუნებრივად ჩავთვალეთ. მაგრამ „მწარე“ სინამდვილემ მალე აგვიხილა თვალი. ახალ პირობებში ჩვენს წინაშე დასმულმა დიდმა მოთხოვნებმა ძნელი წინააღმდეგობების დაძლევა დაგვაკისრა. დაუყოვნებლივ გამოირ-

# მოგვითხრობს ზაურ კალოევი

კვა, რომ დიდი ფეხბურთის რუკაზე ჩვენს მიერ დაპყრობილი მწვერვალი არცთუ ისე მაღალი იყო და ნამდვილი სიმაღლეების ასაღებად საჭიროა დაუზარელი შრომა, შრომა და შრომა. ეს ლიტონი სიტყვები როდია. შემდგომში ძალიან ბევრჯერ დავრწმუნებულვარ, რომ მხოლოდ და მხოლოდ დაუღალავი შრომით შეიძლება სასურველი შედეგების მოპოვება.

თბილისის „სპარტაკში" გატარებული ორი წელი ჩემთვის, თუ შეიძლება ასე ითქვას, საუკეთესო გარდამავალი ხანა იყო ეზოს ფეხბურთიდან ნამდვილ, დიდ ფეხბურთში. როდესაც „დიდ ფეხბურთზე" ვლაპარაკობ, ცხადია, ოდნავადაც არ მსურს დავამცირო „სპარტაკში" ჩემი ამაგდარი მწვრთნელებისა და დაუღალავი თანამებრძოლების ნიჭი და უნარი. ჩემთვის, ახალგაზრდა ფეხბურთელისათვის, „სპარტაკში" მოწყვეტა, რა თქმა უნდა, ძალზე საპატიო იყო. ძალიან ხშირად მადლიერებით ვიხსენებ იმ წლებს, — წლებს პირველი წრთობისა და სპორტული დავაჟკაცებისას. და მხოლოდ ახლა, დიდი დროის გავლის შემდეგ, მთელი სიცხადით წარმომიდგება ხოლმე ის დაუფასებელი სარგებლობა, რაც იმ გუნდში გატარებულმა ორმა სეზონმა მომიტანა. წარმოიდგინეთ თქვენი თავი ჩემს ადგილზე. ახალგაზრდა, ჯერ კიდევ დაუდევნებელი ფეხბურთელი, ხვდება „ა" კლასის კოლექტივში. დამეთანხმებით, აქ ძალიან იოლად შეიძლება დაიბნეს კაცი. ალბათ, ასეც მოხდებოდა, გვერდით, პარტნიორებად, ფეხბურთის გამოჩენილი „ვარსკვლავები" რომ მყოლოდნენ. „სპარტაკი" კი მთლიანად შედგებოდა ახალგაზრდა, ნიჭიერი, ენთუზიაზმით აღსავსე სპორტსმენებისაგან, რომლებიც ბურთის თამაშის დაუოკებელი წყურვილით და წარმოუდგენელი ცეცხლით. ასეთ კომპანიაში, ბუნებრივია, თავს უფრო ლაღად ვგრძნობდი. აქ, ამ მეგობრულ კოლექტივში, ბევრი რამ ვისწავლე. და, მიუხედავად ამისა, როდესაც 1951 წლის შემოდგომაზე თბილისის „დინამოში" აღმოვჩნდი, ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ეს-ეს არის შევაღე უმაღლესი სასწავლებლის კარი...

განა როდისმე ვიფიქრებდი, რომ დავიკავებდი თვით ბორის პაიჭაძის ადგილს? ახლა კი სწორედ ასეთი ვითარება იქმნებოდა. ყველაფერი დამოკიდებული იყო ჩემზე და მხოლოდ ჩემზე. მაგრამ მშვენივრად ვიცოდი, რომ პაიჭაძის ადგილის დაკავება სრულიად არ ნიშნავდა მის შეცვლას. ეს უკანასკნელი მე საერთოდ შეუძლებელ პრობლემად მიმაჩნია და, მიუხედავად ამისა, ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სწორედ ამიტომ, ძალ-ღონის დაუზოგავად ვცდილობდი და ვცდილობ ვიყო მისი ღირსეული მემკვიდრე.

მე მუდამ განსაკუთრებული ინტერესით ვადევნებდი თვალყურს ცენტრალური თავდამსხმელების თამაშს, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ, რაც კი ჩემი თავი მახსოვს, ყოველთვის მეცხრე ნომრად ვთამაშობდი. ჩემს აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც მოედანზე ვუყურებდი გ. ფედოტოვს, ვ. ბობროვს, ნ. სიმონიანს... ბორის პაიჭაძე კი მუდამ რჩებოდა ჩემს კერპად.

მაგრამ ცენტრალურმა ფორვარდმა მხოლოდ თავისი კოლეგებისაგან უნდა ისწავლოს? რა თქმა უნდა, არა, მაგალითად, ხომ არც ერთი მათგანი თავით ისე ბრწყინვალედ არ თამაშობდა, როგორც სერგეი სალნიკოვი? ანდა ვინ ათვინიერებდა ყოველ ბურთს ისე, როგორც ავთანდილ ღოღობერიძე? და აი, გამოდის, რომ ფეხბურთელს უკვე განსაზღვრული გაქვს შენი ვიწრო ამპლუა, მოედანზე მიჩნეული გაქვს გარკვეული ადგილი და მაინც თამაშის სრულყოფისათვის ყოველდღიურად ეძიებ სხვათა — გარემარბებისა და ნახევარმცველების, შუამარბებისა და მცველების გამოცდილების ნამცეცებს და ცდილობ საკუთარ პრაქტიკაში მოიხმარო ისინი...

ხშირად მეკითხებიან, რომელი ცენტრალური მცველების წინააღმდეგაა განსაკუთრებით ძნელი თამაში. დაუყოვნებლივ მინდა გიპასუხოთ: ძალიან ძნელია და არასასიამოვნო, როდესაც საქმე გაქვს უხეშ ცენტრალურ მცველებთან. მეტისმეტად სასიამოვნო, დიახ, სასიამოვნო იყო თამაში ა. ბაშაშკინის, ა. გომესის, კ. კრიჟევსკის პირისპირ.

ძნელიც იყო და იოლიც. ძნელი იმიტომ, რომ ეს ტაქტიკურად და ტექნიკურად ძლიერი ფეხბურთელები მუდამ აზროვნებდნენ, შემოქმედებითად უდგებოდნენ მოედანზე შექმნილ ყოველ სიტუაციას და გაიძულებდნენ შენც გეფიქრა, შემოქმედებითი მიდგომა გამოგეჩინა, ერთი სიტყვით, გამუდმებით გეაზროვნა. სიადვილე კი იმაში გამოიხატებოდა, რომ დაზღვეული იყავი უხეში გამოხდომებისაგან და „დამატებითი" საზრუნავი არა გქონდა.

როგორც ცნობილია, დღეს საფეხბურთო მოედანზე ძალთა შეფარდება მკვეთრადაა შეცვლილი — ოთხ თავდამსხმელს ოთხი მცველი უპირისპირდება. შეიცვალა როგორც ცენტრფორვარდთა, ისე ცენტრალური მცველების ფუნქციები.

მაგალითებს ისევ პირადი გამოცდილებიდან მოვიყვან. სისტემა 1+4+2+4 ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა წამყვანმა გუნდმა მოიწონა. აქ არ ვაპირებ ამ ტაქტიკური გადახალისების შედეგების ანალიზსა და შეჯამებას; არც მცველთა ცალკეულ ოთხეულებს შევეხები. ლაპარაკი მექნება კონკრეტულად ჩემს უშუალო მეტოქეებზე — ცენტრალურ მცველთა წყვილებზე. ყველაზე უფრო მარჯვე წყვილად მიმაჩნია მოსკოვის „დინამოს" წყვილი: რიაბოვი — ცარიოვი. ეს ორი ფეხბურთელი, უკეთ რომ არ შეიძლება, ისე ავსებს ერთმანეთს. მჭიდე, გამძლე და შრომისმოყვარე ცარიოვი და ათლეტური, თავით კარგად მოთამაშე, კარის მისადგომებთან სადად და საიმედოდ მოქმედი რიაბოვი — ძალიან ძნელი გადასალახავი ზღუდეა. ორთაბრძოლაში, როგორც წესი, პირველი ცარიოვი ებმება და თუ მას რაიმე გაუჭირდება, რიაბოვი უმალ იქ ჩნდება (ამ წყვილის თამაშს მე, რასაკვირველია, ჩემი სამრეკლოდან ვაფასებ, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მის და სხვა მისთანა წყვილთა წინააღმდეგ არსებობს სხვა მეტად ქმედითი იარაღი — ფლანგური იერიში. ეს კი, როგორც მოგეხსენებათ, ძირითადად გარემარბების უნარზეა დამოკიდებული). სხვათა შორის, აქვე მინდა შევნიშნო, რომ ერთ-ერთ უძლიერეს წყვილად მიმაჩნია ჩვენი გუნდის წყვილი: ხურცილავა — ჩოხელი. კიდევ კარგი, რომ ამ წყვილის სიძლიერეს მხოლოდ ვარჯიშებზე ვგრძნობ.

რაც შეეხება ცენტრალური თავდამსხმელების სახეშეცვლილ ფუნქციებს, ისინიც წარმოუდგენლად გართულდა. გართულდა არა მარტო იმიტომ, რომ იკლო ფორვარდთა რიცხვმა. ამის პარალელურად ხომ იმატა მცველთა რიგებმა! ძალიან გაჭირდა კარზე გასვლა, აუცილებელი გახდა თვითეული თავდამსხმელის გაზრდილი მანევრება და, ბოლოს, თვალსაჩინოდ იმატა კარგად დაყენებული, ძლიერი და ზუსტი შორეული დარტყმების ხვედრითმა წონამ.

ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ რაც კარგი იყო გუშინ, დღეს მიუღებელი გახდა. თვალწინ მშვენიერი მაგალითი მიდგას: ავთანდილ ღოღობერიძე. მან საფეხბურთო მინდორი ჩვენში ახალი, ბრაზილიური სისტემის დამკვიდრებამდე დატოვა. მაგრამ განა ის — ძველი ღოღობერიძე, მისივე, თუნდაც უცვლელი არსენალით დღეს კვლავინდებურად არ გამობრწყინდებოდა მოედანზე? მასთან თამაში სოლცარი სიამოვნება იყო. იგი სიტყვის დაწყებისთანავე, უმალ მიგიხვდებოდა განზრახვას. ისეთი შთაბეჭდილება მექმნებოდა, რომ მის ერთ-ერთ საზრუნავს მუდამ შეადგენდა გაეადვილებინა პარტნიორთა მოქმედება. ის მარტო ფეხბურთის დიდოსტატი როდი იყო; მინდორზე ის გამოდიოდა ჩვენი იმედი და სულისჩამდგმელი. მის გვერდით ყოველი ჩვენგანი თავს მშვიდად და დაჯერებულად გრძნობდა. ასეთ პარტნიორზე შეიძლება მხოლოდ იოცნებო.

პარტნიორებს (მე ამჯერადაც ჩემს სამრეკლოზე ავდივარ) ასევე შესანიშნავად „გრძნობდა" ავთანდილ ჭკუასელი. ჩემი მეგობრებიდან ეს კარგი ჩვევა სრულად ახასიათებთ შოთა იამანიძეს, მიხეილ მესხს, ვლადიმერ ბარქაიას. მათი გადაცემები მუდამ გააზრებულია, თუ შეიძლება ასე ითქვას, „მსუბუქია", მათში ყოველთვის იმალება საფრთხე მეტოქის კარისადმი. ჩემს პირად ანგარიშზე რომ მუდამ ესოდენ ბევრი გატანილი ბურთი ირიცხება, რასაკვირველია, მათი დამსახურებაც არის.

თავში ვთქვი, რომ აღმზრდელებსა და პარტნიორებში ბედი მწყალობდა. პარტნიორებზე უკვე გელაპარაკეთ. რაც შეეხება მწვრთნელებს, არ შემიძლია ჩემს მასწავლებელთა შორის მადლიერების გრძნობით არ გავიხსენო ანდრო ჟორდანია (დღეს უკვე ისეთ ასაკში ვარ, როცა აღმზრდელებს განსაკუთრებული გულითადობით იგონებენ და აფასებენ). ზოგიერთებს შეიძლება მოეჩვენოს, რომ გამოცდილ, მრავალწლის ასპარეზობებში გამოვლილ ფეხბურთელს რა უნდა შემატოს მწვრთნელმა? ეს, ცხადია, მცდარი შეხედულებაა. სწორედ ჩვენდა სასიხარულოდ, თბილისის „დინამოს" სათავეში უდგას მიხეილ იაკუშინი. ამ სიტყვაძუნწმა, გამჭრიახმა ადამიანმა, ჩემის აზრით, როგორც სხვამ არავინ, იცის როგორც მომავალი მატჩისადმი გუნდის მომზადება-განწყობა, ისე ნათამაშევი მატჩის ზედმიწევნით გარჩევა. პირველ შემთხვევაში იგი ყოველ ჩვენგანს მნიშვნელოვნად გვიადვილებს გასახორციელებელ ამოცანას, მოწინააღმდეგე გუნდის თვითეული წევრის ლაკონიური და ზუსტი დახასიათებით (არ მახსოვს, რომ იაკუშინის „წინასწარმეტყველება" პრაქტიკაში სწორი არ გამომდგარიყო); მეორე შემთხვევაში კი მას მხედველობიდან არასოდეს არ გამოჰპარვია ისეთი დეტალებიც კი, რომლებიც, ერთი შეხედვით, ჩვენ უმნიშვნელოდ მიგვაჩნდა. ჩვენი ახლანდელი მწვრთნელი სამართლიანი და მომთხოვნი, მკაცრი და კეთილი აღმზრდელია. მის მომთხოვნელობას სხვებზე მეტად თუ არა, არა ნაკლებ განვიცდი საკუთარ კისერზე. კვეხნით არ ვიტყვი და „იაკუშინისეულ" დატვირთვას თუ ვუძლებ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მთელი სპორტული კარიერის მანძილზე მკაცრად ვიცავდი და ვიცავ რეჟიმს, მუდამ ძალ-ღონის დაუშურებლად, დაუზარებლად ვვარჯიშობდი და ვვარჯიშობ. ერთხელ კიდევ მინდა გავახსენო ახალგაზრდებს, რომ სპორტული დღეგრძელობის ერთადერთი მტკიცე საძირკველია რეჟიმის დაცვა და შრომისმოყვარეობა.

...ახლა, როცა სსრ კავშირის XXV საფეხბურთო ჩემპიონატი მიმდინარეობს, აღსავსე ვარ სურვილით კვლავ ვიბრძოლო საუკეთესო სნაიპერის სახელის მოპოვებისათვის.

საუბარი ჩაწერეს გ. ა[illegible]
და მ. კა[illegible]

# თავადის ასული ტარაკანოვა



თუ თქვენ ტრეტიაკოვის გალერეაში ყოფილხართ, ალბათ ყურადღებას მიაქცევდით მხატვარ კ. დ. ფლავიცკის სურათს — „თავადის ასული ტარაკანოვა“.

...ციხის ნახევრად ბნელი საკანი, ჭერთან გამოჭრილია სარკმელი, საიდანაც წყალი გადმოსჩქეფს. ხის ტახტზე დგას პირმშვენიერი ქალი, რომელსაც ფეხებამდე მოსდგომია წყალი. ქალის სახეზე შიში და სასოწარკვეთილებაა აღბეჭდილი.

ვინ არის ეს თავადის ქალი, ასეთი „მდაბიური“ გვარით?

ბევრმა არც კი იცის, რომ ფლავიცკიმ სურათზე გამოსახა მეთვრამეტე საუკუნის ერთ-ერთი ცნობილი ავანტიურისტი ქალი. პირველად მას ყურადღება მიაქციეს 1772 წელს პარიზში, სადაც იგი თავს ასაღებდა დიდგვაროვან ჩერქეზ ქალად.

რამდენიმე წლის შემდეგ ეს ქალი კვლავ გამოჩნდა ჰორიზონტზე, ამჯერად ფრანკფურტში, პრინცესა აზოვსკაიას გვარით. შემდეგ იგი, რაღაც გზით, დოკუმენტებით სავსე იდუმალი ყუთის მფლობელი გახდა. ამ დოკუმენტებიდან ირკვეოდა, რომ იგი იყო არა დიდგვაროვანი ჩერქეზი ქალი და არა პრინცესა აზოვსკაია, არამედ რუსეთის იმპერატორის ელიზავეტას ასული. ყოველივე ეს მან განუცხადა პოლონეთიდან განდევნილ თავადს რაძივილს. ამ მაგნატმა, რომელსაც ჯერ კიდევ იმედი ჰქონდა პოლონეთის სამეფო ტახტის ხელში ჩაგდებისა, გადაწყვიტა ემოქმედა. ცრუ თავადის ქალთან ერთად იგი გაემგზავრა თურქეთში, რათა სულთანისაგან დახმარების პირობა მიეღო. მაგრამ მათი გეგმები მოულოდნელად ჩაიფუშა. თურქეთმა მოასწრო რუსეთთან ზავის დადება. მაშინ რაძივილმა გადაწყვიტა თავისკენ გადაებირებინა გრაფი ორლოვი, რომელიც იმხანად ხმელთაშუა ზღვაში განლაგებულ რუსეთის ფლოტში იმყოფებოდა და, როგორც ხმები დადიოდა, განაწყენებული იყო თავის იმპერატორზე.

მაგრამ ორლოვს უკვე მიღებული ჰქონდა პეტერბურგიდან საიდუმლო ბრძანება ტარაკანოვას დაპატიმრების შესახებ. მან ისე დაიჭირა თავი, თითქოს დათანხმდა რაძივილის წინადადებას, დახმარება გაეწია თავადის ქალისათვის. ორლოვი ტარაკანოვას პატივს არ აკლებდა და ხელიც კი სთხოვა მას. ლივორნოში რუსეთის ფლოტის შესვლის დღეს ორლოვმა განუცხადა რაძივილს, რომ სურს ტარაკანოვას პატივსაცემად მოაწყოს საჩვენებელი საზღვაო ბრძოლა. თავადის ქალი ეწვია ადმირალის ხომალდს. მის პატივსაცემად ხომალდებიდან იგრიალა ზარბაზნების სალუტმა. მაგრამ სტუმარმა ძლივს მოასწრო გემბანზე ფეხის დადგმა, რომ იგი მაშინვე დააპატიმრეს. ორლოვი თავის ტყვესთან ერთად სასწრაფოდ გაეშურა პეტერბურგისკენ.

თავადის ქალი პეტრეპავლეს ციხის ერთ-ერთ ბასტიონში ჩაამწყვდიეს. მთავრობის სპეციალურმა კომისიამ დაიწყო მისი საქმის კვლევა-ძიება. თავადის ქალის ტარაკანოვას ციხეში ტანჯვა დიდხანს არ გაგრძელებულა, 1775 წლის მაისში იგი გარდაიცვალა და დასაფლავებულ იქნა ციხის სასაფლაოზე.

ტარაკანოვას პიროვნებით დაინტერესდა იმ დროის მრავალი ადამიანი. მის შესახებ ლეგენდები დადიოდა. ერთ-ერთი ლეგენდა გამოიყენა მხატვარმა ფლავიცკიმ, რომელმაც ტარაკანოვას სიკვდილი 1777 წელს პეტერბურგში მომხდარ დიდ წყალდიდობას მიაწერა.

# ადამიანი

სიტყვა „გაცოცხლდა“ სათაურში შეცდომით როდი დავწერეთ ბრჭყალების გარეშე. ბულგარელი ქალიშვილი პენკა ნაიდენოვა ნამდვილად აღსდგა მკვდრეთით. ამ სასწაულში, რა თქმა უნდა, არავითარ ზებუნებრივ ძალებს არ მიუღიათ მონაწილეობა. სიკვდილის დამარცხება მხოლოდ ქირურგის მადლიანი ხელის მეოხებით გახდა შესაძლებელი.

მკითხველი ალბათ გაიფიქრებს, რომ საუბარი კვლავ კლინიკურ სიკვდილს შეეხება, რომ ადამიანისათვის სიცოცხლის დაბრუნება შესაძლებელი გახდა გულის მუშაობის შეჩერებიდან 5-6 წუთის გასვლის შემდეგ.

როგორც ცნობილია, დროის ამ მონაკვეთის შემდეგ თავის ტვინის უჯრედებში იწყება დამღუპველი ცვლილებები, დგება ბიოლოგიური სიკვდილი და არავითარ ძალას აღარ შეუძლია მდგომარეობის გამოსწორება.

კლინიკური სიკვდილის დროს ადამიანისათვის სიცოცხლის დაბრუნებაზე მრავალჯერ დაიწერა. მრავალჯერ გულისტკივილით აღინიშნა იმ მეტად მცირე — 5-6 წუთ დროზე, რომლის იქით ბუნება აღარ გვიშვებს ვიბრძოლოთ სიკვდილის განსადევნად.

ამბავი, რომელიც პენკა ნაიდენოვას გადახდა, მთელი მსოფლიოს სამედიცინო პრაქტიკაში ერთადერთი შემთხვევაა. იგი საშუალებას გვაძლევს იმედი ვიქონიოთ, რომ დროის ეს მცირე მონაკვეთი მნიშვნელოვნად შეიძლება გახანგრძლივდეს, რომ 5-6 წუთი ყოველთვის არ წარმოადგენს კლინიკური სიკვდილის ზღვარს.

ბულგარეთის ერთ-ერთი საავადმყოფოს ექთანის პენკა ნაიდენოვას ზღაპრული ამბავი მოულოდნელი უბედური შემთხვევით დაიწყო.

მუშაობაში გართულმა პენკამ, რომელსაც ცალ ხელში სტერილიზატორი ეჭირა, მეორე ხელი შემთხვევით შეახო წყალგაყვანილობის ონკანს. მოხდა მოკლე ჩართვა, რომლის დროს ქალიშვილის სხეულში ელვასავით გაიარა 880 ვოლტის ძაბვამ. ექთანი პენკა ნაიდენოვა მაშინვე უსულოდ დაეცა იატაკზე.

15 წუთის შემდეგ ოთახში შემოვიდა საავადმყოფოს ქირურგი არშევირ დერეჟდიანი. გამოცდილმა სპეციალისტმა მაშინვე განსაზღვრა, რომ საოპერაციოში სხეულის გადატანა ძვირფასი წამების დაკარგვას გამოიწვევდა, რომ იქვე იატაკზე უნდა დაეწყო სიცოცხლის დაბრუნებისათვის ბრძოლა.

შემთხვევის ადგილზე შეკრებილმა ექიმებმა სწრაფად გახადეს „გვამს“. ქალიშვილის ხორხში შეიყვანეს სასუნთქი მილაკი და გაბედულად შეუდგნენ გულის უჩვეულო ოპერაციას.

ქირურგმა დერეჟდიანმა გახსნა გულ-მკერდის ღრუ, ხელი წაავლო უმოქმედო გულს და რიტმული მასაჟის გაკეთება დაიწყო.

დაძაბულ მოლოდინში გაიარა ხუთმა წუთმა... ათმა წუთმა... ნახევარმა საათმა.

უმოქმედო გული უარს აცხადებდა მუშაობის დაწყებაზე, სიკვდილი ერთი ნაბიჯითაც არ აპირებდა უკან დახევას.

სიცოცხლის პირველი ნიშანი მხოლოდ ერთი საათისა და ოცდახუთი წუთის შემდეგ გამოჩნდა. ექიმმა იგრძნო, როგორ შეტოკდა კუნთი, თანდათანობით როგორ ამუშავდა გული. ცოტა ხნის შემდეგ მკერდმა სხვის დაუხმარებლად დაიწყო სუნთქვა, ორგანოებს შორის დარღვეული ურთიერთობა აღდგა, სხეული უკვე აღარ წარმოადგენდა უსიცოცხლო გვამს.

მარტო ამით როდი დამთავრდა ადამიანის გადასარჩენად დაწყებული უპრეცენდენტო ბრძოლა. როგორც შემდეგ გამოირკვა, ქალიშვილის თავის ტვინის ქერქი მეტად დაზიანებული იყო და ნელი ტემპით აღადგენდა ფუნქციებს.

ბულგარელი სპეციალისტების ნებისყოფამ, ცოდნამ და ოსტატობამ ყოველგვარ დაბრკოლებას სძლია. პენკა ნაიდენოვა ახლა უკვე თითქმის მთლიანად გამოჯანმრთელებულად გრძნობს თავს.

ეს შემთხვევა მედიცინის მუშაკებს მეტად სასიხარულო იმედებს აძლევს. მათთვის ნათელი გახდა, რომ 5-6 წუთი ყოველთვის როდი წარმოადგენს ბიოლოგიური სიკვდილის ზღვარს, რომლის იქით აღარ შეიძლება ბრძოლა.

თხუთმეტი წუთი ბევრად მეტია 5-6 წუთზე! ეს დრო საშუალებას მისცემს ექიმებს დაღუპვისაგან იხსნან მრავალი განწირული ადამიანის სიცოცხლე.

# მსოფლიოს მეშვიდე საოცრება

ამ რამდენიმე ხნის წინათ ერთმა ლატაკმა ეგვიპტელმა, რომელიც თევზაობით ირჩენდა თავს, ხმელთაშუა ზღვაში, ალექსანდრიის მახლობლად ჩაყვინთა. მის გაოცებას საზღვარი არ ქონდა, როცა რამდენიმე მეტრის სიღრმეში გიგანტური ქანდაკება დაინახა. ხელმეორედ ჩაყვინთვის დროს მან მეორე ქანდაკება და ქვის სვეტი აღმოაჩინა.

ამ ამბავმა მრავალი სენსაციური აღმოჩენებით განებივრებული ეგვიპტელი არქეოლოგებიც კი აალელვა. მათ კარგად იცოდნენ, რომ ამ ადგილებში ოდესღაც აღმართული იყო ფაროსის შუქურა — მსოფლიოს შვიდი საოცრებიდან ერთ-ერთი საოცრება.

ფაროსის შუქურა აგებული იქნა 279 წელს (ძვ. წ. აღ.), სახელგანთქმული ხუროთმოძღვრის სოსტრატის მიერ. საზღვაო ბასტიონის უკან აღმართეს სამოცმეტრიანი კოშკი, რომელშიც 300 დარბაზი იყო მოთავსებული. შუქურა ერთდროულად წარმოადგენდა ტაძარსა და ციხე-სიმაგრეს. იგი დამშვენებული იყო ტერასებითა და ქანდაკებებით. არსებობს გადმოცემა, რომ ფაროსის შუქურის ერთ-ერთი ქანდაკება მზესთან ერთად ბრუნავდა და მნათობისაკენ ჰქონდა მიმართული გაშლილი თითი. მეორე ქანდაკება მუსიკალური ფრაზით აღნიშნავდა ყოველი საათის დამთავრებას, მესამე — იძლეოდა განგაშის ნიშანს, როგორც კი მტრის ხომალდები მოადგებოდა ალექსანდრიას.

კოშკის თავზე, გრანიტიდან გაკეთებული რეფლექტორის წინ, მუდამ ენთო კაშკაშა ცეცხლი. როგორც ამტკიცებენ, ამ ცეცხლის ალი ას კილომეტრზე მეტ მანძილზე მოჩანდა. კოშკს ამშვენებდა რეფლექტორზე აღმარ ული ზღვათა მეფის პოსეიდონის ბუმბერაზული ქანდაკება.

ფაროსის შუქურის საერთო სიმაღლე 150 მეტრს აღემატებოდა და ხეოფსის ცნობილ პირამიდაზე უფრო მაღალი იყო.

391 წელს ქრისტიანმა ბერებმა დაწვეს ალექსანდრიის სახელგანთქმული ბიბლიოთეკა. ცეცხლმა შთანთქა 700 ათასზე მეტი უძვირფასესი ხელნაწერი. მათვე დაწვეს სერაპისის დიდებული ტაძარი და დააზიანეს ფაროსის შუქურა. ამ დიდებულ ნაგებობას ნაკლები ზიანი როდი მიაყენეს სხვა დამპყრობლებმა: სპარსელებმა, ბიზანტიელებმა, არაბებმა, თურქებმა. ყველამ გაიღო თავისი „წვლილი“ უძველესი ძეგლის განადგურებაში.

1875 წლის ძლიერმა მიწისძვრამ საბოლოოდ მოუღო ბოლო ამ ნაგებობას. ასუანის იისფერ-მოწითალო გრანიტის ნარჩენები, რომლისგანაც აგებული იყო შუქურა, ერთ-ერთმა სულთანმა გაზიდა თავისი სასახლის ასაგებად.

კაცობრიობა იმედს არ ჰკარგავს, რომ ოდესმე შეიძლება აღმოჩნდეს ამ დიდებული ნაგებობის ნარჩენები. ვინ იცის, ეგვიპტელი მეთევზის მიერ ნაპოვნი ქანდაკებები და სვეტი იქნებ პირველი მერცხლებია ამ იმედის გასამართლებლად?

# ჩვენი პლანეტის საიდუმლოებანი



საერთაშორისო გეოფიზიკურმა წელმა დიდძალი საინტერესო მასალა შესძინა მსოფლიო მეცნიერებას, როგორც დედამიწის ფიზიკური აგებულების, ისე იმ საიდუმლოებათა ამოსაცნობად, რომლებითაც ჯერ კიდევ მოცულია ჩვენი პლანეტა.

ამას წინათ მოსკოვში დამთავრდა საერთაშორისო გეოფიზიკური წლის შედეგებისადმი მიძღვნილი კონფერენცია.

ქვემოთ ვაქვეყნებთ მოკლე მიმოხილვას დედამიწის იმ საიდუმლოებათა შესახებ, რომელთაგან საბჭოთა მეცნიერების მიერ, მრავალი ქვეყნის მეცნიერებთან მჭიდრო თანამშრომლობით, ზოგი ამოცნობილ იქნა, ზოგი კი ახლად აღმოჩენილი.

## რისკენ ისწრაფვოდნენ მეცნიერები?

სხვადასხვა დარგის მეცნიერებათა შორის გეოფიზიკა ერთ-ერთი ყველაზე „საერთაშორისო" მეცნიერებაა. ამიტომაც არის, რომ მან მრავალი ქვეყნის გამოჩენილი სპეციალისტი გააერთიანა დედამიწის საიდუმლოებათა ამოცნობისა და შესწავლისათვის.

ყოვლად შეუძლებელია ჩვენი პლანეტის მხოლოდ ერთ რომელიმე უბანზე დაკვირვების შედეგად აღმოაჩინოთ ის კანონები, რომლებიც წარმართავენ რადიაციული სარტყელების, ოკეანეთა დინებებისა თუ დედამიწის ქერქის ფენების მოქმედებას. ასევე წარმოუდგენელია ამინდის პროგნოზის დადგენა მხოლოდ საკუთარ თავს ზემოთ არსებული ცისადმი თვალყურის დევნებით.

ჩვენი პლანეტის შესწავლა და ახალ-ახალ საიდუმლოებათა ამოცნობა, რომელსაც გეოფიზიკა ისახავს მიზნად, მხოლოდ მეცნიერთა ერთობლივი ძალების გულმოდგინე მუშაობის შედეგად არის შესაძლებელი. მხოლოდ მათი ერთობლივი მეცადინეობით შეიძლება დავადგინოთ, მაგალითად, ის კანონზომიერება, რომელიც არსებობს კლიმატის ცვალებადობასა და ოკეანის ფსკერზე დედამიწის ქერქის უმნიშვნელო გადაადგილებას შორის.

როგორც გეოფიზიკოსთა ხანგრძლივი დაკვირვებით გამოირკვა, ატლანტის ოკეანის ფსკერის ჩრდილოეთ ნაწილში არსებული სიმაღლის ე. წ. ფარერის ზღურბლის მეტად ნელი, წელიწადში რამდენიმე მილიმეტრით ამოწევა ან დაწევა დიდ გავლენას ახდენს წყალქვეშა დინებათა რეჟიმზე და მნიშვნელოვნად ცვლის კლიმატს.

ევროპაში გამყინვარების პერიოდის დამთავრებას ჰოლფსტრიმის თბილი დინების ჩრდილოეთისაკენ გაჭრას უკავშირებენ. გამოირკვა, რომ წყალში შეიცვალა ჟანგბადისა და პლანქტონის რაოდენობა, რამაც თავის მხრივ გავლენა მოახდინა თევზის ჭერის სტაბილობაზეც.

საერთაშორისო გეოფიზიკურმა წელმა მრავალი უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა მოუტანა მსოფლიოს. ერთ საიდუმლოებას რომ ამოხსნიან, ადამიანები მეორე ამოცანის წინაშე დგებიან — ასეთია ჩვენი შემეცნების განვითარების კანონი. ეს ახასიათებს მეცნიერების ყველა სფეროს, მათ შორის გეოფიზიკასაც, და ამ მხრივ საერთაშორისო გეოფიზიკური წლის გამოკვლევებიც არ წარმოადგენენ გამონაკლისს.

## პოლუსები განაგრძობენ მოგზაურობას

როგორც გეოფიზიკოსებმა დაადგინეს, არქტიკასა და ანტარქტიკას შორის დედამიწის ქერქის აღნაგობაში საგრძნობი განსხვავება ყოფილა. დედამიწის ყველაზე სამხრეთ ნაწილში — ანტარქტიკაში მისი სისქე 40 კილომეტრია. ჩრდილოეთ ნაწილში — არქტიკაში კი ოთხჯერ უფრო ნაკლები. ამასთან ქერქის ეს ნაწილები სტრუქტურითაც მნიშვნელოვნად გამოირჩევიან ერთმანეთისაგან.

რით აიხსნება ასეთი განსხვავება?

როგორც მეცნიერები განმარტავენ, შეიძლება ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ პოლუსები ადგილს იცვლიან, „დაეხეტებიან" დედამიწაზე, რაც, თავის მხრივ, ცვლის პლანეტის მდგომარეობასაც.

ამ ვერსიას პოლუსების მოგზაურობის შესახებ ადასტურებს პალეომაგნიტური გამოკვლევებიც. საქმე იმაშია, რომ ზოგიერთი ქანი საკმაოდ მდგრადი მაგნიტური თვისებისაა, და იმის მიხედვით, თუ როგორაა მათში განლაგებული ძალოვანი ხაზები, მეცნიერები ახერხებენ მაგნიტური პოლუსების ადრინდელი ადგილმდებარეობის დადგენასაც. მაგნიტური პოლუსები კი, როგორც ცნობილია, რამდენადმე დაკავშირებულია გეოგრაფიულ პოლუსებთან.

## პლანეტა მღერის ბანით

მეორე გამოცანა, რომელზეც საბოლოო პასუხი ჯერ კიდევ არ მოუციათ მეცნიერებს, წარმოიქმნა საერთაშორისო გეოფიზიკური წლის დაწყებამდე. ეს არის დედამიწის რხევასა და ამინდს შორის ურთიერთკავშირის საკითხი.

არცთუ ისე დიდი ხნის წინათ დედამიწა... მღეროდა. დიახ, „მღეროდა". იგი, კონფერენციის ერთ-ერთი მონაწილის სიტყვით რომ ვთქვათ, მღეროდა ისეთი დაბალი ბანით — „ულტრაკონტრაბანით", რომ ადამიანის ყურს არ შეეძლო გაეგო ეს სიმღერა. მაგრამ იგი მაინც გაიგონეს მეცნიერებმა უაღრესად მგრძნობიარე ხელსაწყოების მეოხებით. „სიმღერა" გამოწვეული იყო ჩილის მიწისძვრით წარმოქმნილი რხევით. მას შემდეგ, რაც გეოფიზიკოსებმა დაადგინეს, რომ დედამიწა ირხეოდა 50 წუთიანი პერიოდით, ხოლო მის მოპირდაპირე მხარეზე გაზომილ იქნა ამ რხევის ამპლიტუდა, რომელიც დაახლოებით ერთი სანტიმეტრის ტოლი იყო. მათ წინაშე მრავალი ახალი საინტერესო საკითხი დადგა.

ოკეანის თავზე ქარი ამოვარდა, დაიწყო ღელვა. აქოჩრილი ზვირთები მრისხანედ გაემართნენ სხვადასხვა მიმართულებით. შეიქმნა ტალღების ჯგლეთვა. ეს ჯგლეთვა დაწოლას ახდენს ოკეანის ფსკერზე. ფსკერი იწყებს რხევას. ეს რხევა არსებობს ყველგან და ყოველთვის. იგი მეტად მცირე ძალისაა, ამიტომ სახელად „მიკროსეისმი" უწოდეს. საერთოდ მიკროსეისმები ხელს უშლიან სეისმოლოგებს მუშაობაში, ქმნიან დაბრკოლებების მთელ ფონს, რომელსაც ძალაუნებურად აღრიცხავენ ხოლმე ხელსაწყოები. მიკროსეისმები წარმოიქმნება ძლიერი ღელვის დროს და აღინიშნება ხუთი ათას კილომეტრამდე მანძილზე.

ამ გარემოებამ მეტად საინტერესო იდეა დაბადა: შეიძლება თუ არა რხევათა გაზომვით იმ ადგილის დადგენა, სადაც აღნიშნულ დროს შტორმი ბობოქრობს? სანამ ამ კითხვაზე უპასუხებდნენ, მეცნიერებს უნდა გამოერკვიათ კიდევ მრავალი რამ. თუნდაც მაგალითად, რა გავლენას ახდენს მიწის რელიეფი მიკროსეისმის გავრცელებაზე. მეცნიერებმა შეძლეს ზოგიერთი საკითხის გადაჭრა, მაგრამ მათ საბოლოო გადაწყვეტამდე ჯერ კიდევ შორსაა.

საერთაშორისო გეოფიზიკური წლის პერიოდში აღმოჩენილ იქნა დედამიწის ქერქის ის ნაწილი, რომელიც წარმოადგენს გარდამავალს კონტინენტიდან ოკეანეში. ოკეანის ფსკერზე ეს ქერქი უფრო თხელია, მაგრამ უფრო მკვრივი, ვიდრე ხმელეთზე. ზოგიერთი ზღვის ფსკერი კი (შავი ზღვა, ხმელთაშუა ზღვა, წითელი ზღვა) თავისი სტრუქტურით არც მთლად კონტინენტალურია, არც მთლად საოკეანო — იგი გარდამავალი ხასიათისაა.

ეს გარდამავალი ზოლი საკმაოდ დიდია. შორეულ აღმოსავლეთის რაიონში მას ოხოტის ზღვის ფართობის მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავს და თავდება ოკეანისაკენ ღრმა თხრილებითა და ღრმულებით.

როგორც ჩანს, ეს შემთხვევითი არ არის. შორეულ აღმოსავლეთში ხშირია მიწისძვრები. ამის მიზეზი ის არის, რომ ოკეანის ფსკერი და კონტინენტები სხვადასხვანაირად „იქცევიან". ხანგრძლივი გეოლოგიური ძვრების პროცესში, შესაძლებელია, დედამიწის კონტინენტალური ნაწილი მაღლა იწევს, საოკეანო ნაწილი კი დაბლა ეშვება, ან, შესაძლებელია, კონტინენტიც და ოკეანეც მაღლა იწევს, მაგრამ სხვადასხვა სიჩქარით. ეს კი იწვევს მიწის ფენების რღვევას, გლეჯას, რაც გამუდმებული მიწისძვრების მიზეზი ხდება.

## 1.000.000 მიწისძვრა წელიწადში

შეიძლება თუ არა მიწისძვრის წინასწარმეტყველება? შეიძლება, აცხადებენ მეცნიერები. მათ დაამზადეს მიწისძვრის დარაიონების რუკა, რომელზეც აღნუსხულია, თუ სად და რა ძალით შეიძლება მოხდეს რყევა. მართალია, ეს რუკა ჯერ კიდევ არ არის ზუსტი, მაგრამ მეცნიერები ნაყოფიერად განაგრძობენ მუშაობას მისი სრულყოფისათვის. თუმცა იმის დაზუსტება, თუ როდის მოხდება ეს მიწისძვრა, მეცნიერებს ჯერ კიდევ არ ძალუძთ.

როგორც გამოირკვა, დედამიწაზე ყოველწლიურად ერთ მილიონამდე მიწისძვრა ხდება. ჩვენი პლანეტა ყოველთვის განიცდის დეფორმაციას. მის შიგნით რაღაც ფართოვდება ან იკუმშება. სამწუხაროდ, მეცნიერებმა ჯერ კიდევ ვერ დაადგინეს ამის მიზეზები. მაგრამ ეს „სუნთქვა“ და განუწყვეტელი ბიძგები მარტო დედამიწის შინაგანი მიზეზებით როდი აიხსნება. იგი გამოწვეულია მზისა და მთვარის მიზიდულების გავლენითაც როგორც ატმოსფეროზე, ისევე დედამიწის ქერქსა და გულზე. ასე რომ, მოქცევა და უკუქცევა მარტო ოკეანეების მონოპოლია არ ყოფილა.

შეიძლება ბევრს გაუკვირდეს კიდეც ის ამბავი, რომ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი დღე-ღამეში ორჯერ იწევს მაღლა 40 სანტიმეტრით და ორჯერვე დაბლა ეშვება. შუა აზიის მცხოვრებნი კი ყოველდღიურ „გაფრენა-დაშვებას“ აწარმოებენ უფრო მცირე მანძილზე — 30 სანტიმეტრზე.

რა არის ამ სხვაობის მიზეზი?

მოქცევები და უკუქცევები ახდენენ მთელი დედამიწის დეფორმაციას, ამიტომ ის „აწევ-დაწევა“, რასაც ადგილი აქვს დედამიწის ქერქში, განისაზღვრება პლანეტის ფორმით. დედამიწა რომ სფეროსებრ სიმეტრიული ყოფილიყო, მაშინ მოქცევითი დეფორმაციებიც ერთნაირი იქნებოდა.

## დედამიწა და მილასამორჩეული ბორბალი

გეოფიზიკოსებმა აღმოაჩინეს დედამიწის ახალი ტიპის ნუტაციები ანუ დედამიწის ღერძის „რყევები“. როგორც ცნობილია, მილასამორყეული ბორბალი არა მარტო ღერძის გარშემო ტრიალებს, არამედ ირყევა კიდეც. სწორედ ასე ემართება თურმე დედამიწასაც.

თუ ჩვენს პლანეტას აქვს თხევადი ბირთვი, მაშინ ამ ბირთვის დამატებით ნუტაციაც (რყევაც) უნდა არსებობდეს ერთი დღე-ღამის პერიოდით. ეს მოსაზრება თეორიულად ცნობილი იყო ჯერ კიდევ XIX საუკუნეში, მაგრამ მხოლოდ საბჭოთა მეცნიერის მ. მოლოდენსკის მიერ ამ ნუტაციის პერიოდის წინასწარი გაანგარიშების საფუძველზე წარმოიქმნა მისი აღმოჩენის რეალური შესაძლებლობა.

ოცდასამი წლის კვლევის შემდეგ პოლტავის გრავიმეტრული სადგურის მუშაკმა ნ. პოპოვმა ახლახანს აღმოაჩინა ეს ნუტაცია და დაამტკიცა, რომ მისი „რყევის“ პერიოდი დღე-ღამეზე შვიდი წუთით ნაკლებია. ამ აღმოჩენას დედამიწის მოძრაობის თეორიისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს.

როგორც ცნობილია, დედამიწის ტრიალი ყოველთვის არ არის თანაბარი და დროდადრო იგი თანდათან ნელდება. ამ მოვლენას წინათ ზღვის მიმოქცევით წარმოქმნილ ხახუნს აბრალებდნენ. ახლა კი ირკვევა, რომ დედამიწის არათანაბარ მოძრაობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოქცევათა დაგვიანება თვით დედამიწის შიგნით. მზისა და მთვარის მიზიდულება იწვევს დედამიწის ქერქის იმ ნაწილის „აბურცვას“, რომელიც ჩვენი პლანეტის ბრუნვის დროს უპირისპირდება მათ. მაგრამ ქერქის ეს „აწევ-დაწევა“ იწყება მისი არა უშუალოდ მზესა და მთვარესთან დაპირისპირების დროს, არამედ უფრო გვიან, დედამიწის შემობრუნების პროცესში, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს და აფერხებს დედამიწის ტრიალს.

## რატომ დაგვიბრუნდა ყინვები?

რატომ ხდება, რომ ზამთარი სხვადასხვა წელიწადს სხვადასხვანაირია — ხან ცივი, ხან თბილი?

როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, კლიმატი ადამიანის საქმიანობის ზეგავლენითაც იცვლება. ახლა შედარებით უფრო თბილი კლიმატია, ვიდრე წინათ იყო. ეს გარემოება სამრეწველო ცენტრების სწრაფი ზრდითაც არის გამოწვეული. თითქმის ყოველ ქალაქში წლის საშუალო ტემპერატურა ერთი-ერთნახევარი გრადუსით უფრო მაღალია, ვიდრე მის გარეუბნებში.

მაგრამ ამინდი ადამიანის საქმიანობის გარეშეც იცვლება. მაგალითად, მოსკოვში გასული ზამთარი უფრო თბილი იყო, ვიდრე წლევანდელი. სხვათა შორის, კლიმატოლოგებმა დიდი ხნით ადრე იწინასწარმეტყველეს ამინდის ასეთი საგრძნობი შეცვლა.

ცნობილი საბჭოთა ოკეანეგრაფის ვ. ნაზაროვის ჰიპოთეზით, კლიმატური ზონების შეცვლა იმით არის გამოწვეული, რომ ყინულის პოლარული „ქუდები“ პერიოდულად „იკუმშებიან“ და ამით არღვევენ დედამიწის „წონასწორობას“. პოლარული ყინულები მეტად არათანაბრად არიან განლაგებული დედამიწის გეოგრაფიული პოლუსების მიმართ. ისინი გამუდმებით თითქოსდა „ცურდებიან“ ეკვატორისაკენ.

ამჟამად ჩრდილოეთ პოლუსი დასავლეთ გრძედის მესამოცე მერიდიანის მიმართულებით მოძრაობს, სამხრეთ პოლუსი კი აღმოსავლეთ გრძედის ასმეოცე მერიდიანისაკენ „ეშვება“. თუ ასე გაგრძელდა, ასი ათასი წლის განმავლობაში დედამიწის სფეროზე კლიმატური ზონების არსებითი შეცვლა მოხდება. მნიშვნელოვნად აცივდება ნიუფაუნდლენდის, კანადის, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის რაიონებში. დათბება ციმბირში, ჩუკოტკაზე, იაპონიაში და ა. შ.

ჩვენს პლანეტაზე სითბოს არათანაბარი განაწილების გარდა, სითბური რეჟიმი დამოკიდებულია მზის აქტივობაზეც ე. ი. ენერგიის იმ რაოდენობაზე, რომელსაც იგი დედამიწაზე აგზავნის. მზის აქტიურობის მერყეობა გავლენას ახდენს დედამიწის ჰაერზე, წყლის მასების ცირკულაციაზე, მოქმედებს ყინულების მარაგზე.

უნდა ველოდოთ, რომ ზღვების გამყინვარება მომავალი ორი ათეული წლის მანძილზე გაცილებით დიდი იქნება. ამიტომ დედამიწაზეც მოსალოდნელია საყოველთაო აციება.

## აბატ სოსიურის რტო

ოდესღაც, თითქმის 200 წლის წინათ, შვეიცარიელმა აბატმა სოსიურმა ალპების გამოკვლევის დროს ნაძვის რტო ჩაარჭო იმ მყინვარის ბზარში, რომელიც მონბლანიდან შამანის ველში ეშვებოდა. სოსიური გატაცებული იყო ბუნებისმეტყველებით, ამასთან იგი ერთ-ერთი პირველი ალპინისტი გახლდათ. მყინვარზე ასვლისას მან გადაწყვიტა თვალი ედევნებინა ყინულოვანი მასების მოძრაობისათვის. ასე ჩაეყარა საფუძველი გლაციოლოგიას — მეცნიერებას ყინულისა და დედამიწის ზედაპირის გამყინვარების ბუნების შესახებ.

მაგრამ თუ წინათ გლაციოლოგიას მხოლოდ აღწერითი ხასიათი ჰქონდა, ახლა, საერთაშორისო გეოფიზიკური წლის მონაცემების შეჯამებისას, იგი წარმოგვიდგა როგორც ზუსტი მეცნიერება.

გამოკვლევებს აწარმოებდნენ ოცდაექვსი ქვეყნის მეცნიერები. ყინულოვანი მოვლენების შესწავლაში მონაწილეობას იღებდა ასზე მეტი გლაციოლოგიური სადგური. ამ სადგურების მიერ დაგროვებულ იქნა დიდი რაოდენობის მასალა, რომელიც 137 ტომს შეიცავს.

გამოკვლევების შედეგებმა მოლოდინს გადააჭარბა. მყინვარები პირველად იქნენ აღრიცხული მთელს მსოფლიოში. ამ „ინვენტარიზაციამ“ მნიშვნელოვნად შეცვალა მეცნიერების წარმოდგენა დედამიწის გამყინვარებაზე, აღმოჩნდა, რომ ჩვენს პლანეტაზე ყინულის მოცულობა უდრის 30 მილიონ კუბურ კილომეტრს, ნაცვლად 10-15 მილიონი კუბური კილომეტრისა, რაც აქამდე ეგონათ, მყინვარები 38-ჯერ აღემატებიან დედამიწაზე არსებული ტბებისა და მდინარეების წყლის მასებს, ყინულის ეს ბუმბერაზული მასები რომ თანაბრად განაწილდეს დედამიწის ზედაპირზე, ყინულოვანი ფენის სისქე 60 მეტრს მიაღწევდა.

მეცნიერების განსაკუთრებული ყურადღება ანტარქტიკამ მიიპყრო. აქ აღმოჩენილ იქნა მყინვარები, რომელთა სისქე 5 ათასი მეტრია. ანტარქტიკაში წარმოებულმა გამოკვლევებმა მეცნიერები მიიყვანა იმ აზრამდე, რომ საიდუმლო მატერიკის მთელი ეს უზარმაზარი ყინულის „ქუდი“ დაბჯენილია წყლის ბალიშზე და მხოლოდ ნაპირებთან ახლოს „წვანან“ მყინვარები მიწაზე. მაშასადამე მიწა მყინვარების ქვეშ თბილი ყოფილა. მაგრამ როგორ შემოწმდეს ეს? როგორ ჩააღწიონ მყინვარების ფუძემდე? საბჭოთა და ამერიკელმა მეცნიერებმა სცადეს ყინულის სისქის გაბურღვა, მაგრამ ეს ცდები ჯერჯერობით უშედეგოდ დამთავრდა.

ცნობილია, რომ მზის სითბო თითქმის თანაბრად ნაწილდება დედამიწის ზედაპირზე. მაშ რატომ არ შეუძლია მას მყინვარის გადნობა? აღმოჩნდა, რომ ყინული და, განსაკუთრებით, თოვლის საბურველი აირეკლავს 95 პროცენტამდე მზის სითბოს, დედამიწა რომ მთლიანად იყოს დაფარული ყინულებით, მისი ზედაპირის საშუალო ტემპერატურა მინუს 90 გრადუსი იქნებოდა.

როგორც ვეებერთელა ლაბორატორია ისე წარსდგა ჩვენი პლანეტა მეცნიერების წინაშე. მუშაობა ამ „ლაბორატორიაში“ გრძელდება.

## დალოცვილია მისი ჭიშკარი

**ბონდო კეშელავა**

აქ, ამ სოფელში, არის ერთი პურის მცხობელი,
მადლიერია მისი შრომით ყველა მშრომელი.
მისი მარჯვენის ნაამაგარს — პურს რომ შეხედავ,
არ მოისურვებ სინჯვას მისას, ხელის შეხებას.
არ დაგჭირდება ასარჩევად თვალის ცეცება,
თითს რომ დააჭერ, გარმონივით დაიკეცება.
იგი ისეა დაბრაწული, ისეა წმინდა,
შინ მიტანამდე გზაზე ყუა მოსტეხო გინდა.
თვითონ მცხობელი ერთი შავი, ჭმუხა კაცია,
სადაც არ ნახავ, მუდამ სადად, სუფთად აცვია.
უყვარს დროდადრო მას მოლხენა მის ტოლ-კაცებთან,
ბაასში შეჭრა, შემართება და გატაცება.
თრობისთვის შესვას, ეს არ არის მისი სურვილი,
სურს ასში ერთხელ, რომ მოიკლას ღვინით წყურვილი.
ვინმე ნახელავს თუ შეუქებს, თუ მოუწონებს,
შეიშმუშნება და ღიმილით მხრებს შეისწორებს.
დალოცვილია სოფლისაგან მისი ჭიშკარი,
რადგან იციან ნაარმალით შინ არ იჩქარის.

## გზა მეგობრამდე არ არის შორი

**გიორგი გიგაური**

ბუნების ღიმილს შევხარი გზაზე,
გზას თუმც ხალიჩა არ აფენია,
მივყვები ვარდებს,
მივყვები ვაზებს
და გზას ხალიჩის ნაზი ფერი აქვს.
სხივები ნისლის მანდილებს ხევენ,
გზაზე შუქია,
განა ბინდია?
მივყვები ლოდებს,
მივყვები ხევებს,
მეგობრისაკენ ლაღად მივდივარ.
მივდივარ,
მუხლი არა გრძნობს დაღლას,
არც კილომეტრებს არ ვითვლი
წყენით.

ჩავივლი ჩაღმართს,
ავივლი აღმართს,
ახალი სივრცის იხსნება ბჭენი.
გეზს ვინ შემიცვლის
გზაჯვარედინთან,
როცა მიზნისკენ მიმეჩქარება,
ფრთა დაიბერტყა საქმემ კეთილმა
სიყვარულის და ძმობის კარებთან.
ვერ მომერია ათასი ჭორიც,
სიყვარულის გზას მივყევარ
მაღლა...

გზა მეგობრამდე არ არის შორი,
მეგობრის გზაზე არა ვგრძნობ
დაღლას.

ჩვენი გუნდის ხელმძღვანელები, ჟურნალისტები, რეპორტიორები, ფოტოგრაფები, „ტორსედორები“, კისრისტეხით გამოცვივდნენ მოედანზე და შემლილებივით გაჰყვიროდნენ: ბრაზილია! ბრაზილია! ბრაზილია!

— საპატიო წრე დავარტყათ! — გვიბრძანა გუნდის კაპიტანმა ბელინიმ. როცა საპატიო წრეს ვუვლიდით, სტადიონის ტრიბუნები ოვაციებისაგან ზანზარებდა.

შემდეგ მოედანზე გავმწკრივდით. მწვანე მინდორზე შვეციის მეფე გუსტავი გამობრძანდა. მისმა უდიდებულესობამ ოდნავ ნაღვლიანი ღიმილით ყველას სათითაოდ მოგვილოცა გამარჯვება. შვედ ფეხბურთელებს კი მიულოცა მეორე ადგილი. გუნდის ექიმმა მარიო ტრიგომ ვერ გაუძლო ცთუნებას, მეფეს ზურგზე ხელი მოუტყაპუნა და შესძახა: — ეჰეი, მეფეო!... — ექიმის საქციელზე უმრავლესობას გაეცინა. თვითონ მეფესაც გაეღიმა, თუმცა ცოტათი შეიშმუშნა, ალბათ გულში გაიფიქრა, რა გადარეულები ყოფილან ეს ბრაზილიელებიო.

მხიარულება გასახდელშიც გაგრძელდა. აბა, სხვანაირად როგორ შეიძლებოდა. ეს ხომ ნამდვილი ბრაზილიური „ფიესტა“ იყო. მახსოვს, შუა მხიარულებაში ვიყავით. გასახდელში ერთი საბჭოთა ჟურნალისტი შემოვიდა, ჩემთან მოვიდა და საზეიმოდ გადმომცა მსოფლიო ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილის საპატიო პრიზი.

გარეთ დიდძალი ხალხი გვიცდიდა. შვედი გულშემატკივრები ავტოგრაფებს გვთხოვდნენ. სანამ ჩვენს ომნიბუსამდე მივაღწევდით, გვარიანი ბრძოლის გადატანა მოგვიხდა.

### ორი ბატონის მსახური

მე მგონია, ღირს დაწვრილებით მოგიყვეთ, როგორ დავბრუნდით შინ. ასე არასოდეს არ გაგრძელებულა გზა. გრძელდებოდა სიხარულის წუთები. ისე ვიყავით არაქათგამოცლილები, მთელი არსებით არ შეგვეძლო ნეტარებას მივცემოდით. ყველას მხოლოდ ერთი სურვილი გვამოძრავებდა რაც შეიძლება მალე დავბრუნებულიყავით შინ.

— ბოლოს და ბოლოს, როდის გავფრინდებით?

— მოთმინება, მხოლოდ მოთმინება! — ასეთი იყო მთავარი მწვრთნელის პასუხი.

როგორც იქნა, თვითმფრინავი რეციფეში დაფრინდა. ყველაზე დიდი პატივი ვავას ხვდა წილად. გულშემატკივრებმა იგი პირდაპირ ტრაპიდან აიტაცეს ხელში და ისე წაიყვანეს. ჩვენც იგივე ბედი გვეწია: ფეხით სიარულის საშუალება არავის არ მოგვცეს.

რიო-დე-ჟანეირო... კარნავალები ქუჩაში... შეხვედრები რედაქციებში... როცა მამას შევხვდი, მან გულში ჩამიკრა და მხოლოდ ერთი სიტყვა წარმოთქვა: „ჩემო ბიჭიკო!“ დედამ ხმის ამოღებაც ვერ მოახერხა. იგი მხოლოდ იღიმებოდა და თან თვალები ცრემლებით ევსებოდა.

ნაკრების წევრები პრეზიდენტმაც მიგვიღო. მან მთავრობის სახელით ოქროს მედლები გადმოგვცა. ეს გახლდათ მსოფლიო ჩემპიონობის ჯილდო.


ეროვნული ბიბლიოთეკა

# პელე

რამდენიმე თვის შემდეგ არმიაში გამიწვიეს და ერთდროულად ვეკუთვნოდი, როგორც კლუბ „სანტოსს“ (მან განაახლა ჩემთან ხელშეკრულება), ასევე არტილერისტების გუნდს, სადაც სამხედრო ვალდებულებას ვიხდიდი. ნაწილში იშვიათად თუ გამოვჩნდებოდი ხოლმე, მაგრამ როცა მივიდოდი, ვაი, ჩემი ბრალი, თუ ისეთ სერჟანტებს ჩავუვარდებოდი ხელში, რომლებსაც ფეხბურთი ფეხებზე ეკიდათ. ისინი მაშინვე ცოცხს მომაჩეჩებდნენ, ყაზარმის ეზოს მასუფთავებინებდნენ. არცთუ იშვიათი იყო შემთხვევები, როცა ქუჩასაც მაგვევინებდნენ, რათა ყველასათვის დაენახვებინათ, რომ „მათი პელე“ ისეთივე ჯარისკაცია, როგორიც სხვები.

ფეხბურთს თითქმის ყოველდღე ვთამაშობდი. ჩვენმა გუნდმა სანტოსის სამხედრო ოლქის ჩემპიონობა მოიპოვა. შემდეგში სან პაულუს არმიის ნაკრებში გამოსვლაც მომიხდა.

როგორც პროფესიონალი, ვალდებული ვიყავი „სანტოსშიც“ მეთამაშა და იქ წვრთნაზეც მევლო. „სანტოსის“ მწვრთნელი ლულა ხანდახან მანთავისუფლებდა, სერჟანტები კი ნურას უკაცრავად! თუ წვრთნა ტარდებოდა, მეც აუცილებლად იქ უნდა ვყოფილიყავი.

სან პაულუს ჩემპიონატის გახურებული სეზონი იყო, როცა სამხრეთ ამერიკის ქვეყნების არმიული ჩემპიონატიც დაიწყო. მე ნაკრების ყველა თამაშში ვმონაწილეობდი. არ გამომიტოვებია არც ბოლო მატჩი, არგენტინელთა წინააღმდეგ, რომელიც „გენერალ სევერიანოს“ სტადიონზე ჩატარდა. შუა თამაშში მსაჯმა მოედნიდან გამაძევა არგენტინელ დამცველებთან შეპაექრების გამო.

მეორე დღეს უკვე პორტო ალეგრეში „გრემიოს“ წინააღმდეგ გამოვდიოდი ბრაზილიის თასზე. ხანდახან დღე-ღამეში ორი მატჩის თამაში მიწევდა. ყაერთოდ ოთხშაბათობით სამხედრო ნაწილის გუნდში გამოვდიოდი, პარასკეობით კი „სანტოსში“.

1958 წლის განმავლობაში ასზე მეტ მატჩში მივიღე მონაწილეობა. კვლავინდებურად „სანტოსის“ სახელს ვიცავდი. ამ პერიოდში მოვხსენი ფეიტიგოს (წარსულში „სანტოსის“ თავდამსხმელის) რეკორდი — 36 გოლი. მე 51 ბურთი გავიტანე.

სისტემატური თამაში ისე მღლიდა და მბეზრდებოდა, მზად ვიყავი ფეხბურთი სამუდამოდ მიმეტოვებინა. ქუჩებში, სახლებში, ყველგან, სადაც კი გამოვჩნდებოდი, მეუბნებოდნენ: პელე, დღეს აუცილებლად უნდა მოვიგოთ, — ან: რამდენი ბურთის გატანას აპირებ დღეს? — და სხვა ამისთანებს.

ტორსედორებს ფეხებზე კიდიათ ფეხბურთელის ჯანმრთელობა. ეს რა მათი საქმეა? მათ მხოლოდ გამარჯვება აინტერესებთ, თუნდაც ამ გამარჯვებას ფეხბურთელის კარიერის დასრულებაც მოყვეს.

მალე ხელმეორედ მომიწია ევროპაში გამგზავრებამ. ამჯერად „სანტოსმა“ მოაწყო ტურნე ევროპის მრავალ ქვეყანაში. ზოგან თამაში გვიწევდა, ზოგან კი მხოლოდ გავლით ვჩერდებოდით. ხელმეორედ ვინახულე იტალია და შვეცია, გავიცანი პორტუგალია, ბელგია, დასავლეთი გერმანია, შვეიცარია, პოლონეთი, საფრანგეთი, ესპანეთი.

ამ მოგზაურობისას პირველად შევხვდი „რეალ მადრიდს“. ეს მატჩი კარგად მახსოვს და დღემდე ვერ შევრიგებივარ „სანტოსის“ დამარცხებას.

ჩვენ ძალზე დაღლილები ვიყავით და ამდენი ხეტიალი ყელში გვქონდა ამოსული. ყველას სახლში დაბრუნება გვენატრებოდა. „რეალის“ ფეხბურთელები საკუთარ სახლში გულმოდგინედ ვარჯიშობდნენ და საგანგებოდ ემზადებოდნენ ჩვენთან შესახვედრად.

დაძაბული შეხვედრა წავაგეთ ანგარიშით 3:5; შეგვეძლო მატჩი ფრედ დაგვემთავრებინა, ცოტა „ცეცხლი“ რომ არ შემოგვკლებოდა. ბედი ნამდვილად არ გვწყალობდა და გოლის გატანის ბევრი შესაძლებლობა დავკარგეთ. მის შემდეგ, წაგებისაგან გამწარებული დიდხანს ვოცნებობდი „რეალთან“ ხელმეორე შეხვედრაზე. ახლა რევანშზე აღარც ვფიქრობ. „რეალი“ თანდათან კარგავს თავის პრესტიჟს.

ხუთ წელიწადში თითქმის მთელი მსოფლიო შემოვიარე. ამერიკის კონტინენტზე ხომ ქვეყანა არ დარჩენილა, რომ არ ვყოფილიყავი. ამ მოგზაურობებმა ბევრი რამ მომცა, რაც სკოლაში დამაკლდა.

1961 წელს მექსიკას ვესტუმრეთ და აქვე „ნეკაქსასთან“ შეხვედრაში დავკარგეთ დაუმარცხებელი გუნდის სახელი. კლიმატური პირობების განსხვავებამ სრულიად განგვაიარაღა. თავს ვეღარ ვცნობდით. თამაშის დაწყებისთანავე მექსიკელებმა ჩვენს კარში ორი ბურთი გაიტანეს. სულ მალე შევძელით ერთი ბურთის გაქვითვა. მე იძულებული გავხდი მოედანი დამეტოვებინა. მეკარეს შევეჯახე და ბუცი სახეში მომხვდა. მექსიკელმა მცველმა დელაჩამ კეფაში წიხლი ჩამარტყა. სიტყვამ მოიტანა და აქვე ვიტყვი, რომ დელაჩა არგენტინელია და შვეციის ჩემპიონატში იღებდა მონაწილეობას. მისი დარტყმისაგან გონება დავკარგე. როცა გონზე მოვედი, შევნიშნე, რომ მარცხენა თვალით თითქმის ვეღარ ვიხედებოდი. მარცხენა მხარიც საშინლად მტეხდა, მაგრამ მოედანზე მაინც დავბრუნდი, დავბრუნდი და წავიქეცი. მე პაგაომ შემცვალა. მატჩი წავაგეთ ანგარიშით 3:4. როგორც კი გამოვჯანმრთელდი, კვლავ „სანტოსს“ დავუბრუნდი.

### ფიქრები მომავალზე

როცა ეს სტრიქონები იწერებოდა, სან პაულუს მორიგი ჩემპიონატი ტარდებოდა. მას შემდეგ, რაც გათამაშებებში მონაწილეობას ვღებულობდი, ყოველთვის ვითვლებოდი საუკეთესო „ბომბარდირად“. გასულ წელს სპეციალური „ბრაზილიის პრიზიც“ მივიღე.

საფეხბურთო სპორტს სიხარულის გარდა ბევრი დარდი და იმედის გაცრუებაც მოაქვს. გულშემატკივრები დიდხანს უსტვენდნენ ჟილმარს „პაკაემბუს“ სტადიონზე. საბრალო, იძულებული გახდა, მოედანი მიეტოვებინა, მაგრამ ის ხომ მსოფლიო ჩემპიონია და ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე ბრაზილიისა. განა, ჟილმარი მალე მოინელებს ამ შეურაცხყოფას?

ხშირად ვიგონებ ჟილმარის ამბავს და ჩემს თავს ვეკითხები: კიდევ დიდხანს ვიქნები პელე? მეც ხომ ყოველდღე მომელის იგივე, რაც ჟილმარს და ბევრ სხვა შესანიშნავ ფეხბურთელს დამართნია. მე ამისათვის მზად უნდა ვიყო.

გულშემატკივრები არც უფიქრდებიან, რამდენი მსხვერპლის გაღება უხდება ფეხბურთელს თავისი გუნდისათვის. რამდენის გადატანაა საჭირო რომ მაყურებლებს ნამდვილი ფეხბურთი უჩვენო. ჩვენი პროფესია ძალზე ხანმოკლეა და ვაი მას, ვინც ვერ გამოიყენებს დროს, ვინც არ იზრუნებს თავის მომავალზე.

როცა მეკითხებიან, რას ვუშვები ამდენ ფულს, მე ვპასუხობ: პელე აგროვებს ედსონისათვის!.. (ედსონი პელეს ნამდვილი სახელია. რედ.)

მე „სანტოსთან“ ისევ დავდე ხელშეკრულება, თუმცა ამ პერიოდში მიწვევა მივიღე მილანისა „ინტერნაციონალესა“ და „იუვენტუსისაგან“. ერთმა იტალიელმა ფეხბურთის მესვეურმა ისიც მკითხა, რამდენის მიღებას ვისურვებდი იტალიაში გადასაბარგებლად.

მე შეგნებულად დავასახელე გაუგონარი თანხა — სამასი ათასი დოლარი. იმედი მქონდა, რომ არ დათანხმდებოდნენ, მაგრამ მოვტყუვდი. მათ თანხმობა განაცხადეს. მაშინ მე ცივი უარი ვტკიცე. შემდეგ „რეალის“ იმპრესარიოც შემომიჩნდა. მოსვენებას არ მაძლევდა. ეგონა, დიდი თანხით დამაინტერესებდა, მაგრამ მე მას სრულიად არ ვუპასუხე, რადგან არ მსურს ბრაზილიიდან წასვლა.

ახლა ჩემს თავს არ ვეკუთვნი. მე „სანტოსის“ საკუთრება და ამ გუნდის ნაწილი ვარ. ვცხოვრობ ფეხბურთისათვის და ვცხოვრობ ფეხბურთით.

პროფესიონალებში თამაშს 1965 წლამდე ვაპირებ. მერე, ალბათ, მოყვარული გავხდები, მაგრამ ბრაზილიის ნაკრების სახელის დასაცავად მთელი სიცოცხლე მზად ვიქნები.

თარგმნა დალი კოკაიამ

(დასასრული)

## მოკლედ ყველაფერზე

### ორიგინალური სასტუმრო

ჩიკაგოში გაიხსნა სპეციალური სასტუმრო, რომელიც დამწუხრებულ, აღელვებულ ანდა გაშმაგებულ ადამიანებს ემსახურება. აშლილი ნერვების დასამშვიდებლად ნომრის დამქირავებელს შეუძლია — გაბრაზების ხარისხისა და ჯიბის მდგომარეობის შესაბამისად — დაამტვრიოს ავეჯი, დალეწოს ბროლისა და ფაიფურის ნივთები.

რა თქმა უნდა, ასეთი „პროცედურის" შემდეგ აუცილებელია სასტუმროს პატრონისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

### თვითმფრინავის სიჩქარით

ინჟინერ-გამომგონებლები გულმოდგინედ მუშაობენ, რათა მნიშვნელოვნად გაზარდონ რკინიგზის ტრანსპორტის სიჩქარე.

დასავლეთ გერმანიაში, ჰამბურგ-ჰანოვერის გადასარბენზე, უახლოეს ხანში გაუშვებენ საცდელ მატარებელს. მისი სიჩქარე საათში 200 კილომეტრს მიაღწევს. საფრანგეთში წარმატებით ჩაიარა საცდელი შემადგენლობის გამოცდამ, რომელმაც საათში 250 კილომეტრი დაფარა.

როგორც ვარაუდობენ, სპეციალური მატარებლების სიჩქარე საათში 700 კილომეტრამდე შეიძლება გაიზარდოს.

### მინის ქაღალდი

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაამზადეს ქაღალდი, რომელიც მინის ბოჭკოებისაგან შედგება. მინის ქაღალდი ექვსას გრადუსამდე ტემპერატურას უძლებს ცელსიუსით.

ქაღალდზე დაიბეჭდება ძვირფასი წიგნები და მნიშვნელოვანი დოკუმენტები. იგი გამოიყენება აგრეთვე როგორც ელექტროგაყვანილობის საუკეთესო საიზოლაციო საშუალება.

### ჰიმალაის მთები... იზრდება

1955 წლის აგვისტოში ჰიმალაის რაიონში დიდი მიწისძვრა მოხდა, რომლის შემდეგ მთების სიმაღლე განუწყვეტლივ მატულობს.

როგორც სპეციალური ხელსაწყოებით დადგინდა, ჰიმალაის მთების მწვერვალთა სიმაღლე უკანასკნელ წლებში 80 მეტრამდე გაიზარდა.

### იშვიათი შემთხვევები

ტყუპის გაჩენა არცთუ ისე იშვიათი შემთხვევაა, — ყოველ 100 მშობიარობაზე საშუალოდ ერთი ტყუპი იბადება.

მედიცინამ იცის შემთხვევები, როდესაც დედამ ერთდროულად ხუთი ბავშვი დაბადა. ხუთი ბავშვი საშუალოდ ყოველ 55 მილიონ მშობიარობაზე იბადება.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღნუსხულია ერთდროულად ექვსი ბავშვის დაბადების რამდენიმე შემთხვევა.

1948 წელს გაზეთები იუწყებოდნენ, რომ ესპანეთში ერთდროულად შვიდი ბავშვი დაიბადა.

## უცხოური იუმორესკები

### მონადირე

— აფრიკაში ხშირად ვნადირობდი ვეფხვებზე, — ტრაბახობდა მონადირე მეგობრებში.

— კი მაგრამ, აფრიკაში რომ არ არიან ვეფხვები? — იკითხა ვიღაცამ.

— სრული სიმართლეა! — მაშინვე დაეთანხმა მკვეხარა, — მე იქ ყველა ვეფხვი გავწყვიტე.

### გამოცდა

— რატომ ჩაიჭერი, შენ ხომ ყველა შეკითხვა იცოდი?

— ყველა შეკითხვა ვიცოდი, მაგრამ მათი პასუხები არ ვიცოდი...

### ტრაგედია

— მე მას არ ვუყვარვარ! მზად ვარ ორმოცდაათსართულიანი შენობის სახურავიდან გადმოვხტე...

— ჩვენს ქალაქში რომ არ არის ასეთი ცათამბჯენები?

— არა უშავს, დავიცდი სანამ ააგებენ.

### მეტეოროლოგია

ლონდონის უამინდობით გაბეზრებულმა ტურისტმა იკითხა:

— მითხარით, გეთაყვა, როდის დგება თქვენთან გაზაფხული?

— ძნელია მაგისი თქმა, შარშან, მაგალითად, იგი ოთხშაბათ დღეს დაემთხვა...

### ალაჰი იპოვნის

— თვითმფრინავით მგზავრობა საშიში არ არის, რატომ ღელავ? როცა შენი სიკვდილის ჟამი დადგება, ალაჰი მაინც გიპოვნის, გინდ მიწაზე იყო, გინდა ჰაერში.

— მართალია, მაგრამ ხომ შეიძლება, მე ჰაერში ვიყო იმ დროს, როცა ალაჰი მფრინავს იპოვნის?

### საბოლოო სიტყვა

— თქვენ სიკვდილი მოგესაჯათ! აირჩიეთ რა საშუალებით გინდათ მოკვდეთ.

— ღრმა მოხუცებულობის სიკვდილით.

ნახატი-ხუმრობები ი. დოიაშვილისა





გარეკანის პირველ გვერდზე: ვ. ი. ლენინი. ნახატი რ. სტურუასი.

მეოთხე გვერდზე: გაზაფხული. ფოტოეტიუდი გ. თიკანაძისა.

ჩანართის პირველ გვერდზე: გზა მთაში. ფოტოეტიუდი ო. თურქიასი და ე. პესოვისა.


რედაქტორი გ. ნატროშვილი.
პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე.

სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. საკაშვილი, ი. ტაბალუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ. ტელ. — რედაქტორის 3-34-66, პ/მგ. მდივნის — 9-82-69, განყოფილებების — 3-28-42

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/III-63 წ. გამომც. № 25, ქაღ. ზომა 70×108[1]/[8]. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 20.000. შეკვ. № 615, უე 06312

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша" (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ/კ „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. №14.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფოტო გ. თიკანაძისა

ყაყაჩოები


ИНДЕКС 76056
ეროვნული
ბიბლიოთეკა